პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერმეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური

— სამხრეთ-სლავიის ციხეებში გრძელდება რევოლიუციონერების წამება.

— ყუბა მუდმივ ადგილს მოითხოვს ერთა ლიგაში.

— მაღაროს მეპატრონეები დათმობაზე არ მიდიან ნაციონალური მასშტაბით ხელშეკრულების დადების საკითხში.

—ტრედიუნიონების კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია ერთიანი ინტერნაციონალის სასარგებლოთ.

— სევასტოპოლში დაიწყო კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფის გასამართლება.

კვირა, 12 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 208 (1753)

ინგლისის განმარტოება

(ჩინეთის ამბების გამო)

ის ამბები, რომლებიც ამჟამად ჩინეთში იშლებიან, საყოველთაო ყურადღებას იპყრობენ. ყველაზე უფრო აღსანიშნავია კანტონის რევოლიუციონური არმიის ბრწყინვალე გამარჯვება. ამ არმიამ სასტიკად დაამარცხა გენერალი უ-პეი-ფუ და აიღო ქ. ხან-კოუ. ხან-კოუ შუა ჩინეთის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და სტრატეგიული პუნქტია. ერთი მხრივ მთავარი სარკინისგზო მაგისტრალით ის უერთდება პეკინს, მეორე მხრივ უდიდესი მდინარით, იან-ცზით, უკავშირდება შანხაის. ხან-კოუში თავმოყრილია მსხვილი მრეწველობა და ბანკები. მისი მოსახლეობა 1.400.000 კაცამდე აღწევს. ხან-კოუსთან ახლოს მდებარეობს კიდევ ორი მსხვილი ქალაქი—ხანიანი და უჩანი, რომელთა მცხოვრებლების რაოდენობა ერთად უდრის 900.000 კაცს. ხან-კოუს აღებით გადაწყვეტილია ამ ქალაქების ბედიც. მართლაც, უკანასკნელი ცნობა გვეუბნება, რომ ხანიანი უკვე ხელთ იგდეს კანტონის ჯარებმა.

ხან-კოუ უ-პეი-ფუს დასაყრდენი იყო. მისი დაპყრობა კანტონის მიერ ნიშნავს უ-პეი-ფუს განადგურებას. არსებითად იგი უკვე კარგავს ომის გაგრძელების უნარს. მისი ჯარები დაშლის პროცესმა მოიცვა. მისი მომხრე გენერლებიც მას ზურგს აქცევენ.

ყველაფერი ეს მოასწავებს ინგლისის სასტიკ დამარცხებას. უ-პეი-ფუ ხომ ინგლისის დაყენებული კაცი იყო, მისი სამფლობელო გავლენის სფეროში შედიოდა. ინგლისი ეხლა კარგავს თავის პოზიციებს შუა-ჩინეთში.

საგულისხმო აქ ის არის, რომ ინგლისსა და უ-პეი-ფუს შორის, რომელიც დღემდე პირველის ყურმოჭრილი აგენტი იყო, სულ უკანასკნელად მეტად სერიოზული ინცინდენტი მოხდა. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ სისხლისმღვრელ შეტაკებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში ინგლისელებსა და ჩინელებს შორის მდინარე იან-ცე-კიანგზე (უ-პეი-ფუს ტერიტორიაზე), რომელსაც, ინგლისის საადმირალოს ცნობით, შედეგათ მოჰყვა 17 ინგლისელ მატროსის მოკვლა და 50-ის დაჭრა. შეტაკება გამოიწვია ინგლისის მხრით ელემენტარულ სანაოსნო წესების დარღვევამ, რასაც შედეგათ მოჰყვა ჩინელ მეზღვაურთა მსხვერპლი. მუდამ ინგლისის მორჩილი უ-პეი-ფუ ინგლისის სამხედრო გემების ხელისუფალთა ამ თავხედობის წინააღმდეგ დღეს ხმას იმაღლებს და ოფიციალურ პროტესტს აცხადებს.

ცხადია ინგლისს ფეხიდან ნიადაგი გამოეცალა უ-პეი-ფუს ყოფ. სამფლობელოში. მან თავის აგენტს დახმარება ვერ აღმოუჩინა გაჭირვების დროს, უ-პეი-ფუ უძლური გამოდგა მისი იმპერიალისტურ მიზნების ბოლომდე დაცვაში, რის გამო ის ზედმეტ ბარგად იქნა ცნობილი და მას არავითარ ანგარიშს არ უწევს ინგლისი.

ინგლისის წინაშე დღეს, როგორც არასოდეს, წამოიჭრა უმთავრესი ამოცანა: თავისი „ღირსების" დაცვისა, თავის უაღრესად შერყეულ მდგომარეობის განმტკიცებისა ჩინეთში. კანტონის გამარჯვებამ და იან-ცეზე მომხდარმა ინციდენტმა ეს საკითხი პირდაპირ დააყენა. ინტერვენცია ჩინეთში—აი რა გამოაცხადა დღის ლოზუნგად ლონდონის მთავრობამ.

ინტერვენციის იდეა ახლა არ წამოჭრილა. უფრო შორეულ წარსულს რო თავი დავანებოთ შარშან შანხაის ამბებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული იყო ინგლისის იმპერიალიზმის საინტერვენციო პროგრამა, სადაც ყველაფერი იყო გათვალისწინებული: ამისათვის საჭირო ჯარების და ფინანსების რაოდენობაც, სამხედრო გეგმაც და სხ. მაგრამ მაშინ ინგლისს ხელები მოკლე აღმოაჩნდა ამ პროგრამის განხორციელებისათვის, როგორც მთელი შინაური მდგომარეობისა, ისე უფრო სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების მიუღწევლობის გამო.

დღეს ინგლისი კვლავ ემზადება ინტერვენციისათვის. მან საამისო წინადადებით ოფიციალურად მიმართა სათანადო ქვეყნებს. იგი მოითხოვს გაერთიანებულ სამხედრო ექსპედიციის გაგზავნას ჩინეთში. მაგრამ **სრულებით კენტად, განმარტოებულად დარჩა.** არც ერთმა სახელმწიფომ მას მხარი არ დაუჭირა. საფრანგეთი. ამერიკა, იაპონია თავს იკავებენ ინტერვენციისაგან. ეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ამ ქვეყნებს სურდეთ ჩინეთის ხალხის განთავისუფლება, პირიქით, ისინი ინგლისზე ნაკლებ არ არიან მოწადინებული ჩინეთის დამონება გააგრძელონ.

საქმე ის არის, რომ ინტერვენციის ცდას შეიძლება მოჰყვეს მისი დამწყებთა მიერ იმ პოზიციების დაკარგვა, რომელიც მათ უკავიათ ჩინეთში. ინტერვენცია აუცილებლად გამოიწვევს ჩინეთის ხალხის საყოველთაო ამხედრების და გაერთიანებას გარეშე მოძალადეების წინააღმდეგ გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმს" ამბობს: „წინეთ სახელმწიფოები თავის ღირსებას იცავენ კანონირების დიდი რაოდენობის გაგზავნის და შეიარაღებულ ძალის გამოყენების მუქარის გზით. ეხლა ასეთი პოლიტიკა მხოლოდ გაართულებდა მდგომარეობას და გამოიწვევდა საომარ მოქმედებას". აშკარაა, რომ უფრო „გონიერ" იმპერიალისტურ ქვეყნებს ეშინიათ „მდგომარეობის გართულების და ხანგრძლივი საომარ მოქმედების". ყველამ იცის, რომ ჩინეთი დღეს არ არის, რაც წინედ იყო, როცა მისი დაშინება მუშტის ჩვენებით შეიძლებოდა. ოთხასი მილიონიანი ჩინეთის ხალხი მოიცვა რევოლიუციონურ განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ და მისი წამოჩოქება როდია ადვილი საქმე.

მაგრამ ინგლისის გარიყვა ჩინეთის ინტერვენციის საკითხში მარტო ამით არ აიხსნება. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა იმპერიალისტურ ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობას. ამერიკა და იაპონია მხარს არ უჭერენ ინტერვენციას, რათა ამით ინგლისი „გააძევონ" ჩინეთიდან და უკანასკნელი „მშვიდობიანი" გზით დაიპყრან.

ასეა თუ ისე ინგლისი მარტოდ დარჩა. ასეთ პირობებში მისი ინტერვენციის მუქარას რეალური ძალა არ მოეპოვება. მარტო ინგლისი ვერ შესძლებს ფართე სამხედრო ოპერაციის წარმოებას ჩინეთის წინააღმდეგ, მით უმეტეს, როცა ზურგი არ აქვს გამაგრებული: მემაღაროეთა გაფიცვამ და საერთოდ კლასთა ბრძოლის გამწვავებამ ინგლისის იმპერიალიზმს კბილები დაუმსხვრია.

ინგლისი, ცხადია, მაინც ცდას არ დააკლებს თავის ზრახვების განაღდებლად. მისი მთავარი იმედი ისევ რჩება ჩინეთის შინაური რეაქცია. რა კი უ-პეი-ფუმ „თავი შეირცხვინა", ინგლისი სხვა ძალებს მიმართავს. ის შეეცდება ჩან-ძო-ლინის გამოყენებას. ამისათვის, როგორც ვიცით, მუკდენის დიქტატორთან ის მოლაპარაკებას აწარმოებს. სხვათა შორის, გამორკვეულია, რომ ა. ჩ. რკ.-გზაზე მომხდარ კონფლიქტში ინგლისის ხელი ურევია. მაგრამ შესძლებს კი მუკდენის მფლობელი, რომელმაც საბჭოთა კავშირი გადაიკიდა, კანტონის წინააღმდეგ გალაშქრებას და შუა ჩინეთში ინგლისის ძველ მდგომარეობის აღდგენას? ეს მეტად საეჭვოა. გარდა იმისა, რომ აქ ინგლისის და იაპონიის ინტერესები ეჯახებიან ერთმანეთს, რის გამო ძნელია ჩან-ძო-ლინი იაპონიის ორიენტაციის მომხრე, ინგლისის იარაღად გახდეს, რამდენადაც საქმე ეხება შუა ჩინეთში ინგლისის მდგომარეობის გამოსწორებას,—გარდა ამისა, კანტონი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. კანტონს ყავს არა მარტო საკმაოდ გაწვრთნილი და მრავალრიცხოვანი ჯარი, არამედ მას აქტიური თანაგრძნობით ეკიდება მთელი ჩინეთის მშრომელი მოსახლეობა. და ეს უმთავრესია მისი გამარჯვებისათვის საბოლოო ანგარიშით. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახალხო არმიები არ არიან განადგურებულნი. ეხლა ხდება მათი რეორგანიზაცია, რომ შემდეგ კანტონის არმიებთან ერთად კვლავ შეუტიონ რეაქციის ძალებს. ასეთ პირობებში ჩან-ძო-ლინის გალაშქრება კანტონის წინააღმდეგ შეიძლება პირველისთვის საბედისწერო შეიქნეს.

ასე რომ ინგლისის შანსები ინტერვენციის მოსახდენად ძალიან მცირეა. სამაგიეროდ ამ ცდამ შეუდარებლად გაზარდა მთელ ჩინეთში ისედაც მძლავრი ანტიინგლისის განწყობილება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის დამარცხება ჩინეთში გავლენას მოახდენს ა.-ჩ. რკინისგზის გარშემო ატეხილ კონფლიქტის ჩვენთვის სასურველად მოგვარებაზე, კონფლიქტის, რომლის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი ინგლისია.

შვებულ წითელ არმიელებს

კავკასიის წითელ დროშოვან არმიიდან ამ დღეებში წავლენ 1924 წლის გაწვევის წითელარმიელები, რომლებმაც მუშურ-გლეხური არმიის რიგებში იმსახურეს ორი წელიწადი.

ყოველი ჩვენთაგანი ამ შემთხვევის გამო ბუნებრივად აძლევს თავის-თავს კითხვებს: როგორი გრძნობებითა და ცოდნით მოვიდა იგი წითელარმიაში და როგორი გრძნობებითა და ცოდნით მიდის ეხლა? რა მისცა მას ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ? იყო თუ არა ნამდვილად წითელი არმია მისთვის სკოლა არა მარტო სამხედრო მომზადებისა და განათლებისა, არამედ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აღზრდისაც? ყველა ეს საკითხები უნდა მისცენ თავისთავს პირველ რიგში თვით შვებულმა—წითელარმიელებმა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წითელარმიას. ჩვენ ვცდილობთ არა მარტო იმას, რომ წითელი არმია გახდეს სავსებით ბრძოლის უნარის მქონე, რომ სამხედრო მომზადების მხრივ იგი არაფრით არ ჩამოუვარდეს ბურჟუაზიულ არმიებს, აღემატოს კიდეც მათ, არამედ ამასთან ერთად ვცდილობთ იმასაც, რომ ჩვენი წითელარმიელები გახდენ სავსებით შეგნებულნი პოლიტიკურის მხრით, რომ მათ ნათლად წარმოიდგინონ თავიანთი როლი და მნიშვნელობა როგორც წარსულში, ისე აწმყოში და მომავალში. ჩვენი მდგომარეობა—საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა მდგომარეობა სრულიად განსაკუთრებულია: ერთ უდიდეს ქვეყანაში, რომელსაც უჭირავს მთელი დედა-მიწის 1/6 ნაწილი, სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასის ხელშია, რომელსაც მისდევს გლეხობის დიდი უმრავლესობა; და ამ სახელმწიფოში მთელი თავისი ძალების ამოქმედებით კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებენ სოციალისტურ აღმშენებლობას ისეთ პირობებში, როცა პროლეტარიატისა და ღარიბეს გლეხობის მტრული ძალები, ე. ი. ბურჟუაზიული კლასები ფარულ და აშკარა წინააღმდეგობას უწევენ.

წითელი არმია—ოქტომბრის დიდი რევოლიუციის შვილია, და იგია სიმბოლო ამ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისა არა მარტო ჩვენში—საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ წითელი არმია არის არა მარტო ძლიერი სამხედრო ძალა, არამედ ამასთანავე იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან კულტურულ ძალასაც. და სწორედ ეხლა, როცა წითელი არმიიდან სახლში მიდიან ამხ. წითელარმიელები, რომლებმაც მუდმივი სამსახურის ვალა გაათავეს, ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ სწორედ **ამ მომენტს,** ე. ი. იმ კულტურულ და მორალურ როლს, რომლის შესასრულებლადაც არის იგი მოწოდებული, იქნება ეს სოფელში, ფაბრიკაში თუ ქარხანაში. წითელარმიელებს ამ ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ უნდა ესწავლათ. ეს დრო არ შეიძლებოდა უნაყოფოდ დაკარგულიყო მათთვის. ეხლა ისინი აღარ არიან ისეთები, როგორიც იყვნენ მაშინ, როცა პირველად შედიოდენ წითელ ყაზარმაში: აქ მათ ძალიან ბევრი რამ შეიძინეს. ცხადია, რომ ის ცოდნა, რომელიც მათ მიიღეს წითელ ყაზარმაში, ჯერ კიდევ საკმაო არაა. მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ აქ დაიდო საფუძველი, მიეცა მიმართულება. ნაჩვენებია გზა, რომლითაც უნდა წავიდეს მათი შემდგომი განვითარება და ცოდნის შეძენა. ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ამხ. შვებულ—წითელარმიელებს.

უმთავრესია ის, რომ წითელარმიელი, რომელიც ყაზარმაში იყო, სრულიადაც არ იყო მოწყვეტილი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, იგი იღებდა და იღებს მონაწილეობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებასა და სოციალისტურ აღმშენებლობაში.

წითელი არმია და წითელი ყაზარმა მჭიდროდ, ორგანიზაციულად არიან დაკავშირებული თვით ხალხთან, მუშებთან და გლეხებთან — საბჭოებისა, პროფორგანოებისა, კოოპერატივებისა და სხვ. საშუალებით, და წითელარმიელის მთელი ცხოვრება მიმდინარეობს იმგვარად, რომ მას მუდმივი ურთიერთობა აქვს მშრომელებთან საქმიან მუშაობისა და ამხანაგურ ურთიერთ დახმარების ნიადაგზე. ასეთი ამხანაგური ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ის მუშაობა, რომელიც წრეულს ჩაატარა **მე-19 მესანგრეთა ათასეულმა ზემო-სვანეთის გზის გასაყვანად.** ეს იყო წითელარმიელისა და გლეხს შორის მართლაც ნამდვილი კავშირის განმტკიცება, რაიც გვიანდერძა ჩვენ **ლენინმა.** აქ წითელარმიელ—მესანგრეს ნათლად ჰქონდა შეგნებული და იცოდა, რომ იგი აკეთებდა **სვანი-გლეხისათვის მეტად საჭირო და აუცილებელ საქმეს.** თავის მხრით სვანი-გლეხიც ხედავდა ცხადად, რომ წითელარმიელი, რომელსაც ხელში ეჭირა წერაქვი და ნიჩაბი, ეხმარებოდა მას, აუმჯობესებდა მისი ცხოვრების პირობებს, უხსნიდა მას ფართო გზას სინათლისა, ცოდნისა და კულტურისაკენ. როგორც ერთი, ისე მეორე არასოდეს არ დაივიწყებს ამას. ტამბოველი და ხარკოველი გლეხები წითელარმიელების სახით დაუახლოვდენ სვან-გლეხს, არა მარტო დაუახლოვდენ, არამედ **დაუნათესავდენ** ერთმანეთს და ეს კავშირი არ გაწყდება.

უდიდესი კულტურული მნიშვნელობის გარდა რა მნიშვნელობა აქვს დისციპლინის განმტკიცებისა და აღმზრდელობითი მხრივ ასეთ მუშაობას, რომელიც ჩაატარა მე-19 მესანგრეთა ათასეულმა!

ასე, რა ცოდნითა და გამოცდილებით მოვიდენ და როგორი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მიდიან?

მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამხ. წითელარმიელები სახლში მიდიან დიდი გამოცდილებით, ცოდნის უდიდესი მარაგით (რომელიც მათ მომავალში კიდევ უნდა შეავსონ) და რაც უმთავრესია, ისინი მიდიან სახლში აღფრთოვანებით, ენტუზიაზმით, რომ იმუშაონ სოფლად, გლეხებს შორის და აგრეთვე ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომ ხელი შეუწყონ ახალი ცხოვრების აღმშენებლობას აქტიური მონაწილეობის მიღებით საბჭოებსა, გლეხკომებსა, კოოპერატივებსა და სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში.

შინ მიმავალო ამხ. წითელარმიელებო! თქვენს წინაშე დგანან მეტად დიდი ამოცანები. თქვენ დიდ დაბრკოლებებთან მოგიხდებათ ბრძოლა ცხოვრებაში. მაგრამ თქვენ სულით არ უნდა დაეცეთ. ყოველგვარ გაჭირვებათა და დაბრკოლებათა დროს თქვენ უნდა გახსოვდეთ ის, რასაც გეუბნებოდენ თქვენი ხელმძღვანელები და უფროსი ამხანაგები წითელ. ყაზარმაში ყოფნისას. ყოველგვარ შემთხვევაში თქვენ უნდა გახსოვდეთ თქვენი მასწავლებელი და წითელი არმიის შემქნელი—**ლენინი.**

ყოველთვის გასწიეთ წინ, არ ჩამორჩეთ უკან ცხოვრებას.

ყური უგდეთ კომუნისტური პარტიის ხმას და მზად იყავით, თუ თქვენ კვლავ მოგიწოდებენ რევოლიუციის საქმისა და მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

გისურვებთ ყოველ წარმატებას თქვენს შემდგომ ცხოვრებაში.

Ფ. მახარაძე.

სოციალური დაზღვევის ფინანსიური გაჯანსაღება

ამ დღეებში შრომის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების სახელით გამოიცა საკმაოდ ვრცელი ინსტრუქცია „სოციალური დაზღვევის ანარიცხების იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ".

ხსენებულ ინსტრუქციის სწორედ ამხანად გამოცემას, რასაკვირველია, თავისი მოსაზრებები უდევს საფუძვლად. საქმე იმაშია, რომ სოციალურ დაზღვევის საქმე, რომელსაც ასეთი უაღრესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ფიზიკურ სიჯანსაღისათვის, საგრძნობლად ფერხდება უკანასკნელ ხანებში. ამის უმთავრესი მიზეზია ის გარემოება, რომ მთელი რიგი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა პირნათლად ვერ ასრულებენ ან ზოგჯერ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას დამზღვევი სალაროს წინაშე.

იშვიათია ისეთი დაწესებულება - წარმოება, რომელზედაც დამზღვევი სალაროს ვალი არ ირიცხებოდეს. ამ მოვლენამ მიიღო თითქმის საზოგადოებრივი ხასიათი და დამზღვევი ორგანოები უძლურნი იყვნენ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხშირად სოციალურ დაზღვევის საპროცენტო ანარიცხების გადაუხდელობა იმდენათ დაწესებულება - წარმოების არქონების მიზეზი არაა, რამდენადაც არნდომის. ფსიქოლოგიურათ ეს ადვილი ასახსნელიც არის. სოც. დაზღვევის ანარიცხების გაღებით დაწესებულების თუ წარმოების ხელმძღვანელი არ ელის უშუალო და თვალსაჩინო სარგებელს თავისივე დაწესებულებისათვის. ამიტომ ყოველგვარ თავისუფალ თანხას ის პირველყოვლისა ისეთ საქმეში აბანდებს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია თანხის გამღებ დაწესებულება - წარმოების აღმშენებლობა-განვითარებასთან, და რომელიც იძლევა გაცილებით მეტ ეფექტს და სარფიანობას.

ამრიგად, სოციალურ დაზღვევის საპროცენტო ანარიცხების გაღება მიჩნეულია მეორე ხარისხოვან მოვალეობათ. მას მაშინ გადაიხდიან, როცა სხვა, თუნდაც არაპირველ ხარისხოვანი მნიშვნელობის საჭიროებანი, დაკმაყოფილებულია. დაწესებულება - წარმოებებს ერთი-მეორის იმედი აქვთ. თუ ის დღეს არ გადაიხდის, სხვა ვინმე ხომ მაინც შეიტანს თავის ხვედრ ანარიცხებს, სულ ერთია, სოციალურ დაზღვევის საქმე ამით არ დაეცემაო.

ამ გადადებ - გადადებაში დავალიანება იზრდება და ბოლოს იმდენად საგრძნობი ხდება, რომ მართლაც შეუძლებელია მისი ერთბაშად გაღება. მაგრამ რამდენადაც ამგვარად დაგროვილი თანხის განაღდება საგრძნობია მოვალესათვის, იმდენადვე, თუ მეტად არა, საზიანოა ის დამზღვევ სალაროსათვის. ეს მით უფრო ადვილი გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, ამგვარმა სენმა (დაწესებულება-წარმოებების დავალიანებამ დამზღვევ სალაროების მიმართ) თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ამას გარდა არის კიდევ ერთი მავნე ჩვეულება, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ მეტის-მეტად „მომჭირნე" ადმინისტრატორებს. მართალია ეს ჩვეულება დამზღვევ სალაროს არავითარ მატერიალურ ზიანს არ აყენებს, მაგრამ მაზე მაინც ღირს შეჩერება, რამდენადაც სიტყვა სოციალურ დაზღვევის საპროცენტო ანარიცხებს შეეხება.

ზოგიერთ დაწესებულებაში დღესაც არიან დაუზღვეველი მუშა - მოსამსახურენი. მართალია ამგვარი რამ მეტად იშვიათი მოვლენაა. მაგრამ ეს მაინც არის, და ამის წინააღმდეგ აქედანვე საჭიროა სასტიკი ბრძოლის წარმოება. ეს, თუ გნებავთ, იგივე გაქცევაა სოციალურ დაზღვევის მოვალეობისაგან და ისეთი გაქცევა, რომელიც საზიანოა დაუზღვეველ მუშა-მოსამსახურისათვის.

ინსტრუქცია სოციალური დაზღვევის ანარიცხების იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ მეტად ხელსაყრელ. პირობებს ჰქმნის დაზღვევის საქმის მატერიალურად გაჯანსაღებისათვის. ამ ინსტრუქციის ძალით სოციალური დაზღვევის სამმართველოს უფლება ენიჭება შემდეგი ზომები მიიღოს მოვალის წინააღმდეგ: „შენარჩენის კუთვნილ ან მის სალაროებში შენახული ფულის აღწერა და შეკვრა გადასახდელი ვალის დასაფარავად". გარდა ამისა, დამზღვევ სალაროს უფლება აქვს თავის ანგარიშზე გადაირიცხოს ყველა სახის თანხები, რაც მოვალეს ვისმესგან ერგება და აგრეთვე ის თანხები, რაც ინახება საკრედიტო დაწესებულებაში მოვალის სახელზე სახელდახელო ანგარიშის ან ანაბარის სახით. ამასთან ერთად დამზღვევ სალაროს უფლება ეძლევა აუწეროს და შეუკრას მოვალეს ქონება საჯარო ვაჭრობით გასასყიდათ, თუ ეს ქონება სახელმწიფო არაა, რომლის განსხვისება ან დაგირავება მოვალეს არ შეუძლია, ან და თუ ეს ქონება ისეთ მასალას არ წარმოადგენს, რომელიც საჭიროა წარმოების ნორმალურ მუშაობისათვის სამი თვის განმავლობაში.

ამ უფლებებთან ერთად ინსტრუქცია საზღვრავს დამზღვევ სალაროს მოქმედებას მოვალეებთან ანგარიშის გასწორების საქმეში. საგაზეთო წერილში შეუძლებელია ამ ინსტრუქციის დაახლოებით მაინც გადმოცემა. უფლებებთან ერთად, როგორც უკვე ვთქვით, დამზღვევ ორგანოებს ეკრძალებათ ზოგიერთ შემთხვევაში მოვალეების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება. ეს შეზღუდვა საკმაოთ დიდია, მაგრამ ის იმდენ ადგილს მაინც სტოვებს დამზღვევ სალაროს მოქმედებისათვის, რომ დღევანდელი არანორმალური მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს მასიურ დავალიანების სახით, მნიშვნელოვნად შემსუბუქდეს.

ვფიქრობთ, რომ ამ ინსტრუქციის მიმართვამდიც არ უნდა მიიყვანონ საქმე დაწესებულება-წარმოებებმა. ეს იქნებოდა შექმნილ მდგომარეობის ყველაზე უკეთესი მოწესრიგება. ახლო მომავალი გვიჩვენებს რამდენათ გამართლდება ეს იმედი.

დაზღვეული.

საბჭოთა პრესა

სასოფლო კრედიტი და საკრედიტო დისციპლინა

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დარგში, სხვათა შორის, ერთმა მეტად მავნე სენმა იჩინა თავი. ვლაპარაკობთ სესხის დაუბრუნებლობის გახშირებულ შემთხვევებზე. სესხის ამღები გლეხების საგრძნობი ნაწილი დაგვიანებით აბრუნებს მას, ან სულაც არ ფიქრობს მის გასტუმრებაზე. საკრედიტო დისციპლინის დარღვევა ახასიათებს არა მარტო საკრედიტო ამხანაგობის ცალკე წევრებს, არამედ თვით ამხანაგობებსაც, რომელთაც დაწესებულ ვადაზე ძალიან იშვიათად შეაქვთ სას.-სამ. კრედიტის საზოგადოებაში იქედან გამოტანილი ფული. გაზ. „ბედნოტა"-ს ამ მხრივ მოჰყავს რამოდენიმე საგულისხმო მაგალითი, რომელნიც ნათელს ფენენ საკრედიტო საქმისათვის საკრედიტო დისციპლინის უქონლობით შექმნილ მძიმე მდგომარეობას და არკვევენ მის გამომწვევ მიზეზებს:

„1926 წ. გაზაფხულზე ტამბოვის გუბერნიის გლეხებზე ირიცხებოდა ვადაგასული სესხი 300.000 მან. რაოდენობით, ხოლო ამხანაგობებს საზოგადოებებისათვის ვადაზე არ ჰქონდათ დაბრუნებული 900.000 მან. რაა ამის მიზეზი? ის, რომ ამხანაგობები გლეხებისათვის სესხად დასარიგებელ ფულს აბანდებენ ვაჭრობაში და სხვადასხვა გაუმართლებელ წამოწყებებში.

ამხანაგობას, რომელიც თვითონ იჩენს საკრედიტო დისციპლინის სისუსტეს, არ შეუძლია თავისი წევრობა ამ დისციპლინას შეაჩვიოს და ამიტომ სესხის ვადაზე დაუბრუნებლობა — ჩვეულებრივი მოვლენაა უბრალო წევრებს შორის...

— ჩვენს ამხანაგობაში,—სწერს გაზეთის ერთი კორესპონდენტი, ითვლება დიდძალი სესხი, რომლის ვადა გადაცილებულია 4—8 თვით და უფრო მეტი ხნით. ამხანაგობა იძულებულია თითქმის მთლად შესწყვიტოს მუშაობა. ის ნდობას კარგავს ბანკში. წევრთა უმრავლესობა ასე მსჯელობს: „რაკი მე წევრი ვარ, ვალდებული არიან სესხი მომცენ. ხოლო ვადაზე მის დაბრუნების შესახებ ჩვენ კიდევ მოვიფიქრებთ. დასაბრუნებელიც არაფერი მაქვს". მას არ სურს იმის შეგნება, რომ მისი მეზობელი, რომელსაც ცხენი ან გუთანი ესაჭიროება, სწორედ მისი დავალიანების გამო ვერ ღებულობს სესხს და უსაყვედურებს ამხანაგობას, რომ ერთს მისცა, ხოლო მეორეს არა.

— არა იშვიათად გლეხები სესხს იყენებენ, —იუწყება მეორე კორესპონდენტი,—საოჯახო საჭიროებისათვის, და არა ცხენის ან ინვენტარის შესაძენად. არის შემთხვევები, როცა სესხს ლოთობაში ანიავებენ. რა თქმა უნდა, ამხანაგობა ასეთ მიზნებზე სესხს არ იძლევა, მაგრამ მას ატყუილებენ, თითქო სესხი საწარმოო საჭიროებაზე გამოქონდეთ".

ამ ფაქტებიდან აშკარაა, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული სასოფლო-კრედიტის საქმის გაჯანსაღებისათვის. ამხანაგობებმა ხელი უნდა აიღონ კრედიტების ვაჭრობასა და სხვადასხვა წამოწყებებში დაბანდებაზე, ვინაიდან ამას მეტ წილად ზარალი მოსდევს. გლეხობას სესხი უნდა მიეცეს მხოლოდ საწარმოო მიზნებისათვის, და ამხანაგობამ ფხიზელი მეთვალყურეობა უნდა გასწიოს, რათა გაცემული სესხი სხვა დანიშნულებას არ ხმარდებოდეს. ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ღარიბ მეურნეობათა აღორძინებისათვის, არამედ იმ მხრივაც, რომ მაშინ სესხის დაბრუნება უზრუნველყოფილი იქნება. გლეხობაში უნდა აღმოიფხვრას ის ყალბი შეხედულება, თითქო სესხი ქველმოქმედებას და საჩუქარს ნიშნავდეს. საკრედიტო დისციპლინა მტკიცედ უნდა გატარდეს როგორც ამხანაგობებში, ისე მათ ცალკე წევრთა შორის, მის დამრღვევთა წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღებით.

ჩინეთში ძლიერდება ანტიბრიტანული მოძრაობა

შანხაიში გამოცხადებულია საალყო წესები

ხანკოუში თავს იყრის 14 სამხედრო გემი

იაპონია ჯერ-ჯერობით თავს იკავებს ყოველგვარი გამოსვლებისგან

ამერიკის პრესა წინააღმდეგია ჩინეთის საქმეებში ჩარევის

მდგომარეობა ხანკოუსთან

პეკინი, 10 სექტემბერი. **ხანკოუსთან სარკინიგზო და სატელეგრაფო ურთიერთობა შეწყდა. მიღებული ცნობებით, ხანკოუ დაკავებულია კანტონის ჯარების მიერ,** რომელთაც გადასჭრეს პეკინ-ხანკოუს რკინის გზა ჯერ კიდევ ქალაქის აღებამდე.

ხანკოუდან მოსულ უკანასკნელ ცნობების მიხედვით, რომელიც დიდი დაგვიანებით იქნა მიღებული, ირკვევა, რომ ხუნანის პროვინციის სამოქალაქო გუბერნატორმა ლუ-ცძუ-ლუნმა უღალატა უ-პეი-ფუს და **ხანკოუში დარჩა.**

იტყობინებიან, რომ უჩ-ჩანში ჩამორჩა უ-პეი-ფუს ჯარის ნაწილი; მოლაპარაკება სწარმოებს მათ განიარაღებისათვის.

ამერიკის პრესის აზრი

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. გაზეთი „ნიუ-იორკ- ტაიმსი", რომელიც ხშირათ ინგლისს მხარს უჭერს, აცხადებს, რომ თუმცა ინგლის-ჩინეთის ინციდენტი მდინარე იან-ცზი-ცზიანზე წარმოადგენს ინგლისელების წინააღმდეგ მოქმედებას ჩინელების მხრით, მაგრამ **ის ამავე დროს ეხება ყველა უცხო სახელმწიფოებს. ამასთან ერთათ გაზეთი სწნობს დიდი სახელმწიფოების უძლურებას.**

„უწინ,—სწერს გაზეთი — სახელმწიფოს პრესტიჟის აღდგენა შეიძლებოდა ნაღმოსნების დიდი რაოდენობის გაგზავნით და შეიარაღებულ ძალების დამუქრების გზით. **ეხლა კი ასეთი პოლიტიკა მხოლოთ გაართულებდა მდგომარეობას და გამოიწვევდა ხანგრძლივათ მტრულ ურთიერთობას.** ეს, ცხადია, არავის არ გამოადგება, გარდა საბჭოთა კავშირისა".

სხვა გაზეთების კომენტარიებიც მიმართულია აგრეთვე იმისკენ, რომ შეერთებულ შტატებმა მონაწილეობა არ მიიღონ ჩინეთის წინააღმდეგ რაიმე საერთო მოქმედებებში.

„ბალტიმორ-სენი" სწერს: „აშკარაა, რომ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის ხალხები არ დაუშვებენ საერთო ომს ჩინეთის წინააღმდეგ. ბევრი უცხოელი ცუდათ ექცევა ჩინელებს, მტრული და დაუშვებელი დამოკიდებულობით. **ჩინეთის წინააღმდეგ ომი სულ ადვილათ გააერთიანებდა ჩინეთის ყველა ჯგუფებს**".

რეაქციონური პრესა ინციდენტზე ლაპარაკობს ინგლისისადმი მტრული კილოთი.

საფრანგეთის პოზიცია

პარიზი, 10 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ ამ ჟამად არაა დრო ჩინეთის ამბების შესახებ საკითხის წამოყენებისა. მინისტრთა საბჭოს ეხლა არ აქვს განზრახვა, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოთა გაერთიანებულ გამოსვლაში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ და დაცულ იქნას ფრანგი მოქალაქეების ქონება ჩინეთში.

ამერიკის განცხადება

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის ცნობაში ხაზი გაუსვა იმას, რომ **ინციდენტი მდინარე იან-ცზე-ციანზე არ ეხება ამერიკის ინტერესებს.**

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

პეკინი, 11 სექტემბერი. **ჩინეთის სხვა და სხვა ქალაქებში გამართეს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.** განსაკუთრებული ზეიმით ჩაატარეს ის კანტონში.

კომუნისტების დაპატიმრება ჩინეთში

პეკინი, 10 სექტემბერი. შანდუნიდან იუწყებიან, რომ ცინდასში აღმოჩენილია კომუნისტური ორგანიზაცია. რამოდენიმე პირი დატუსაღებულია.

გამარჯვების დღესასწაული

კანტონი, 11 სექტემბერი. **გამარჯვების გამო მთავრობამ საზოგადო ორგანიზაციებთან ერთად გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრო 400 კაცი.**

იაპონიის მთავრობის განცხადება

ტოკიო, 11 სექტემბერი. იაპონიის სააგენტოს ცნობებით, **იაპონიის მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ჯერ არ დამდგარა დრო ჩინეთის შესახებ რაიმე დადებითი ზომების მიღების განხილვისა.** საგარეო საქმეთა მინისტრს—**შიდეხარს** წინადადება მიეცა საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ყველა ზომები, რომლებსაც ის დაინახავს საჭიროთ.

გომინდანის ორგანოს აზრი

პეკინი, 10 სექტემბერი. გომინდანის ორგანო „პიპლს ტრიბიუნი", ეხება მუკდენის ხელისუფალთა მტაცებლურ გამოსვლებს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე და სწერს:

„მუკდენს ალბად სურს, რომ ურთიერთობა შესწყდეს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, ვინაიდან საბჭოთა კავშირის მიმართ იგი ისე მოქმედებს, თითქოს ეს უკანასკნელი მისთვის მტრულად განწყობილ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. იმპერიალისტური გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მუკდენის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან გვიჩვენებს, რას უნდა ველოდეთ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთთან თანასწორ უფლებიანობის ნიადაგზე დავდებთ ხელშეკრულობას. ამგვარად, მუკდენი მოქმედებს იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესებისათვის, თუმცა იგი ამას უარყოფს".

ჩინეთ - საბჭოთა ხელშეკრულებათა შესახებ ამ წერილში ნათქვამია:

„თუ არსებობს უთანხმოება ამ ხელშეკრულობათა ცხოვრებაში გატარების შესახებ, (რომ დაუშვათ ისიც, რომ თვით ხელშეკრულობაში არის ნაკლი) ჩვენ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ შეიძლება ეს საკითხები მეგობრული წესით მოგვარდეს, ვინაიდან **საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ გამოსთქვა, რომ იგი მზადაა განიხილოს ყოველგვარი საკითხი, რომელიც კი შეიძლება იქნას აღძრული ჩინეთის ხელისუფალთა მიერ.** მუკდენის ეხლანდელმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობის შეწყვეტა ამ ორ სახელმწიფოს შორის და ზიანი მიაყენოს ჩინეთის ეროვნულ ინტერესებს".

რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში

პეკინი, 10 სექტემბერი. მას შემდეგ, რაც დაკავებულ იქნა ხუნანი, რევოლიუციონური მოძრაობა ფართოვდება. პროფკავშირების მასიური ორგანიზაციები, გომინდანი და კომპარტია იზრდება. პროვინციალური ადმინისტრაცია გადახალისებულია სავსებით. რადგან გლეხებმა საჩივარი შემოიტანეს სოფლის მილიციაზე, რომელიც მემამულეთა იარაღს წარმოადგენს, მილიცია დაშლილია და დგება ახალი. სასკოლო პროგრამებში შეტანილ უნდა იქნას სუნ-იატ-სენის მოძღვრება და ცნობები რევოლიუციონურ-ნაციონალურ მოძრაობის შესახებ. მთელ პროვინციაში ეწყობა მრავალრიცხოვანი მიტინგები, მიტინგზე, რომელიც შესდგა იო-ჯაში და რომელსაც 30.000 კაცი დაესწრო, ჯარის მეთაურმა ხო-ჩი-ენმა სთქვა: „ჩვენ ვიბრძვით თავისუფლებისა და თანასწორობისათვის. მხოლოდ რევოლიუციის გზით მივაღწევთ ჩვენ პოლიტიკურ და ეკონომიურ საერთაშორისო თანასწორობას. ჩვენ არ ვფიქრობთ შემოვიღოთ კომუნიზმი, მაგრამ ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა ვიმუშაოთ კომუნისტებთან ერთად, რადგან მიზანი ჩვენი ერთია".

საალყო წესები

პარიზი, 11 სექტემბ. **ხანკოუში თავმოყრილია 14 სამხედრო გემი. შანხაიში გამოცხადებულია საალყო წესები.**

რეიტერის სააგენტოს მიერ ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იაპონიაში არ არიან განწყობილი ჩაერიონ ჩინეთის საქმეებში, რადგან შიშობენ, რომ ეს ჩარევა გამოიწვევს ქსენოფობოს (სიძულვილი უცხოელების მიმართ).

ბერლინი, 11 სექტემბ. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, **პროვინცია შე-მუანში იზრდება ანტი-ბრიტანული მოძრაობა.** გადმოგვცემენ, აგრეთვე რომ **უ-პეი-ფუმ პროტესტი განაცხადა იან-ცზე-კიანგზე ბრიტანეთის გემების თავაშვებულობის წინააღმდეგ.**

იაპონიის წრეები ჩინეთში წინააღმდეგი არიან ჩინეთის საქმეებში ჩარევისა.

ბრიტანეთის საამირბაროს ცნობით, უკანასკნელ ბრძოლებში იან-ცზე-კიანგზე მოკლულია 17 მეზღვაური და დაჭრილი 50.

კიდევ ერთი ომი

პეკინი, 10 სექტემბერი. მთელი პრესა ლაპარაკობს ახალი ომის შესახებ სუნ-ჩუან-ფანისა და კანტონის ჯარებს შორის. სამხედრო მოქმედებანი, ალბად უკვე დაიწყო, მაგრამ ამ ფრონტიდან ცნობები არაა.

რეიტერის ცნობით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში მუკდენიდან ჩჟილიში გაიგზავნა მნიშვნელოვანი ძალები. ამავე ცნობების მიხედვით, ჩან-ძო-ლინს განზრახვა აქვს, რომ მალე ჩავიდეს პეკინში.

ინტერვენციის საკითხი

ლონდონი, 10 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი სწერს:

„საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინგლისის ინიციატივა, სახელმწიფოთა ჩინეთში შეთანხმებულ მოქმედების საკითხში, კეთილსასურველ გამოძახილს ჰპოვებს ორ ცენტრში მაინც—ტოკიოსა და რომში.

სასამართლოების საკითხი

ლონდონი, 10 სექტემბერი. მოვიდა ცნობები იმ წინასწარი შეთანხმების შინაარსის შესახებ, რომელიც დაიდო შანხაიში შერეულ სასამართლოების ჩინეთის ხელისუფალთათვის გადასაცემად. იმის გამო, რომ ჩინეთის ხელისუფლებმა გაილაშქრეს არსებული წესების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს უცხოელი მოსამართლეების მიერ ისეთი საქმეების გარჩევასაც, რომელშიაც უცხოელები არ არიან ჩარეული და ეხება მხოლოდ ჩინელებს, სახელმწიფოები დასთანხმდენ, რომ ასეთ საქმეთა გარჩევა ჩინელ მოსამართლეებს გადაეცეთ.

მაგრამ ის საქმეები, რომლებშიაც ერთ ან ორივე მხარედ არიან უცხოელები, კვლავ აუცილებლად უცხოელი მოსამართლეების მიერ უნდა იქნან გარჩეული. ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, იტალიის გარდა, მიიღეს თავიანთი მთავრობებისაგან ინსტრუქციები, რომ ხელი მოაწერონ ამ შეთანხმებას.

საფრანგეთის მთავრობა და ინტერვენციის საკითხი

პარიზი, 10 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: სამხედრო მინისტრმა პენლევემ და საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა ტარდიემ განაცხადეს, რომ მინისტრთა საბჭო არ ფიქრობს ამჟამად განიხილოს საკითხი სახელმწიფოთა გაერთიანებული გამოსვლის შესახებ ჩინეთში. ინგლისს ოფიციალურად არ უცნობებია საფრანგეთისათვის მდინარე იან-ცზი-ცზიანზე ჯაშენიანი გემის გაგზავნის შესახებ.

ამერიკის პოზიცია

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. „ასოშაიტედ პრესი" ათავსებს შანხაიში მყოფ ამერიკის ელჩის მიერ იმ ხმების გაბათილებას, რომ თითქოს შეერთებულ შტატების სამხედრო ხომალდებიც ჩაერიენ იან-ცზი-ზიანზე მომხდარ ინციდენტში.

პრინც გეორგის მოგზაურობა

პეკინი, 10 სექტემბერი. ჩან-ძო-ლინის შვილმა ჩან-სუ-ელინმა გადასდო დროებით გამგზავრება მუკდენში, რადგან ის თან ახლავს პრინც გიორგის (ინგლისის მეფის მეოთხე შვილი), რომელიც ნანკოუში მიემგზავრება.

კანტონის ჯარების სარდლის განცხადება

პეკინი, 10 სექტემბერი. კანტონის ჯარების სარდალმა ჯან-კაი-შიმ გამოაქვეყნა უცხოელების საყურადღებოთ შემდეგი განცხადება: „კანტონის მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ყველა უცხოელები, რომლებიც არ გვიშლიან ხელს რევოლიუციონურ მუშაობაში, იპოვიან მფარველობას რევოლიუციონური ჯარების და ყველა მოქალაქეთა მხრივ. ის უცხოელები კი, რომლებიც რევოლიუციონურ მოძრაობის მტრებს უერთდებიან დასჯილი იქნებიან სამხედრო დროის კანონებით".

საფრანგეთის პრესა ჩინეთის ამბების შესახებ

პარიზი, 10 სექტემბერი. საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ჩინეთის ამბებს. თუმცა ბურჟუაზიული გაზეთები ლაპარაკობენ "ბოლშევიკური საფრთხის შესახებ ჩინეთში". მაგრამ მიუხედავათ ამისა, მრავალი მათგანი აღიარებს, რომ ჩინეთში ეროვნული მოძრაობა ვითარდება და იზრდება.

„ერ ნუველ"-ი (მემარცხენე ბლოკის ორგანო) სთვლის, რომ ძლიერ გაძნელდება ინგლისის შეკავება ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან, რადგან იმ სულის გამოძახილი, რომელიც მას ჩინეთში გაარტყეს მთელ ქვეყანას მოედო".

ჩინეთის ამბები

კანტონის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა

კანტონი, 10 სექტემბერი. როგორც უკვე იყო ცნობა, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები ძალით შეიჭრენ 4 სექტემბერს კანტონის სანაპირო ნაწილის დასავლეთ მხარეზე. ამასთან დაკავშირებით კანტონის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი ჩენ-მა გაუგზავნა ინგლისის კონსულს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: „სამხედრო - საზღვაო ძალების გადმოსხმა მარტო საერთაშორისო უფლების დარღვევას კი არ მოასწავებს, არამედ ის თანამედროვე პირობებში მატერიალურ და მორალურ შეტევაზე გადმოსვლასაც ნიშნავს, რასაც შეუძლია ახალი ომი გამოიწვიოს. თქვენი სამხედრო გემები ისეთ ღონისძიებებს მიმართავენ, რომლებსაც მიზნათ აქვთ საპასუხო მოქმედების გამოწვევა და ისეთი ინცინდენტების შექმნა, რომლებიც ხელს შეუშლიან კანტონის მთავრობას სათანადოთ განაგრძოს ეხლანდელი ძლევამოსილი კამპანია ცენტრალურ ჩინეთში უ-პეი-ფუს წინააღმდეგ, რომელიც, არსებულ ცნობების მიხედვით ინგლისელების ფართო დახმარებით სარგებლობს. ასეთი ინციდენტების შექმნა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების პოლიტიკური მიზანია, მაგრამ კანტონის მთავრობა არ წამოეგება აშ ანკესზე". დასასრულ ნოტა პროტესტს აცხადებს ინგლისელების საქციელის წინააღმდეგ და მოითხოვს სამხედრო გემების დაბრუნებას ნავთსადგურებში.

ერთა ლიგის სესია

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 11 სექტემბერი. გერმანელ ჟურნალისტთან ინტერვიუში ჩემბერლენმა სთქვა, რომ ერთა ლიგაში გერმანიის მიღება მისთვის წარმოადგენს უდიდესი კმაყოფილების წყაროს, რადგან ლოკარნოს სული ცოცხლობს და მტკიცდება და სწორედ ის ასულდგმულებდა სათანადო ქვეყნების პოლიტიკას. ეხლა იწყება ახალი ეტაპი ყველა ქვეყნების თანამშრომლობის გზაზე. იმისათვის, რომ მომავალში თავიდან ავიშოროთ იმედის გაცრუება, ადამიანურ და ნაციონალურ გრძნობებისაგან არ უნდა მოველოდეთ და ვერც მოვითხოვთ იმაზე მეტს, რის მოცემაც შეუძლიათ. ბევრი გაკეთებულია, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მომავალი მუშაობა მოითხოვს დიდ დროს და მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთები მეტის მოლოდინში იქნებიან. და რადგან სასწაულები არ ხდება, მაშინ მოსალოდნელია იმედების გაცრუება.

ჩემბერლენი ეთანხმება შტრეზემანს იმაში, რომ არის ყველა შესაძლებლობანი ანტი-მილიტარისტებათ გახდომისა. გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენლები გამოსთქვამდენ გადაწყვეტილებას დაივიწყონ ძველი უსიამოვნებანი და შესწყვიტონ იარაღით ქიშპობა—ქიშპობა, რომელიც ასე საბედისწერო იყო ორივე ერისთვის და ტკივილების მიმყენებელი იმ ხალხთათვის, რომელნიც ჩაერიენ მათ უსიამოვნებაში. ჩემბერლენმა სთქვა, რომ ის მთელი ინგლისის ხალხის აზრს გამოსთქვამს მაშინ, როცა აცხადებს, რომ ინგლისი სიამაყით მიიღებს მონაწილეობას ისეთ კეთილ საქმეში, როგორიცაა ამ ორი დიდი ქვეყნისათვის დახმარების გაწევა დიადი მიზნების მისაღწევად. ჩემბერლენს გულწრფელად სწამს, რომ მომავალში განხორციელდება დღევანდელი დაპირებები, რომ მომავალში ყველა უფრო ადვილად მიუხვდება ერთი მეორის გულის პასუხს და წარსულში გაუფრთხილდებიან მხოლოდ იმას, რაც დიადი იყო მათ ისტორიაში, ხოლო მწარე მოგონებებს აღარ ექნება ადგილი.

გერმანიის დელეგატები ერთა ლიგაში

ბერლინი, 11 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმის სხდომაზე, 10 სექტემბერს პირველად დაესწრენ გერმანიის დელეგატები. დელეგაციის შესვლას დარბაზში მხურვალე ტაშით შეხვდენ. ლიგის სახელით დელეგაციას მიესალმა კრების თავმჯდომარე, სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი. საპასუხო ვრცელი სიტყვით გამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტრეზემანი.

„იმ ფაქტს, განაცხადა შტრეზემანმა, რომ გერმანია და სახელმწიფოები, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ გამოდიოდენ ომის დროს, ერთა ლიგაში გაერთიანდენ ხანგრძლივი მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. შტრეზემანის სიტყვით, გერმანია სცდილობს ითანამშრომლოს ერთა ლიგაში წარმოდგენილ ყველა ხალხთან ურთიერთ ნდობის ნიადაგზე და ყოველგვარ პირად სიმპატია-ანტიპატიის გარეშე.

შტრეზემანის შემდეგ გამოვიდა ბრიანი, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის მეგობრული თანამშრომლობა გასწიოს გერმანიასთან. „ერთა ლიგის გარეშე არ შეიძლებოდა დამდგარიყო ისეთი დღე, როდესაც ხალხები, რომლებიც უსაშინელესი მტრები იყვნენ ომის დროს, შესძლებდენ განეცხადებიათ სურვილი ერთი მეორესთან თანამშრომლობისა, მშვიდობიანობის დასამყარებლად".

თავისი სიტყვა ბრიანმა დაამთავრა შემდეგი განცხადებით: „მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ გვექნება შემთხვევა კვლავ მივესალმოთ ბრაზილიას და ესპანეთს როგორც ლიგის წევრებს". შემდეგ პლენუმმა მიიღო ჩემბერლენის წინადადება ორივე სიტყვის მთლიანად გამოქვეყნების შესახებ „ბიულეტენში".

ესპანეთის განცხადება

პარიზი, 11 სექტემბერი. ერთა ლიგის გენერალურმა სამდივნომ მადრიდიდან მიიღო ოფიციალური ნოტა, რომელიც შეიცავს **ესპანეთის განცხადებას იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს გამოვიდეს ერთა ლიგის შემადგენლობიდან ორნახევარ წლის შემდეგ ნოტის მიღების დღიდან.**

ნოტის ტექსტი მოკლეა და მეტად თავაზიანია. დღეს ნოტის შინაარსი გადაეცემა დელეგაციას, და შემდეგ პრესას.

ყუბას პოზიცია

პარიზი, 11 სექტემბერი. ჰავანიდან მიღებული ცნობებით, ყუბას პრეზიდენტმა უარჰყო ერთა ლიგის საბჭოში არა მუდმივ ადგილის მიღება.

ჩინეთის მოთხოვნილება

ბერლინი, 11 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს მომავალი შემადგენლობის განხილვის დროს, **ჩინეთის დელეგატებმა მოითხოვა, რომ 2 აზიურ ადგილიდან ერთი დეთმოს ჩინეთს 3 წლის ვადით.**

შედგენილია ქვეკომსია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს არა მუდმივ ადგილებზე კანდიდატების ხელ-ახლა გადარჩევის პროექტი.

საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობა აღფრთოვანებულია **შტრეზემანის** მიერ თქმული სიტყვით. ნაციონალისტური ორგანოები კი სკეპტიკურად უყურებენ მას. „ავენირი" ფიქრობს, რომ ახლო მომავალში გერმანია დაიწყებს ენერგიულ კამპანიას განიარაღების საკითხზე.

ლონდონის პრესაც აღფრთოვანებულია შტრეზემანის სიტყვით და გამოსთქვამს სურვილს ევროპაში მუდმივი მშვიდობიანობის დასამყარებლად.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესი

პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხი კონგრესზე

ბორნემუთი, 10 სექტემბერი. 10 სექტემბერს პროფკავშირთა კონგრესმა განიხილა პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობის საკითხი. მეუმცირესეთა ფრაქციის წარმომადგენლები გამოვიდნენ გენერალური საბჭოს უმოქმედობისა და საბოტაჟის კრიტიკით პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხში. სამთამადნო მუშათა ფედერაციის წევრმა—**ხორნერმა** ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭირო არა მარტო სრ. საკავშ. პროფსაბჭოს დაშვება ამსტერდამის ინტერნაციონალში, არამედ პროფმოძრაობის მთლიანობის ნამდვილი მიღწევა საერთაშორისო მასშტაბით.

პიუმ განაცხადა, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის უკანასკნელი თათბირების შედეგად, გენერალურმა საბჭომ გადასწყვიტა მთელი საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ გადასდოს 3 თვით.

მანქანმგებელთა გაერთიანებული კავშირის დელეგატმა—**ტანნერმა შეიტანა** შეკითხვა—მართალია თუ არა, რომ ინგლისის დელეგაციამ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მიერ პარიზსა და ბერლინში გამართულ სხდომებზე უარჰყო სამთამადნო მუშებისათვის დახმარების საკითხის განხილვა? პიუმ უპასუხა, რომ კითხვის ასე დაყენება არ არის სწორი იმდენად, რამდენად ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტს არ ჰქონდა უფლება ამ საკითხის განხილვისა.

გენერალურ საბჭოს სახელით გამოსულმა **პერსელმა** განაცხადა, რომ პროფმოძრაობის მსოფლიო კონგრესის მოწვევა იმ ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებიც არ შედიან ინტერნაციონალში, არა თუ არ დასძრავს ადგილიდან საერთაშორისო პროფმთლიანობის საქმეს, არამედ, პირიქით, მრავალი წლით შეაჩერებს მას. პერსელმა აღნიშნა, რომ სრ. საკავ. პროფსაბჭოს და ამსტერდამის ინტერნაციონალის კონფერენცია, დაუშვათ, რომ ის დასრულდეს სრ. საკ. პროფსაბჭოს შესვლით ამსტერდამის ინტერნაციონალში, შესაძლებლობას მისცემდა ყველა, ამსტერდამისაგან ჩამოშორებულ პროფკავშირებს, ყოველგვარ შეფერხების გარეშე შესულიყვნენ არსებულ „მართლმორწმუნე" პროფკავშირებში (პერსელს მხედველობაში აქვს პროფინტერნის ლიკვიდაცია). „დამოუკიდებლად იმისა, თუ რა სთქვა ტომსკიმ თავის დეპეშაში, განაცხადა პერსელმა: არის შესაძლებლობა ჩვენს მხარეზე რუსების გადმოყვანისა პროფმოძრაობის მთლიანობის მიღწევის მიზნით".

ელსბერიმ, რომელიც იცავდა შეკერილ ტანსაცმელის მუშათა კავშირის რეზოლუციას, რომელშიც გამოთქმული იყო მწუხარება იმაზე, რომ საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობა არ იყო განხორციელებული, და რომელიც დაჟინებით მოითხოვდა მის განსახორციელებლად გენერალურ საბჭოს მხრივ ყოველგვარ ღონისძიებების მიღებას, სთქვა: „ჩვენ არარაფერს არ მოველით ამსტერდამის ინტერნაციონალისაგან".

მანქანმგებელთა გაერთიანებული კავშირის წარმომადგენელმა — **ტანნერმა** ელსბერის რეზოლუციის შესწორების სახით შეიტანა მანქანმგებელთა კავშირის რეზოლუციის დასკვნითი ნაწილი, რომელიც მოითხოვს „ყოველგვარ შეზღუდვისაგან თავისუფალ ამსტერდამისა და პროფინტერნის გაერთიანებულ კონფერენციის მოწვევას, რომლებიც წარმოადგენენ პროფმოძრაობის ორ უდიდეს, მსოფლიო დაჯგუფებას, რომ ამით საძირკველი ჩაუყაროთ საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობას".

ტანნერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროფინტერნში შედიან საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ქვეყნების გავლენიანი პროფესიონალური ორგანიზაციები. „მხოლოდ პროფინტერნის და ამსტერდამის გაერთიანებულ კონფერენციას შეუძლია, განაცხადა ტანნერმა, პროფმოძრაობის როგორც ნაციონალური, ისე საერთაშორისო მთლიანობა". შემდეგ ტანნერმა აღნიშნა, რომ პროფინტერნს მხარს უჭერენ, აგრეთვე, ამსტერდამის ინტერნაციონალის ორგანიზაციების გავლენიანი უმცირესობები, როგორც, მაგალითად, გერმანიის, შეერთებული შტატების და ინგლისის უმცირესობანი. შემდეგ ტანნერმა გამოაქვეყნა კონსერვატიულ გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" მეთაური, რომელიც იცავს ინტერვენციის იდეას ჩინეთში, და აღნიშნავს, რომ ჩინეთთან ომის საშიშროება წარმოადგენს საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს პროფმოძრაობის მთლიანობის საჭიროებათა საერთაშორისო მასშტაბით.

შემდეგ გამოსულმა ბრომლეიმ განაცხადა, რომ გენერალური საბჭო მზადაა მიიღოს ელსბერის რეზოლუცია, მაგრამ წინააღმდეგია ტანნერის შესწორებისა. ბრომლეი აშკარად თავს დაესხა პროფინტერნს და განაცხადა, რომ უკანასკნელმა „გამოიწვია პროფმოძრაობაში განხეთქილება" საფრანგეთსა და გერმანიაში და სურს უკარნახოს სხვებს თავისი დიქტატურა და სხვ. შემდეგ ბრომლეი შეეცადა კონგრესის წევრები ამხედრებინა უმცირესობის წინააღმდეგ, და განაცხადა, რომ მას ხელთ აქვს ცირკულიარი, „უცხო ორგანიზაციის" მიერ ზოგიერთ დელეგატებისადმი გაგზავნილი, რომელიც ინსტრუქციებს აძლევს ამ დელეგატებს, თუ რა საკითხები აღძრან კონგრესზე და სხვ.

ბრომლეის მიერ ტომასის მეთოდის ხმარებამ, იმ მეთოდის, რომელიც ტომასმა იხმარა ვეიმუტში გამართულ რკინისგზელთა კავშირის ნაციონალურ კონფერენციაზე, სადაც ტომასმა უმცირესობის დელეგატებს ბრალი დასდო „მოსკოვისადმი დამორჩილებაში", გამოიწვია დელეგატთა ნაწილის აღშფოთება, და ბრომლეის აღარ მისცეს სიტყვის გაგრძელების საშუალება, რამაც აიძულა ბრომლეი დაეტოვებინა ტრიბუნა.

ოპონენტებისადმი პასუხში ელსბერიმ აღნიშნა, რომ გენერალურ საბჭოსაგანაა დამოკიდებული—დარჩება თუ არა რეზოლუცია კეთილ სურვილად. ელსბერიმ შემდეგ განაცხადა, რომ ის უარჰყოფს ბრომლეის მდაბიო და შინაურ შენიშვნებს. „განა გენერალური საბჭო, სთქვა ელსბერიმ, ელოდა, რომ ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი იქნებოდა ურთიერთ აღფრთოვანების საზოგადოება, რომელიც კვლავ დარჩება ღალატისა და გამცემლობის ფარდათ".

მანქანმგებელთა კავშირის შესწორება უარჰყო 2.416.000 ხმის უმრავლესობით 1.237.000 წინააღმდეგ (უმცირესობა, რომელიც მხარს უჭერდა შესწორებას, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო).

ელსბერის რეზოლუცია მიღებულ იქნა 2.959.000 ხმის უმრავლესობით 814 ათასი წინააღმდეგ. შემდეგ კონგრესმა გარეშე სერიოზული განხილვისა, უარჰყო ის დამმუშავებელთა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა პროფკავშირთა საბჭოების წარმომადგენლობას ტრედ-უნიონთა კონგრესზე. დასასრულ კონგრესმა ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლუცია მთავრობის მუქარის წინააღმდეგ—აუკრძალოს სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირებს ტრედ-იუნიონთა კონგრესში შესვლა.

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის დახურვა

ბორნემუთი, 11 სექტემბერი. დილით, 11 სექტემბერს დაიხურა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე ხორნერმა სამთამადნო მუშათა ფედერაციის სახელით შეიტანა სასწრაფო რეზოლუცია აღმოსავლეთიდან ომის საფრთხის შესახებ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზაზე ჩან-ძო-ლინის მტაცებლობას, ალბად, ზურგს უმაგრებენ ინგლისი და იაპონია. რეზოლუცია პროტესტს აცხადებს იმპერიალისტურ სახელმწიფოების მოქმედების წინააღმდეგ, რასაც შეუძლია ახალი ომი გამოიწვიოს ან შორეულ აღმოსავლეთსა ან და ევროპაში. რეზოლუცია დასძენს, რომ **იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სურთ საბჭოთა კავშირის დამსხვრევა, რომლის მშრომელებიც დახმარებას უწევენ ინგლისის მემაღაროებს.**

ყრილობამ მიიღო ხორნერის მიერ წარდგენილი რეზოლუცია. დასასრულ მოხდა გენერალურ საბჭოს არჩევნები. **ხელახლა არიან არჩეული ძველი შემადგენლობის წევრები, გარდა მერი ქვეილისა** (მუშა-ქალთა კავშირი) და **ლესლისა** (ნოქართა ნაციონალური კავშირი). ლესლის მაგიერ არჩეულია **ხილსვორდი**, ნოქართა ნაციონალურ კავშირის გენერალური მდივანი, რომელიც მემარცხენე ფრთის მომხრედ ითვლება.

კუკი სრ. საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვის შესახებ ტრედ-იუნიონთა კონგრესისადმი

ლონდონი, 11 სექტემბერი. კუკმა, სრულ. საკავ. პროფსაბჭოს მიმართვის გარშემო ტრედ-იუნიონთა კონგრესისადმი, განაცხადა შემდეგი: „ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ რუს მუშებს ინგლისის მემაღაროებისადმი გაგზავნილ დახმარების გამო მოუხდებათ იერიშების ატანა არა მარტო კაპიტალისტურ მთავრობისაგან, არამედ ტრედ-იუნიონთა ბელადებისაგანაც.

ერთად-ერთი განმარტება, რომელიც მე შეიძლება მივცე კონგრესის პასუხს სრ. საკავ. პროფსაბჭოს მიმართვაზე, გამოიხატება იმაში, რომ ტრედ-იუნიონთა ლიდერებს შორის იმყოფებიან ისეთები, რომელთაც სურთ ჩვენი დამარცხება. ჩვენ რო არ შევთანხმებოდით გენერალურ საბჭოს საყოველთაო გაფიცვაზე დისკუსიის დროებით შეწყვეტის შესახებ, რასაც მე ეხლა ვწუხვარ, მაშინ ჩვენ შეგვეძლო უფრო საშინელ ამბების გამომჟღავნება, ვიდრე ტომსკის მიერ აღნიშნულია მის დეპეშაში".

თეთრი ტერორის საშინელებანი

მოსკოვი, 11 სექტემბ. 1 სექტემბერს რემედასის ალმასკომის პრეზიდიუმის სპეციალურ სხდომაზე სამხრეთ-სლავიის ცნობილმა რევოლიუციონერმა **ვუკაშინ მარკოვიჩმა** გააკეთა მოხსენება თეთრი ტერორისა და პოლიტიკურ ტუსაღების მდგომარეობის შესახებ სამხრეთ-სლავიის ციხეებში.

„ამჟამად, სამხრეთ - სლავიის მთებში, —განაცხადა ვუკაშინ-მარკოვიჩმა,— **იმალება 10.000-მდე გლეხი. სამხრეთ-სლავიის ტერორმა, რომელიც მხოლოდ კოლჩაკის ტერორს შეიძლება შეედაროს, უკვე რამოდენიმეჯერ გამოიწვია გლეხთა აჯანყება.**

ძნელია იმის გადმოცემა, რაც ხდება ცეტინიეს ციხეებში. მე ფეხებზე მქონდა **16 კილოგრ. სიმძიმის ბორკილები.** ჩვენი ამხანაგები იხოცებოდენ შიმშილისა და ავადმყოფობისაგან. **ბორკილებს ხსნიდენ მხოლოდ მკვდრებს.**

რომ თავიდან მოეშორებინათ პატიმრები, სატუსაღოს ზედამხედველები ღამით წყალს ასხამდენ საკნებში. **წყალი იყინებოდა და კედელზე მიბმულ ტუსაღებს ყინული ჰფარავდა.** ჩემს მეგობარს მუშკოვიჩს საშინლად სცემეს. როცა მან მოითხოვა დასალევი წყალი, მას პირში ჩაასხეს ნარეცხი; ჩემი ვაჟი და ქალიშვილი, რომლებიც ჩემთან ერთად იბრძოდენ, დღემდე ციხეში იმყოფებიან; მათ მისჯილი აქვთ 20 წლის კატორღა. **სამხრეთ-სლავიის ციხეებში არის 4.000-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი.** მათი მდგომარეობა საშინელია. მრავალი მათგანი გამოუძიებლად და დაუკითხავად ზის 7 წელიწადი".

რემედასის ალმასკომის გაფართოებული პრეზიდიუმის რეზოლუცია გამოსთქვამს ულრმეს სიხარულს იმის გამო, რომ რევოლიუციის მებრძოლ რიგებს დაუბრუნდენ სამხრეთ-სლავიის მშრომელთა ძველი რევოლიუციონერები.

ალმ. ჩინ. რკ. გზ. მომხდარი ამბების გამო

ხარბინი, 11 სექტემბერი. ნაოსნობის ხელში ჩაგდებისა და ალმ.-ჩინ. რკ. გზაზე სამოსწავლო განყოფილების დახურვის შემდეგ, ჩინეთის ხელისუფლები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ ახალ უწესრიგობისაგან, ალბად, მოელიან ახალ დირექტივებს მუკდენიდან, სადაც სწარმოებს სამხედრო თათბირი მუკდენის მოძალადების მნიშვნელოვან გენერლებისა.

უკანასკნელ დღეებში მუკდენში დახურეს სკოლა და სახალხო სახლი ზატინში.

ჩრდილო - აღმოსავლეთის ესკადრის უფროსმა, გენერალმა შენმა, გამოსცა ბრძანება, რომელშიც აცხადებს, რომ გზებისა და ნაოსნობის მოსამსახურეთა მიერ დაკავებული შენობები ჩამორთმეულ უნდა იქნენ. მოსამსახურეებს წინადადება მიეცათ დაცალონ ბინები 30 სექტემბრამდე.

ალმ.-ჩინ. რკ. გზის უკანასკნელი ორი მატორიანი ნავი ჩამორთმეულია. გზის კომერციული საწყობები, რომლებიც ნავთსადგურის ახლოს მდებარეობენ, ჯერ-ჯერობით არ არიან განთავისუფლებული სამხედრო საზღვაო ხელისუფლების მიერ. პროფკავშირები განაგძობენ მუშაობას.

თეთრგვარდიელებიც ეტყობა გამოცოცხლდენ, გააძლიერეს პროვოკაციული მუშაობა და ავრცელებენ მოწოდების ფურცლებს.

სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის ალმასკომის სესია

ლონდონი, 11 სექტემბერი. 9 სექტემბერს ლონდონში გაიხსნა სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის ალმასკომის სესია. პირველი დღე მოუნდა მოხსენებების მოსმენას.

10 სექტემბრის სხდომაზე ალმასკომმა განიხილა წინედ წარმოდგენილი მოხსენებები და გადასწყვიტა დაეკითხებოდა ინტერნაციონალში შემავალ ყველა ორგანიზაციებს საერთაშორისო გაფიცვის გამოცხადების შესახებ ინგლისის სამთამადნო მუშათა დასახმარებლად. გამოაქვეყნა რა ალმასკომის ეს გადაწყვეტილება, **ხოჯესმა** განაცხადა, რომ ალმასკომის შემდეგი სხდომა დანიშნულია 30 სექტემბრისათვის და გაიმართება ბელგიაში. ხოჯესმა დაუმატა, რომ თუ ამ დროისთვის არ იქნება გადაწყვეტილი კონფლიქტი ინგლისის სანახშირო მრეწველობაში, მაშინ „ალმასკომი იძულებული იქნება გადასდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენ მიერ მიღებულ მოხსენებებიდან ინტერნაციონალში შემავალ ორგანიზაციებისაგან სხვადასხვა ქვეყნებში".

სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის ალმასკომის 10 სექტემბრის სხდომაზე ირჩეოდა საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირის განცხადება ინტერნაციონალში მისი მიღების შესახებ. სამთამადნო მუშათა ინგლისის ფედერაციის ხაზინადარმა—**რიჩარდსონმა** შეიტანა რეზოლუცია, რომელსაც მხარი დაუჭირა ინგლისის ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ **რიჩარდსმა**. მან წინადადება შეიტანა, რათა ინტერნაციონალის მდივანმა უპასუხოს საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირს, რომ ალმასკომი სიხარულით შეხვდება საბჭ. კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირის შესვლას ინტერნაციონალში იმ პირობით, თუ ის მიიღებს ინტერნაციონალის წესდებას.

ეს რეზოლუცია არ იქნა მიღებული. რის შემდეგ ალმასკომმა დაადგინა გაუგზავნოს საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირს პასუხი, რომელშიც ნათქვამი იქნება, რომ ალმასკომს დღემდე არ მიუღია საბჭოთა სამთამადნო მუშების კავშირის პასუხი კითხვებზე, რომელიც მიეცა მას მისი პირველი განცხადების შემდეგ ინტერნაციონალში შესვლის სურვილის შესახებ. ამას გარდა, ალმასკომმა დაადგინა შეეკითხოს საბჭ. კავშ. სამთამადნო მუშათა კავშირს, ფიქრობს თუ არა ის კამპანიის შეწყვეტას სხვადასხვა ქვეყნების იმ პროფორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ამჟამად ინტერნაციონალში შედიან, და მზად არიან თუ არა საბჭოთა სამთამადნო მუშები გამოვიდნენ პროფინტერნიდან. პასუხში აღნიშნული იქნება, რომ ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში, არ შეიძლება მიღებულ იქნენ სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალში, რადგან ორ ინტერნაციონალში ყოფნა დაუშვებელია.

კუკმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ინგლისის სამთამადნო მუშათა საწევრო გადასახადი სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალში სჭარბობს სხვა ქვეყნების ორგანიზაციების მიერ შეტანილ საწევრო გადასახადის ჯამს, და რომ ხმის მიცემა წარმოებულიყო ამ ორგანიზაციების მიერ შემოტანილ თანხის და შეფარდებით, მაშინ ცხადია, ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაცია მოახერხებდა მისი რეზოლუციის გატარებას. მაგრამ ინტერნაციონალის წესდება ხმის მიცემას აწარმოებს ქვეყნების მიხედვით. „სამთამადნო მუშათა ფედერაციისათვის, განაცხადა კუკმა, სავსებით ნათელია, რომ სამთამადნო მუშათა კონტინენტალურმა კავშირებმა მტკიცედ გადასწყვიტეს არ შეუშვან ინტერნაციონალში საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშები.

მაღაროს მეპატრონეთა ჯიუტობა

თავისას არ იშლიან

პარიზი, 11 სექტემბერი. კარდიფში გამართულ კრებაზე მაღაროს მეპატრონეებმა გადასწყვიტეს დათანხმდნენ მხოლოდ რაიონულ შეთანხმებებზე.

ბერლინი, 11 სექტემბერი, სამხრეთუელსის მაღაროს მეპატრონეებმა კარდიფში გამართულ კონფერენციაზე გადასწყვიტეს მაღაროები დახურული იქონიონ იმ დრომდე, სანამ მემაღაროეები არ შეიცვლიან აზრს სამუშაო ხელფასის საკითხის ნაციონალურ მასშტაბით გადაწყვეტაზე.

ტრედ-იუნიონები

პარიზი, 11 სექტემბერი. ტრედ-იუნიონთა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია მთლიანი ინტერნაციონალის სასარგებლოთ.

კავშირთა გაერთიანება

ლონდონი, 11 სექტემბერი. საფეიქრო მრეწველობის მუშათა სამი კავშირის — ჩამლაგებელთა, შალეულისა და მატყლის გადამმუშავებელთა თათბირმა დაადგინეს შექმნან ერთი მთლიანი კავშირი.

კუკის განცხადება

ლონდონი, 11 სექტემბერი. მემაღაროეთა კავშირმა გამოაქვეყნა ცნობა სრულ. საკავშირო პროფკავშირისაგან 105.000 გირვ. სტერლინგის მიღების შესახებ. ამის გამო კუკმა განაცხადა შემდეგი: „ჩვენ, ეჭვს გარეშეა, მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირის მუშების. ამ ფულმა სულზე მოგვისწრო. **აი ნამდვილი დახმარება, რომელსაც ჩვენ არასდროს არ დავივიწყებთ".**

პილსუდსკი „შვებულებაში"

დიქტატორის წყალობით

ვარშავა, 10 სექტემბერი. იუწყებიან, რომ ამ დღეებში განთავისუფლებენ ყოფილ სამხედრო მინისტრს მალჩევსკის, რომელიც პილსუდსკიმ ვილნოში ყოფნის დროს გამოიწვია ციხიდან სალაპარაკოდ.

ოცნება ბაზრებზე

ვარშავა, 10 სექტემბერი. გაზეთები მსჯელობენ—შეუძლია თუ არა პოლონეთის მრეწველებს შეინარჩუნონ ის ბაზრები, რომელიც მათ დაიპყრეს ინგლისის გაფიცვის დროს? პრესის საერთო აზრით—პოლონეთს ეს არ შეუძლია, ერთი იმიტომ, რომ ინგლისს აქვს უდიდესი გავლენა და მეორეთ იმიტომ, რომ პოლონეთის ექსპორტიორებმა შეილახეს თავისი რეპუტაცია, ვინაიდან სანახშირო სპეკულიაციის დროს არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულებანი.

მეთამბაქოეთა შიმშილი

ვარშავა, 10 სექტემბერი. სახელმწიფოს თამბაქოს ფაბრიკის (ლვოვის მახლობლად) ადმინისტრაციამ დაითხოვა 600 მუშა. **მუშებმა დაიჭირეს ქარხნის შენობა და გამოაცხადეს შიმშილი.**

პილსუდსკი ისვენებს

ვარშავა, 10 სექტემბერი. პილსუდსკი დაბრუნდა დრუსკენიკში, სადაც ის ატარებს შვებულების დროს.

მონარქისტების ყრილობა

ვარშავა, 10 სექტემბერი. ჩენსტოხოვში გაიხსნა მონარქისტების ყრილობა თავადი **დრუცკო - ლიუბეცკის** თავმჯდომარეობით. **ყრილობის შენობაში შეიჭრენ მუშები და კრება დაშალეს.**

დარბაზიდან გამორეკილმა მონარქისტებმა მოაწყვეს დემონსტრაცია და გაემართნენ იასნოგორსკის მონასტრისაკენ.

პუანკარეს „მომჭირნეობის რეჟიმი"

პარიზი, 10 სექტემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომებისა სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად: გაუქმებულია 106 მაზრა, ოფიცერთა კორპუსის რიცხვი შემცირებულია 3.900 კაცით, ცხენოსანი ჯარისა და ცხენების რიცხვი არმიაში შემცირებულია 19.000-ით. ფლოტში შემცირება ჩატარდა პერსონალურად და გაუქმებულ იქნება სხვა და სხვა დაწესებულებანი სამხედრო ნავთსადგურებში—როშფორსა და ლორიანში.

ღამის ცნობები

სესხი საფრანგეთს

ბერლინი, 11 სექტემბერი. პუანკარემ მიიღო ჰოლანდიურ ბანკირების მიერ შეძლეული სესხი 680 მილიონი გულდენი.

ც. ს. კ. დადგენილება, პარტიიდან დათხოვნილ ამხანაგთა სამუშაოდან მოხსნის შესახებ

მოსკოვი, 11 სექტემბერი. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მიაქცია ყურადღება იმ მოვლენას, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაციები ძლიერ აჩქარებით შეუდგენ იმ ამხანაგების სამსახურიდან მოხსნას, რომლებიც დათხოვნილი არიან პარტიიდან, და არ აქცევენ ყურადღებას იმას, რომ შეიძლება მათი მოქმედება არ ახასიათებს მათ, როგორც ცუდ საბჭ. მოსამსახურეებს. ამასთან დაკავშირებით ცენტ. საკ. კომისიამ დაუგზავნა ცირკულიარები ადგილობრივ ც. ს. კომისიებს, რომელშიც ნათქვამა, რომ საჭიროა უფრო ფრთხილი მიდგომა ამ სასაკითხისადმი და არა მექანიკური მოხსნა სამსახურიდან პარტიის ყოფილ წევრების.

სამსახურიდან უნდა მოიხსნან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი დატოვება მიაყენებს მატერიალურ და პოლიტიკურ ზიანს საბჭოთა ხელისუფლებას.

პოზდნეევის და მარაკუევის განთავისუფლება

პეკინი, 11 სექტემბერი. განთავისუფლებული არიან ცნობილი საბჭოთა მეცნიერები, პროფესორი პოზდნეევი და „ცენტროსოიუზი"-ს თანამშრომელი მარაკუევი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ნიჩაევის ჯგუფის მიერ, ტიანცზინში მიმავალ მატარებელში.

პოლონეთის საჰაერო ექსპედიცია

ვარშავა, 11 სექტემბერი. პოლონეთის საჰაერო ძალთა უფროსი, პოლკოვნიკი რაისკი, გაფრინდა ჰაეროპლანით შემდეგი მიმართულებით: ლიდა-კილნო-რიგა-რეველი-გელსინგფორსი. ლოდაში რაისკის შეუერთდებიან კიდევ სამი პოლონეთის სამხედრო ჰაეროპლანი.

რუმინეთის მისია პოლონეთში

ვარშავა, 11 სექტემბერი. 10 სექტემბერს ვარშავაში ჩავიდა რუმინეთის სამხედრო ექსპერტთა მისია. დელეგაციის მონაწილენი გაეცნობიან პოლონეთის სამხედრო მრეწველობას.

ზეიმი კანტონში

კანტონი, 10 სექტემბერი. ჩრდილოეთ ექსპედიციის გამარჯვების გამო კანტონში დიდი ზეიმი გაიმართა. ქალაქის ქუჩებში გაიარა დემონსტრაციამ. რომელშიაც 100.000 კაცი მონაწილეობდა. საღამოს მიუხედავად იმისა, რომ კოკისპირული წვიმა იყო, მოეწყო მსვლელობა სანათურებით და მაზხალებით.

ხულიგნების საზიზღრობა

ლენინგრადი, 11 სექტემბერი. ამ დღეებში ლენინგრადში 80 ხულიგანმა გააუპატიურა ქალი. 16 ხულიგანი უკვე შეპყრობილია. სწარმოებს სასწრაფო კვლევა-ძიება.

ამ არაჩვეულებრივმა ხულიგნობამ აღელვა ლენინგრადის მუშები. თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხნებში, მათ შორის პუტილოვის „კრასნი ტრეუგოლნიკი", ქარხანაშიც, შესდგა მუშათა კრებები, რომელზედაც გამოიტანეს რეზოლუციები და მოითხოვდენ ხულიგნების დახვრეტას.

მოძრაობა შეწყდა

პეკინი, 11 სექტემბერი. შანხაისა და პეკინს შორის რეგულიარული ნაოსნობა შეწყდა. ყოველგვარი კავშირი უჰანის ოლქის ქალაქებთან, გარდა რადიოსი, შეწყვეტილია. ცინდაოდან ხანკოუში გაგზავნილია იაპონიის კრეისერი.

შანხაიდან იან-ცზი-ცზიანზე გავიდა ორი გამანადგურებელი გემი.

იაპონიას არ სურს ინტერვენციაში ჩაება

ტოკიო, 11 სექტემბ. ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინციდენტს მდ. იან-ცზე-კიანგზე აქვს წმინდა ადგილობრივი ხასიათი და ამიტომ არ შეიძლება გახდეს იაპონიის ინტერვენციის საბაბად.

ბრძოლა ათინის ქუჩებში

ათინა, 11 სექტემბერი. მთავრობის გადაწყვეტილებამ, რესპუბლიკანურ გვარდიის ყოფილ დიქტატორ პანგალოსის ზურგის განიარაღების შესახებ, სისხლის მღვრელი შეტაკება გამოიწვია. მთავრობის ჯარებმა ალყა შემოარტყეს რესპუბლიკანური გვარდიის ყაზარმებს. უკანასკნელებმა არ გაუწიეს წინააღმდეგობა. ქალაქის ქუჩებში დაიწყო ბრძოლა, რომელშიც არტილერიაც იღებდა მონაწილეობას. დილის 2 საათისათვის მთავრობის ჯარებმა გაიმარჯვეს და რესპუბლიკანური გვარდიის ბატალიონები დანებდენ. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 500 კაცზე მეტია. დაპატიმრებულია მრავალი მონარქისტი.

თავდასხმა მუსოლინიზე

რომი, 11 სექტემბ. სტეფანის სააგენტო იუწყება: „11 სექტემბერს დილის 11 საათზე, როცა მუსოლინი გადიოდა პიის ნავთსადგურის მოედანს და მიდიოდა კიჯის სასახლეში, ახალგაზრდამ—ერმეს ჯიოვანიმ, პროფესიით ქვისმთლელმა, მუსოლინის ავტომობილს გადაუგდო ყუმბარა. ყუმბარა მოხვდა ავტომობილის კარის მინას დაეცა მიწაზე და გასკდა იმ დროს, როცა მანქანამ უკვე მოასწრო წინ წაწევა. აფეთქება მეტად ძლიერი იყო. ყუმბარის ნამსხვრევებით დაიჭრა 4 გამვლელი.

ჯიოვანი მაშინვე დააპატიმრეს პოლიციის აგენტებმა, რომლებიც ავტომობილში ისხდნენ და თან ახლდენ მუსოლინს. მუსოლინი სრულიად უვნებლად გადარჩა და კიჯის სასახლეში დაბრუნებისთანავე შეუდგა ყოველდღიურ მოვალეობის ასრულებას.

საერთაშორისო გაფიცვის საკითხი

პარიზი, 11 სექტემბერი. ბრიტანეთის მემაღაროეთა ფედერაციის ალმასკომმა გადასწყვიტა გამოიკვლიოს სხვადასხვა ქვეყნების სახარმოო ორგანიზაციები, იმ მიზნით, რათა გამორკვეულ იქნეს საერთაშორისო გაფიცვის გამოცხადების მიზანშეწონილობა.

ორშაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე

მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1) კომუნალური სექცია—ალმასკომის დარბაზში,
2) განათლების " —ალმ. განათლების განყოფილებაში,
3) ჯანმრთელობის " —ალმ. ჯანმრთელობის "
4) საფინანსო " —ალმ. საფინანსო "
5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლ.—ალმ. სადგილ-მამულო განყ.

თავის სექციების მიხედვით, საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ნ. 1763. პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

უპატრონო ბავშვები

მოსკოვი, 11 სექტემბ. განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველომ მოსკოვის განათლების განყოფილების უპატრონო ბავშვების მზრუნველობის შესახებ მოხსენების თანახმად, **დაადგინა მიღებულ იქნეს რადიკალური ზომები მოსკოვის ქუჩების უპატრონო ბავშვებისაგან გასაწმენდად.**

გადაწყდა მოეწყოს დროებით განსაკუთრებული რწმუნებებით აღჭურვილი საუწყებათაშორისო კომისია მოსკოვის ქუჩების უპატრონო ბავშვებისაგან გასაწმენდად. სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს აუცილებლად მიაჩნია, რომ მოსკოვის განათლების განყოფილებამ უზრუნველყოს მომავალ წელს საბავშო სახლების მოზარდთათვის 36 პროც. ადგილებისა წარმოებაში. აგრეთვე საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ განათლების კომისარიატმა აღძრას სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, რათა საბავშვო სახლებიდან გამოსულ მოზარდებს მიეცეთ საცხოვრებელი ბინები შეღავათიან ფასებში.

ნავთის ამოღება

მოსკოვი, 11 სექტემბ. ნავთის მრეწველობის საბჭოს ცნობების თანახმად ნავთის ამოღება სამი საკავშირო ტრესტის მიერ აგვისტოს თვის განმავლობაში აღწევს 780.183 ტონას. საწარმოო გეგმით ამ თვის განმავლობაში ნავარაუდევი იყო 743.896 ტონა ნავთის ამოღება.

აგვისტოს თვის ნავთის ამოღებამ გადააჭარბა ივლისისას 3½ პროც.

ჩრდილო კავკასიის ელექტროფიკაცია

დონის-როსტოვი, 11 სექტემბ. **მომავალ წელს ჩრდილო კავკასიაში დაიწყება ძლიერი ელსადგურების აშენება.** ელსადგურების აგება დაჯდება 25 მილ. მან.

საქონელი ა.-კ. კოოპერაციისათვის

მოსკოვი, 11 სექტემბ. ამიერ-კავკასიის კოოპერაციის წილი უმთავრეს სინდიკატებთან დადებულ გენერალურ ხელშეკრულებებში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: საფეიქრო სინდიკატთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, **ა.-წ. ოქტომბერ-აპრილში ამიერკავკასიის კოოპერაცია თვიურად მიიღებს 35 ვაგონ ბამბის მანუფაქტურას,** 70.000 მან. სელის მანუფაქტურას, 28.000 მან. შალეულს. ნახევარი წლის განმავლობაში ა.-კ. კოოპერაცია მიიღებს 200.000 მან. ლითონს და 1 მილ. მან. ქაღალდს. „ზაკსოიუზის" წარმომადგენლობამ მოსკოვში მინის შესახებ გენერალურ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი სთქვა, ვინაიდან ა.-კ. კოოპერატივებმა უშუალოდ ადგილობრივ დასდევს ხელშეკრულებანი მინის მიღებაზე.

საშუალოდ „ზაკსოიუზის" მიერ მიღებული სამრეწველო საქონლის წილი, შედარებით საკავშირო კოოპერაციასთან უდრის 1.3 პროც., „ზაკსოიუზის" ხვედრითი წონა კი საკავშირო კოოპერაციაში უდრის 4 პროც.

მიწა სკოლებისთვის

მოსკოვი, 11 სექტემბ. განათლების კომისარიატმა წინადადებით მიმართა განათლების ყველა განყოფილებებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ცაკის დეკრეტის განხორციელების საქმეში. დეკრეტი ეხება სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფის საკითხს.

საბჭოთა ველოსიპედისტები

მოსკოვი, 11 სექტემბ. **ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ცნობა ლატვიაში საბჭოთა ველოსიპედისტების ახალ გამარჯვების შესახებ.** — მათ დაიკავეს ყველა პირველი 5 ადგილი.

უკრაინა

კონტრ-რევოლიუციონერთა პროცესი

სევასტოპოლი, 11 სექტემბ. სევასტოპოლის კონტრ - რევოლიუციონერების პროცესზე ჩვენება მისცეს ბულგარეთში არსებულ „სამშობლოში დაბრუნების კავშირი"-ს წარმომადგენელმა **კაზმინმა** და ბულგარეთის წითელი ჯვრის ყოფილმა თანამშრომელმა **ლენსკიმ**. მოწმეებმა სასამართლოს საინტერესო ცნობები მისცეს ბულგარეთში მყოფ თეთრგვარდიელების საზიზღარ როლის შესახებ. მოწმეები დარწმუნებული არიან, რომ „უტრიშ"-იდან გაქცეულები იმიტომ შეუშვეს ბულგარეთში, რომ მათ საკმაო „დამსახურება" მიუძღოდათ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

დიდი დრო მიაქვს „უტრიშის" კაპიტანის ვარეცკის ჩვენებებს. ის დაწვრილებით აღწერს გემის ხელში ჩაგდების სურათს. ვარეცკის ჩვენებიდან გამოირკვა მისი სრული უმოქმედობა „უტრიშის" ხელში ჩაგდების დროს. სასამართლო პასუხის გებაში აძლევს ვარეცკის.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ოდესა, 11 სექტემბ. სრულიად საკავშირო ბაქტერიოლოგიურ ყრილობაზე ექიმმა **დობროიცერმა** გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის ეპიდემიური მდგომარეობის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით, **ეპიდემიური მდგომარეობა გაუმჯობესდა.** უკვე 1925 წელში ინფექციონური სენით ავადმყოფთა რიცხვი ნაკლები იყო 1913 წელთან შედარებით. დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს მომხსენებელი იმ ფაქტს, რომ 1926 წ. მთელ კავშირში ხოლერით ავად გახდომის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბამბა

ბაქო, 11 სექტემბერი. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აზერბეიჯანში რწმუნებულის მიერ შემუშავებული გეგმით, 1927 წელს აზერბეიჯანის და ა.-კ. საბამბო კომიტეტების მიერ აზერბეიჯანის მაზრებში დამზადებული იქნება 4.041.200 ფუთი ნედლეული ბამბა, სულ 18.185.400 მანეთისა. აქედან პირველ კვარტალში დამზადებული იქნება 1.545.590 მანეთისა, ხოლო დანარჩენი თანხის — მეორე და მესამე კვარტალებში.

შემნახველი სალაროები

ბაქო, 11 სექტემბერი. შემნახველ სალაროების რიცხვი აზერბეიჯანში 1-ლ აგვისტოსათვის ავიდა 109-დე, 4.109 შემნახველით.

სას.-სამ. გადასახადი

ბაქო, 11 სექტემბერი. აზ. ცაკმა წინადადება მისცა ყველა სამაზრო ალმასკომებს შესწყვიტონ საქმეები 1924—25 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის არაგადამხდელებზე.

ერთად სწავლება

ბაქო, 11 სექტემბერი. მომავალ სასწავლო წლიდან აზერბეიჯანის პედაგოგიურ ტეხნიკუმებში პირველად შემოღებული იქნება ორივე სქესის მოწაფეთა ერთად სწავლება.

ნავთის შადრევანი

ბაქო, 11 სექტემბერი. საბუნჩში 5 სარეწაოზე № 136 ჭიდან ამოხეთქა ნავთის შადრევანმა, რომელიც დღეს 10.000 ფ. ნავთის ისვრის. თითქმის იმავე სიძლიერის შადრევანმა ამოხეთქა ბიბი-ეიბათის მეორე სარეწაოს ჭიდან № 13.

თამბაქო

ბაქო, 11 სექტემბერი. „აზტაბაკი" 1926—27 წ. ყუბანისა და ზაქათალის მაზრებში დაამზადებს 18.000 ფ. თამბაქოს. კეიბირლიგი იმავე მაზრებში დაამზადებს 6.000 ფ. სულ დამზადებული იქნება 24.000 ფ. — 360.000 მანეთისა. მთელი თამბაქო დააკმაყოფილებს აზერბეიჯანის მოთხოვნილებას.

სომხეთი

მოსახლეობის მოძრაობა

ერევანი, 11 სექტემბერი. სომხეთის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების თანახმად, ა. წ. პირველი ნახევრის საერთო დაბადებათა რიცხვი აღწევს 23.309. ეს რიცხვი 1925 წ. ამავე პერიოდისას აღემატება 3.012 დაბადებით, ანუ 14, 8 პროცენტით. დაბადების საერთო საშუალო კოეფიციენტი მთელ რესპუბლიკაში შეადგენს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 2,4 პროც.

1891 წლიდან 1914 წლამდე საშუალო პროცენტი დაბადებისა უდრიდა 3,5; 1923 წ. ის აღწევს 3.8 პროც.; დაბადება 1924 წ. გამოიხატა 4.3 პროც. და 1925 წ.—4,6 პროც.

სიკვდილი 1926 წ. პირველ ნახევარში იძლევა 8.459 შემთხვევას—1.025 შემთხვევით მეტი წინა წლის პირველი ნახევრის პერიოდთან შედარებით, ან 13,7 პროცენტით. სიკვდილის საერთო საშუალო კოეფიციენტი მთელ რესპუბლიკაში უდრის 0,7 პროც., წინა წლის—0,8 პრ. მამაკაცი მოკვდა—4.344, ქალი—4.111 სიკვდილის მეტი შემთხვევა მოდის მარტზე და აპრილზე, დაბადების—თებერვალზე და მარტზე.

აბსოლუტური ციფრი მოსახლეობის ზრდისა განხილულ პერიოდში აღწევს 14.850 სულს ორთავე სქესისას, რომელთაგან 7.895 ვაჟია და 6.959 ქალი. 1923 წლიდან სომხეთის მოსახლეობას იმჩნევა თანდათანობით ზრდა: 1923 წ.—0,6 პროც., 1924 წ.—0,8 პროც., 1925 წ.—1.4 პროც., 1926 წ.—1.5 პროც., ე. ი. ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობა გაიზარდა 2,5 ჯერ.

ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისრის დეპეშა

ერევანი, 11 სექტემბერი. სომხეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისრისაგან—ტაფიკ-რიშად-ბეისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია გულწრფელი მადლობა ოსმალეთის მთავრობისა და ქემალ ფაშის სახელით იმ სიხარულის გრძნობისათვის, რომელიც სომხეთის მთავრობამ გამოხატა ქემალ ფაშის სიკვდილიდან კეთილად გადარჩენის შესახებ.

რადიო-მაუწყებელი სადგური

ერევანი, 11 სექტემბერი. რადიო-მაუწყებელი სადგურის აგება დამთავრდა. ამ დღეებში თბილისიდან ერევანში ჩამოდის სპეციალისტებიდან შემდგარი კომისია სადგურის მისაღებათ.

კოოპერატიული კურსები

ერევანი, 11 სექტემბერი. 15 სექტემბერს გაიხსნება „აპიკოოპის" კოოპერატიული კურსები 40 მსმენელთათვის, რომელთაგან 20 მუშკოპის მუშაკებია და პროფკავშირების და კომკავშირის წევრები.

შვიდწლედის დაწვა

ერევანი, 11 სექტემბერი. წინა ღამით კამარლიუში ვიღაც ბოროტმოქმედებმა დასწვეს შვიდწლედის ახლად აგებული შენობა. ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად მიღებულია ზომები.

ინგლისის ტრედ-იუნიონთა ყრილობაზე

(„პრავდას" მოწინავე წერილი)

ტრედ-იუნიონთა კონგრესი გახდა ისეთ გამოსვლათა და ისეთი გამწვავებული ბრძოლის ასპარეზად, რომ ძველი დაობებული პროფბიუროკრატები, რომელნიც რამოდენიმე ათეული წლობით სხედან თავიანთ მდივნებისა და თავმჯდომარეების სკამებზე, დამწუხრებული იგონებენ „ნეტარ წარსული დროს": მოგონებით, იგონებდენ იმ დროს, როცა კონგრესი ღვთის მადლით ყოველთვის მშვიდი და წყნარი იყო. გენერალური საბჭო ყოველი საშუალებით შეეცადა, რომ კონგრესისათვის ძველი სახე შეენარჩუნებია. მარტო არტურ პიუს შესავალი სიტყვა რად ღირს! სამარისებური ხმით ლექავდა იგი რეფორმისტულ რეზინას „დემოკრატიულ მეთოდების სრული სისწორის შესახებ, ხოტბას ასხამდა გენსაბჭოს იმისათვის, რომ მან არ დაუშვა „რევოლიუციონური აღელვება", ეფიცებოდა ერთგულებას პარლამენტარულ წესწყობილებასა და ტრადიციებს და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ რეაქციონერები და რევოლიუციონერები სცდილობენ, რომ შეირყვნათ ეროვნული გაფიცვის ნამდვილი აზრი. დაბოლოს, რომ არავითარი ეჭვი არ ყოფილიყო იმაში, თუ როგორმა მზარეულმა გაამზადა რეფორმისტული „საუზმე", ეს ტომასის საყვარი გაიძახოდა, რომ იგი საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრეა, მაგრამ ეს უნდა იყოს „აზრისა და გრძნობის ცოცხალი მთლიანობა, და არა უსიცოცხლო რეკონსტრუქცია ჩვენი საერთაშორისო მექანიზმისა". ბრიტანეთის მრეწველობის ცნობილი ფედერაციის მიერ შექმნილი „სამუშაოს მიმცემთა და მუშათა ეროვნული ალიანსის" გამოჩენილი მონაწილის ამ აბდა-უბდის გარჩევას არავითარი აზრი აქვს. ყოველივე ეს არის მეტად მწირი ნათალითარი—ნაცოდვილარი, რომელიც ამოღებულია საერთაშორისო რეფორმიზმის საუნჯიდან და რომელსაც ამსტერდამისა და მეორე ინტერნაციონალის აშკარა სუნი უდის.

არტურ პიუს დავალება ჰქონდა, რომ რაც შეიძლება მეტად ვიწრო ჩარჩოებში მომწყვდეეით დაესამარებია კონგრესი ბორნემუთში. იმ უფლების მიხედვით, რომელიც აქვს თავმჯდომარეს ინგლისში ყრილობებზე, ეს ამოცანა სავსებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. გენსაბჭოს ის წევრები, რომლებსაც სურდათ, რომ ამ ყრილობას დაევიწყა ისინი, ან წავიდენ სამოგზაუროდ, (ტომასი) ან სცდილობდენ, რომ არ დაენახვებოდენ დელეგატებს (პერსელი, ხიკსი და სხ.). ბუჩქებში დამალულებმა შორიდანაც ჩაიდინეს სისაძაგლე. მაგრამ გენსაბჭომ, ცხადია, აუცილებლად სცნო, რომ ერთი თავლითთაგანი გამოეშვა იმისათვის, რომ შეემოწმებია თავისი გავლენის ძალა.

ეს ცდა მოხდენილ იქნა მემაღაროეთა გაფიცვის საკითხზე. ამ ყრილობაზე მემაღაროეთა გაფიცვის შესახებ არაფრის თქმა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს საკითხი ყოველი კუნჭულიდან იჭვრიტებოდა. იგი ჩამოკიდებული იყო ყრილობის ზევით, იგი იქცევდა ყველა დელეგატის ყურადღებას და დაბაბული ატმოსფერა უნდა გარღვეულიყო. გენსაბჭომ შეიტანა რიგს გარეშე რეზოლიუცია მემაღაროეთა დახმარების შესახებ და მიიღო ზომები, რომ საჭირო უმრავლესობით უზრუნველეყო თავი და შეეჩერებია მემაღაროენი, რომ ისინი ამ საკითხის შესახებ არ გამოსულიყვნენ. მეორეს მხრით, რომ სახელი გაეტეხათ თავიდანვე რეზოლიუციისათვის და გაემასხარავებიათ იგი, მისი დაცვა მიანდეს მემანქანეთა და ცეცხლფარეშთა კავშირის ხელმძღვანელს ბრომლეის, სწორედ იმ ბრომლეის, რომელიც თავისი კავშირის ორგანოში მემაღაროეთა გაფიცვის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მთელმა ინგლისის პრესამ ფართოდ გამოიყენა მაშინ ბრომლეის გამცემლური გამოსვლა იმისათვის, რომ მემაღაროეთა მასაში დეზორგანიზაცია შეეტანა. გაფიცვის მეხუთე თვეზე გენსაბჭოში მემაღაროეთადმი სიყვარულმა გაიღვიძა და უფერული, არაფრის მთქმელი რეზოლიუციის დაცვა მიანდო ამ ვაჟბატონს. მოთმინების ფიალა აღივსო. მშვიდმა და ზომიერმა ინგლისელებმა გენსაბჭოს ამ ღირსეულ წარმომადგენელს ისეთი შეხვედრა მოუწყვეს, როგორსაც არასოდეს არ ჰქონია ადგილი ინგლისის ყრილობებზე. მას საჯაროდ უწოდეს იუდა. ეს იწყინა არტურ პიუმ, რომელმაც ამაში დაინახა აშკარა მითითება გენსაბჭოს დანარჩენ წევრებზე. მდგომარეობა პირდაპირ კრიტიკული შეიქნა. მაგრამ მდგომარეობა იხსნეს მემაღაროეთა წარმომადგენლებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი ემორჩილებიან თავმჯდომარის დისციპლინას და მოუსმენენ მისტერ ბრომლეის. კიდევ უფრო მეტი კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა ყრილობაზე გენსაბჭოს ანგარიშის იმ ნაწილის გამო, რომელშიაც გაკვრით არის ლაპარაკი საყოველთაო გაფიცვის შესახებ. უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლნი გამოვიდენ მოთხოვნილებით, რომ განხილულიყო საყოველთაო გაფიცვის საკითხი. უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლის ამ გამოსვლამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია დელეგატებს შორის. მაგრამ მემაღაროებმა კვლავ იხსნეს გენერალური საბჭო. კუკმა მემაღაროეთა ფედერაციის სახელით განაცხადა, რომ მემაღაროენი არ სთვლიან მიზანშეწონილად საყოველთაო გაფიცვის საკითხის განხილვას. კუკი ფიქრობდა, ალბად, რომ საყოველთაო გაფიცვის საკითხის განხილვაზე უარის თქმით, იგი ეხმარება მემაღაროებს. ცხადია, რომ მისთვის ცოტაა ის გაკვეთილები, რომლებიც მიიღეს მემაღაროეთა და თვითონ მან „ლიდერთა შორის მთლიანი ფრონტის შესახებ" ცნობილი შეთანხმების შემდეგ.

კუკის ეს გამოსვლა შემცდარია. საჭირო იყო აქვე, ყრილობაზე, განეხილათ საკითხი გაფიცვის შესახებ. დღის სინათლეზე ყურით გამოეთრიათ ყველა კაპიტალისტები, მხდალები, გამცემლები და მიეკრათ სამარცხვინო ბოძზე ყველა მოღალატეები, რომლებმაც ინგლისის პროლეტარიატის საქმე მიჰყიდეს ბოლდუინს, ჩერჩილს და მათ კომპანიას. ასეთი საზოგადო სჯა უდიდეს სარგებლობას მოუტანდა გაფიცულ სამთამადნო მუშებს. საიდუმლო მოლაპარაკებები და ერთიანი ფრონტი ლიდერებს შორის საჭიროა ტომასსა, პიუსა და მათ „მემარცხენე" თანამგზავრებისათვის. ამ. კუკის მიერ დაშვებულმა შეცდომამ, საშუალება მისცა გენერალურ საბჭოს დაეძვრინა თავი ამ საკითხში. მაგალითად, სამთამადნო მუშათა წარმომადგენლებმა მოიწონეს იმ გენერალურ საბჭოს მოქმედება, რომელმაც სამჯერ გასცა და ყოველდღე გამცემლობს თავისი უსინდისო მოპყრობით გაფიცვისადმი.

ჩვენ აქ არ დავიწყებთ იმ კამათისა და შეხლა-შემოხლის დაწვრილებით გადმოცემას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყრილობაზე, სადაც ოპოზიცია, მიუხედავად მისი მცირე რიცხოვანობისა, გადაჭრით სვამდა ყველა საკითხებს. გენსაბჭოს შეუძლია დარწმუნდეს იმაში, რომ ინგლისის ტრედიუნიონებში არის ნამდვილი მემარცხენე ფრთა, არა ის „მემარცხენე", რომელიც ეძმობილება ტომას და პიუს, მათთან ერთად ურევენ საქმეს და შემდეგ იმალებიან სოროებში, არამედ ნამდვილი რევოლიუციონური მემარცხენე ფრთა, რომელმაც იცის, თუ რა სურს მას. რამდენათ დიდია ამ მემარცხენე ფრთის გავლენა, სჩანს გენსაბჭოს მომხრე ერთ-ერთ დელეგატის განცხადებიდან, რომ „ადგილობრივ ორგანიზაციებს რომ მისცენ ნება მეუმცირესეთა მოძრაობასთან შეერთებისა, მაშინ ის ჩქარა გადაიქცევა უმრავლესობათ".

ჩვენ მოგვიხდება კიდევ დიდხანს შეჩერება მეუმცირესეთა როლზე ბორნემუთის კონგრესზე. ახლა კი საჭიროა შევჩერდეთ გენსაბჭოს დამოკიდებულებაზე სრ. საკავშირო პროფსაბჭოსთან. სრ. საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმა, ცხადია, შეთანხმებული იყო გენსაბჭოსა ან და მის ცალკე წევრებთან. ამას გვიდასტურებს კიდეც „მანჩესტერ გარდიენი" და „ტაიმსი". ორივე ეს გაზეთი, საბჭოთა დელეგაციისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმის გამო, სწერდა იმის შესახებ, რომ „საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქმედებამ უხერხულ მდგომარეობიდან გამოიყვანა გენსაბჭო". „მანჩესტერ გარდიენი" დამატებით ხაზს უსვამდა იმას, რომ გენსაბჭო, რასაკვირველია, მიიღებს საპროტესტო რეზოლიუციას, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ფორმისთვის. ამნაირად, გენსაბჭომ არ ისურვა ყრილობაზე მოესმინა ის, რის თქმაც უნდოდათ საბჭოთა პროფკავშირებს ინგლისში ეხლანდელი არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საყოველთაო და სამთამადნო მუშათა გაფიცვასთან. გენსაბჭოს ხელმძღვანელები, ალბად, ფიქრობდენ, რომ სრ. საკავშირო პროფსაბჭო ვერ შესძლებდა დელეგატებისათვის ეცნობებია თავისი შეხედულებები.

მაგრამ გენერალური საბჭო ამაში მოსტყუვდა. საბჭოთა პროფკავშირები, რომელთაც გენერალურ საბჭოსთან ერთად შექმნეს ინგლის-რუსეთის კომიტეტი, პასუხისმგებელი არიან არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშების წინაშე, არამედ ინგლისის მუშების წინაშეც. სწორედ ამიტომ გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭო დეკლარაციით საყოველთაო გაფიცვის შესახებ, სწორედ ამიტომ მოითხოვდენ საბჭოთა პროფკავშირები ინგლის-რუსეთის კომიტეტის ორ სხდომაზე პირველ რიგში მემაღაროეთა დახმარების საკითხის დასმას, სწორედ ამიტომ მიმართა საკავშირო პროფსაბჭომ წერილით კონგრესს ბორნემუთში. ამ წერილში პროფსაბჭომ გამოსთქვა თავისი შეხედულება საქმის მდგომარეობაზე. რას შვრება გენსაბჭო, როცა წერილს იღებს? იმის მაგიერ, რომ აღძრულ კითხვებისთვის გაეცა საჯარო პასუხი, როცა დაინახა, რომ პროფსაბჭოდან მიღებულ წერილის დამალვა დელეგატებისათვის შეუძლებელია, გენსაბჭო ბეჭდავს მას დამახინჯებული სახით და თან უმძლავრებს „ენერგიულ პროტესტს". ჩვენ არაფერს ვიტყოდით საწინააღმდეგოს, რომ გენსაბჭოს პროტესტთან ერთად ეთქვა რამდენიმე სიტყვა მაინც არსებითად. მაგრამ გენსაბჭომ უფრო იოლი გზა არჩია. მან გამოაცხადა, რომ პროფსაბჭო „სრულიად გაუმართლებლად აკრიტიკებს გენერალურ საბჭოს მოქმედებას და პერსონალურ შეურაცყოფას აყენებს ზოგიერთ მის წევრებს", რომ პროფსაბჭო აწარმოებს „სრულიად უადგილო თავდასხმას სხვა ქვეყნების მოძმე დელეგატებზე". შემდეგ გენსაბჭო აცხადებს, რომ მას „არ სურს პასუხი გასცეს ასეთ უადგილო და გაბედულ კრიტიკა" ის წერილს სთვლის, როგორც „პრივილეგიებით ბოროტად სარგებლობას" და ინგლისის პროფკავშირების შინაურ საქმეში დაუშვებელ ჩარევას. ყოველივე ეს წარმოადგენს იეზუიტურ თვალთმაქცობის კლასიურ ნიმუშს. გენსაბჭო, ალბად, ფიქრობს, რომ მუშათა ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა ერთმანეთისადმი ზრდილობიანი მოპყრობით უნდა განისაზღვრებოდეს. მას სურს, რომ ჩვენ უდიდეს გარდატეხათა შემდეგ, ათასგვარ ღალატის შემდეგ. სასიამოვნოთ უცინოდეთ ბატონ ტომასს და მის მზგავსთ.

გენსაბჭოს არ მოსწონს ჩვენი „უადგილო გაბედული" „კრიტიკა". მაგრამ რატომ ცარიელი, ლიტონი და უშინაარსო ფრაზების ნაცვლად არ შეეცდება ამ კრიტიკის უარყოფას. რომელ „პრივილეგიებით ბოროტად სარგებლობაზე" ლაპარაკობს გენსაბჭო? რომელ პრივილეგიებზე? რას ნიშნავს ფრაზა „ინგლისის პროფკავშირების შინაურ საქმეებში დაუშვებელ ჩარევაზე"? როგორ ესმის მას მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ურთიერთობა? ერთი ნაწილი დაიწყებს გამცემლობას, ხოლო მეორე კი თავისი დუმილით ხელს დააფარებს ამას. როცა ბელადები გამოდიან მუშების წინააღმდეგ, მაშინ ყოველი პროლეტარის მოვალეობაა ჩაერიოს ამ საქმეში, მიუთითოს დეზერტირობის მიზეზებზე, განუმარტოს მასსებს საქმის ნამდვილი მდგომარეობა და დაეხმაროს მოტყუებულ მასებს გამოვიდენ შექმნილი მდგომარეობიდან. ვერავითარი ყვირილი და კნავილი ჩარევაზე, რაღაც პრივილეგიების მითვისებაზე და „უადგილო გაბედულ" კრიტიკაზე ვერ აიძულებენ საბჭოთა პროფკავშირებს გახდენ ინგლისის მშრომელი მასების მოტყუების და გამცემლობის მონაწილენი, რომ გენსაბჭოს წევრებს ჰქონდეთ სათქმელი რაიმე არსებითად ისინი ჩარევაზე ყვირილს და ზრდილობის წესებზე საცოდავ სიტყვების ლაპარაკს კი არ დაიწყებდენ, არამედ აიღებდენ ხელში პროფსაბჭოს წერილს, წაიკითხავდენ მას ყრილობაზე და სიტყვა-სიტყვით უარყოფდენ ჩვენს მტკიცებას, მაგრამ ისინი საკმაო ლაჩრები არიან იმისათვის, რომ გაბედონ წამოყენებული საკითხების საჯარო განხილვა. მათ არ ეყოფოდათ გამბედაობა ემხილათ პროფსაბჭოს წერილი. არ ეყოფოდათ გამბედაობა იმიტომ რომ მათ იცოდენ ყრილობის მნიშვნელოვანი ნაწილის განწყობილება, იცოდენ, რომ პროფსაბჭოს მიერ გამოთქმული აზრები ინგლისის მრავალმილიონიან მუშებს თავში აქვთ გამჯდარი. იმ მიზნით, რომ მუშები ააცილონ სწორ გზას, გახადონ ბუნდოვანი საკითხი და გადიტანონ ის ზრდილობისა და კარგი ტონის სფეროში, გენსაბჭოს პოლიტიკანები. როგორც დიდათ ღირსშესანიშნავი პირები, კმაყოფილდებიან ასეთი უღირსი და უშინაარსო მინაწერით.

ტრედიუნიონების ყრილობამ დაგვანახა. თუ რამდენად ძლიერია კიდევ პროფკავშირების აპარატი. რამდენად ძლიერია კიდევ ძველი, დამპალი პროფბიუროკრატიის გავლენა.

მაგრამ ამავე ყრილობამ დაგვანახა, რომ იზრდება ახალი თაობა და ჩნდებიან სულ სხვა ტიპის, სხვა ყალიბის და სხვა სკოლის ადამიანები. ისინი მოდიან ქვედა ფენებიდან და მათი ბაგეთი ლაპარაკობს მოტყუებული მუშათა მასა. ისინი ყრილობაზე ჯერ კიდევ უმცირესობას შეადგენენ. მაგრამ ისინი გამოხატავენ მასების რევოლიუციონური აღშფოთების და სასოწარკვეთილების განწყობილებას. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს აპარატი, როგორი დიდიც არ უნდა იყოს ტრადიციის გავლენა, იმათი, რომლებიც დღეს კიდევ უმცირესობას შეადგენენ მახლობელ წლებში ამოატივტივებს ტალღა, რომელიც წალეკს ძველ. დახავსებულ დრომოჭმულ ტრედიუნიონიზმს და მის სულით ხორცამდე გახრწნილ ბურჟუაზიულ ლიდერებს.

ა. ლოზოვსკი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 11 სექტემბერი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალგზელი

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 12 სექტემბერი 1926 წ.
გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება
№ 20.

ინგლისელი კონსერვატორები და მათი აგენტი ჩან-ძო-ლინი

ინგლისში მაკდონალდის მთავრობის დაცემას და მის ნაცვლად კონსერვატორულ მთავრობის შექმნას, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო რეაქციის გაძლიერება უნდა მოყოლოდა. ინგლისის ნება-სურვილზე დღეს ევროპის ბევრი სახელმწიფოების სვე-ბედია დამოკიდებული და, ცხადია, ინგლისში კონსერვატიულ მთავრობის მოვლინებას სათანადო ბეჭედი უნდა დაესვა აღნიშნულ სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის და ასეც მოხდა.

ინგლისის იმპერიალისტები ვერ მოითმენენ ისეთ სახელმწიფოს, რომლის პოლიტიკაც მათ ინტერესებს ზიანს მოუტანს, მათ ბატონობას საფრთხეს უმზადებს. ასეთ სახელმწიფოს დღევანდელ ოფიციალურ ინგლისისათვის საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში დღეს ინგლისელ კონსერვატორების თანამოძმეების მილიუკოვ-გუჩკოვების ნაცვლად მუშათა კლასია გაბატონებული, რომელიც ძველი, მონარქიულ რუსეთის ნანგრევებზე ახალ, სოციალისტურ სახელმწიფოს აშენებს და საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვების საქმეს მტკიცე; ურყევ საფუძვლებს უყრის. სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ დღეს მსოფლიო მუშათა კლასის ყურადღება საბჭოთა კავშირისაკენაა მოპყრობილი, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორია მსოფლიო რევოლიუციის კერად არის მიჩნეული. და ეს გარემოება, სრულიად ბუნებრივად, იწვევს მსოფლიო რეაქციის შორის მოუსვენრობას და ნერვიულობას. საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური სიმტკიცე ბუნებრივად გააძლიერებს მსოფლიო მუშათა კლასს და მათ რიცხვში ინგლისის მუშათა კლასსაც. ეს გარემოება კი დააჩქარებს კონსერვატორთა ბატონობის აღსასრულს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ საბჭოთა კავშირი ინგლისის უღელ ქვეშ მგმინავ აღმოსავლეთის წვრილი ერების ერთად ერთი ნუგეში და იმედია, რომ ამ ერთა განმანთავისუფლებელ მოძრაობის ყველაზე უფრო თანამგრძნობი ს. ს. რ. კავშირის მუშათა კლასია და ადვილი ასახსნელი იქნება კონსერვატორთა ოინები —სისტემატიური ინტრიგები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თუ კოლონიალურ ერთა შორის საბჭოთა კავშირის წონა და ავტორიტეტი გაიზარდა, ამას ბუნებრივად მოჰყვება ამ ერთა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება და წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის დაცემა, საკავშირო მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის სახელის გატეხა და დამცირება გააძლიერებს კოლონიალურ ერების რეაქციონურ ძალებს, უცხოელ იმპერიალისტების დამქაშებს, და ათეულ წლებით უკან დასწევს ეროვნულ განთავისუფლების გამარჯვების საქმეს. ეს მშვენივრად იციან ინგლისელმა კონსერვატორებმა და განსაკუთრებით ყველაზე უფრო გაიძვერა დიპლომატმა ოსტინ ჩემბერლენმა. და მართლაც თუ თვალს გადავავლებთ ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ნათლად შევამჩნევთ, რომ კონსერვატორებს როგორც შიგნით, თავის ქვეყანაში მუშათა კლასთან ბრძოლის დროს, ისე გარეთ კოლონიალურ ერთა დასამონავებელ ბრძოლის წარმოების დროსაც საბჭოთა კავშირი ჰყავთ ამოღებული.

საკავშირო რესპუბლიკათა სახელის გატეხა, რევოლიუციონური მოძრაობის გაბახება და გაბიაბრუება—აი, კონსერვატორთა მოღვაწეობის მთავარი აზრი.

ანტისაბჭოთა მთავარ სამოღვაწეო ასპარეზად კონსერვატორებისათვის შექნა ჩინეთი, ინდოეთი, ავღანისტანი და სპარსეთი—განსაკუთრებით პირველი. ჩინეთის მრავალ მილიონიანი ერი დიდი ხანია უცხოელი იმპერიალისტების და უმთავრესად ინგლისის საწველ ფურად იყო.

დღევანდელი ეროვნული მოძრაობის გამარჯვება ჩინეთში მძიმე ლახვარი იქნება კონსერვატიული მთავრობისათვის და ამიტომაც არის ასე თავგამოდებით ამ მოძრაობის ჩასაღრჩობად.

სრულიად ბუნებრივია რომ ინგლისის კონსერვატორებს თვით ჩინეთში გაუჩნდა ერთგული აგენტი ჩან-ძო-ლინის სახით. ინგლისელ დიპლომატებმა იციან, რომ მათი აშკარა გამოჩენა ამ ბრძოლის პროცესში სავსებით ფარდას ახდიდა ინგლისის მოქმედებას და, ესეც რომ არ იყოს, პირდაპირი მოქმედება არ სჩვევია მათ „ჯენტლმენობას“. მათთვის სწორედ ის არის საჭირო, რომ წვრილ ერთა ჩაგვრის საქმეში ბრმა იარაღად ამავე ერთა უღირსი და მოღალატე შვილები გამოიყენონ. ასეთი უღირსი და მოღალატე შვილების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ უ-პეი-ფუ - ჩან-ძო-ლინები და ძმანი მათნი, მოღალატე ჩან-ძო-ლინი ინგლისელ - იაპონელ პარსისხლიან იმპერიალისტების კარნახით და იარაღით სისხლში აღრჩობენ ჩინეთის სახალხო მოძრაობას. თავისუფლების მოტრფიალე ჩინეთის ხალხი არ თმობს და თავგანწირულად იბრძვის უსწორო ბრძოლაში. ინგლისელმა კონსერვატორებმა იციან, რომ ამჟამად კიდეც რომ გაიმარჯვოს მათმა სისხლიანმა პოლიტიკამ, ეს გამარჯვება არ იქნება ხანგრძლივი. მათ იციან, რომ ჩინეთის გლეხობა და მუშები არ მოისვენებს და ადრე თუ გვიან ჩან-ძო-ლინებისა და მათი პატრონების - ინგლის - იაპონელ იმპერიალისტების თარეშს ბოლოს მოუღებენ.

ამიტომაა ინგლისი არ ივიწყებს ყოველგვარ რეაქციის მთავარ მტერს, საბჭოთა კავშირის დამხობას. ამ მიზნით ცდილობს ის გადაკიდოს ჩინეთი საბჭოთა კავშირს, ჩამოაგდოს ამ ორ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი. ამ მიზნით იყო მოწყობილი ამას წინად ჩან-ძო-ლინის ჯარების თვითნებობა და უწესირიგობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე, მაგრამ საბჭოთა მთავრობის სამართლიანმა პროტესტმა ხმალი ქარქაშში ჩააგებინეს იმპერიალისტებს.

როგორც დღეს უკვე ვიცით, ჩან-ძო-ლინმა კიდევ გამოინავარდა და ტლანქად დაეპატრონა აღმ. ჩინ. რკ.-გზის ქონებას. რასაკვირველია, ყოველივე ეს კვლავ ინგლისელ ლორდთა კარნახით ხდება. მაგრამ ყოველთვის ძლიერ ცდებოდენ და დღესაც ცდებიან ბ-ნი კონსერვატორები.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება ეს არის იმავე დროს გალაშქრება მთელი ქვეყნის და უპირველეს ყოვლისა საკუთარი ქვეყნის მუშათა კლასის წინააღმდეგ. ასეთი პოლიტიკა მათ მიიყვანს საკუთარი ტახტის დანგრევამდე. დაე, ყველას ახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიო პროლეტარიატის პირველი რევოლიუციონური კერაა და ის არავის მისცემს მისი გაჩანაგების ნებას. „მე რომ ვცხოვრობდე ერთ-ერთ განაპირა სახელმწიფოში, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მეზობლად იმყოფებიან, განუწყვეტლივ აგიტაციას ვაწარმოებდი მანამ, სანამ ჩემი ქვეყანა ამ დიდ ერის ნაწილი არ გახდებოდა. როდესაც მე უკან დავბრუნდები მთელი ჩემის ძალ-ღონით შევეცდები გავაგებინო მუშებს, რომ **საბჭოთა კავშირი — ერთად ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც საშუალება მისცა პატარა ერებს იცხოვრონ ამ დიდ ერთან ერთად ისე, რომ ამ უკანასკნელმა მათ არ წაართვას ეროვნული კულტურა**“ (ჯ. ლენსბერი).

კარგათ ჩაუკვირდენ ამ სიტყვებს ოსტინ ჩემბერლენები და მათი დამქაშები და იცოდენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი „ლელოს“ ვერ გაიტანებენ.

ა. ჩაჩუა.

სოციალიზმიდან ფაშიზმისაკენ

არავის არ შეუძლია იმ ფაქტის უარყოფა, რომ საქართველოს სოციალ - დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ უდიდესი როლი ითამაშა საქართ. რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში. ეს იყო მაშინ, როდესაც ამ პარტიაში სჭარბობდა რევოლიუციონურ - მარქსისტული და ინტერნაციონალური მოტივები. ჩვენ არ გამოუდგებით იმის მტკიცებას, რომ ეს თვითლიკვიდაცია ქართულ სოციალ-დემოკრატიის ლიდერების მიერ მზადდებოდა მთელ რიგ წლების განმავლობაში. პარტიული მასა, პოლიტიკურ ბურუსში გახვეული, ვერ ერკვეოდა იმ მთავარ საკითხების გადაწყვეტაში, რომ ლი[illegible] ძირს უთხრიდა ძველი სოც.-დემ. პარტიის ინტერნაციონალიზმს.

ძველი სოციალ-დემოკრატია მთელი თავისი არსებით ებრძოდა ომის შესაძლებლობას. მისი ინტერნაციონალიზმი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ის მუდმივ ოპოზიციაში იყო იმპერიალისტურ პოლიტიკის მიმართ. ჩვენ დროინდელმა სოციალ - დემოკრატიამ მსოფლიო ომის დროს დაიხია ამ პოზიციებიდან და აშკარად დაუჭირა მხარი იმპერიალისტურ პოლიტიკას.

საქ. ყოფ. სოციალ - დემოკრატიის ბელადები აღრმავებენ ამ საკითხს და და აშკარად გამოდიან იმპერიალისტურ კონფლიქტის დამცველების როლში.

მათ ორიენტაცია აღებული აქვთ საგარეო კონფლიქტის შესაძლებლობაზე. ამ კონფლიქტიდან მოელიან ისინი „საქართველოს ხსნას“ და რამდენად ეს ასე არის, იმდენად ისინი ხელს კი არ შეუშლიან ომის აფეთქებას რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რითაც შეიძლება ხელს შეუწყობენ მას. მაშასადამე, თუ ინგლისის ზუბრები: ჩემბერლენი, ბირკენხედი და სხვ. ამ კონფლიქტს ამზადებენ, ქართველი მენშევიკები ამას სიხარულით და გულის ფანცქალით შესცქერიან. მათ იმის იმედი აქვთ, რომ ასეთი კონფლიქტი შესაძლებლად გახდის მენშევიზმის რესტავრაციას. ქართულ მენშევიზმისათვის მიზანი საშუალებას ამართლებს, თუნდაც ეს საშუალება **აშკარა რეაქციონური** იყოს. არის თუ არა ინტერნაციონალიზმის ღალატი, როდესაც სახელით „სოციალისტური მუშათა პარტია“ შესაძლებელ იმპერიალისტურ კონფლიქტზე ამყარებს თავის პრაქტიკულ პოლიტიკას? ნაცვლად იმისა, რომ ყოველი ძალღონით იბრძოლოს ამ ჯოჯოხეთურ შესაძლებლობის წინააღმდეგ, ნ. ჟორდანია და მისი ამალა გადაჭრით უჭერს მხარს მას. ეს ინტერნაციონალიზმის პრინციპების ფეხქვეშ გათელვა არის. ეს მეცნიერულ სოციალიზმის პრინციპების უდიდესი ღალატია. „საქართველოს განთავისუფლება“, ე. ი. მენშევიკების გაბატონება საქართველოზე დიდი ისტორიული საქმეც, რომ იყოს, უნდა მოხდეს, მათი აზრით, უამრავ ადამიანთა სისხლის საშუალებით. ეს საშინელი ბოროტი განზრახვა არის. ამ მოძღვრებას არავითარი საერთო არ აქვს საქართველოს მუშათა კლასის და მშრომელ გლეხკაცობის ნება-სურვილებსა და სულისკვეთებასთან. როგორც ვხედავთ ქართულმა მენშევიზმმა ჯვარი დაუსვა ინტერნაციონალისტურ პრინციპებს, რომელთაც ის თითქოს იცავს.

სოციალიზმის პრინციპების ღალატში ამაზე შორს წასვლა ყოვლად წარმოუდგენელია.

ამ უკან დახევით მენშევიზმი შესდგა აშკარა ბურჟუაზიულ პოზიციებზე და აგრძელებს თავის ევოლიუციას მარჯვნით. ეს ევოლიუცია საორგანიზაციო საკითხებში გამოაშკარავდა.

მენშევიკები ყოველთვის უყიჟინებდნენ ბოლშევიკებს, რომ მათ მთავარი საპირბოროტო საკითხები არ გამოჰქონდათ გასარჩევად პარტიის ფართე მასაში. რევოლიუციონურ ბრძოლაში ამ კითხვებს სწყვეტდა ბოლშევიზმის აქტივი, მებრძოლი გვარდია. აქ დაცული იყო დემოკრატია იმდენად, რამდენათ ის დასაშვები იყო რევოლიუციონურ მიზანშეწონილების თვალსაზრისით. მენშევიკები კი გაფართოებულ დემოკრატიის თვალსაზრისზე იდგნენ, მაგრამ დახეთ უბედურებას; მენშევიზმმა სრულიად უარყო ყოველგვარი დემოკრატია და ფაშისტური მეთოდებით აწარმოებს საორგანიზაციო მუშაობას. ბ. ჟორდანიას ოპოზიციონერმა ბ. ი. წერეთელმა წერილები გადმოუგზავნა აქაურ მენშევიკურ მრევლს, მაგრამ ბ. ნ. ჟორდანია კატეგორიული წინააღმდეგია, რომ საკითხი ამ პლატფორმის შესახებ გადატანილი იქნეს „ცეკას“ გარეთ „პარტიაში“. „ბიურო ფიქრობს, რომ მათ უნდა გაეცნოს ცენტრალური კომიტეტი. მაგრამ ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოტანილი სადისკუსიოთ **არც ერთ ორგანიზაციაში**, რადგან ასეთ დისკუსიას შეუძლია პარტიის მთლიანობის შერყევა და არევ-დარევის გამოწვევა, რითაც მტრები ისარგებლებენ“ იძლევა დარიგებას ბ. ჟორდანია 1926 წ. იანვარში გამოგზავნილ წერილში. სადღა არის მენშევიკური დემოკრატიზმი?

„საზღვარ გარეთელ ბიუროს უმრავლესობამ (ე. ი. ფაქტიურად ჟორდანიამ და რამიშვილმა) უარყო ჩვენი წინადადება — რათა ახალი შეთანხმების პროექტი ძალაში შესვლამდე განსახილველად გადაგვეგზავნა საქართველოში პარტიისათვის. ეს ხომ ტეხნიკური კონსპირაციის საკითხია. და თუ ასეთ საკითხების ირგვლივ არ ამუშავდება პარტიის აზრი, მაშინ რაშიღა უნდა გამოიხატოს პარტიის თვითმოქმედება“-ო ამბობს ერთ-ერთ წერილში ირ. წერეთელი. თვით ბ. წერეთელი აღნიშნავს, რომ მენშევიკურ პარტიის თვითმოქმედება მოკვდა და მისი შინაპარტიული დემოკრატია არარაობათ იქცა. მაშასადამე საქ. სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ უარყო თავისი თავი, როგორც დემოკრატიულმა პარტიამ. „მთავრობას არ შეუძლია საიდუმლო საქმეები ფართედ გამოიტანოს პარტიაში, რადგან ბოლშევიკებისათვის მაშინ ადვილი იქნებოდა ამ საიდუმლოების გაგება. მთავრობას ურჩევნია, რომ ეს საქმეები იქნეს ერთი კაცის ხელში, რომელიც არჩეულია მთავრობის თავმჯდომარის თანხმობით და აღჭურვილია მისი ნდობით“-ო, ამბობს ბ. ნ. ჟორდანია თავის იანვრის წერილში. მაშასადამე „პარტია“ ექვემდებარება მთავრობას და მთავრობის თავმჯდომარის მიერ დიქტატორულ უფლებებით აღჭურვილ ბ. ნოე რამიშვილს, რომელსაც შეუძლია „სოც. დემ. პარტიას“ არ გააგებინოს ის საკითხები, რომელთა გადაჭრისაგან დამოკიდებულია ხალხის ბედი. (აჯანყება და სხვ.).

ეს უკვე აშკარა ფაშისტური დიქტატურა არის. გამოდის, რომ პარტია კი არ აძლევს ტონს მთავრობას, არამედ პირიქით, მთავრობას შეუძლია დიქტატორის საშუალებით, პარტიის დაუკითხავად გადასდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც სწყვეტს, როგორც ქართველი ხალხის ისე აქ კიდევ დარჩენილ სოც. დემ. პარტიის წევრების ფიზიკურ არსებობის ბედს. ასეთ უსუსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი „სოც. დემ. პარტია“ წარმოადგენს უკვე გადაგვარებულ დაჯგუფებას, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს სოციალისტურ მოძღვრებასთან.

ამნაირად „საქ. სოც. დემ. პარტიამ“ დაამთავრა პირწავარდნილი ფაშიზმით. თავის თავად ცხადია, რომ ყოველგვარი რევოლიუციონური ელემენტი ჩამოსცილდა ამ პარტიას.

რას მოუტანს საქართველოს, ამ ფაშისტურ ბანდის გამარჯვება?

„ბიუროს მოლაპარაკება ჰქონდა დაშნაკების პარტიასთან მთლიანი ფრონტის შესახებ. მათ პირველ რიგში წამოაყენეს ტერიტორიალური საკითხის გადაჭრა და მოითხოვეს ჩვენგან ახალციხის მაზრის და მთელი ბორჩალოს დათმობა. ჩვენ რასაკვირველია ამაზე არ დავთანხმდით და წინადადება მივეცით, რომ მათ ეცნოთ ამჟამად არსებული საზღვრები, ხოლო ყველა სადაო საკითხები გადაგვეწყვიტა შემდეგ არბიტრაჟის გზით. დაშნაკელები ამაზედ არ დაგვეთანხმდენ და მოლაპარაკება შესწყდა“-ო სწერს ბ. ჟორდანია 14 მარტის წერილში.

ამნაირად საკმარისია გაიმარჯვოს ქართულმა ფაშიზმა, რომ ჩვენ ომის ალში გავეხვევით. ქართველ ხალხს არ სურს მენშევიკების გამარჯვება სხვათა შორის სწორედ იმიტომაც, რომ მეზობელ ერებთან კონფლიქტი აუცილებელი იქნება. ჩვენ გვირჩევნია დღევანდელი სამოქალაქო მშვიდობიანობა. ფაშიზმად ქცეული ქართული მენშევიზმი იმპერიალიზმად მოდის და მიტომ უნდა ვებრძოლოთ მას.

ზ. ჩახვაძე.

რას ელოდებიან?

რატომ გვიანდება ემიგრანტების შინ დაბრუნება? რაა იმის მიზეზი, რომ ემიგრანტს დაბრუნება განუზრახავს, ამის სურვილიც გამოუთქვამს და შინ **ერთბაშად** ვერ ბრუნდება? ასეთი კითხვები ხშირად გვსმენია ემიგრაციაში ყოფნის დროს, და ასეთი კითხვებით ხშირად მოგვმართავენ ხოლმე დაბრუნებულ ემიგრანტებს აქ, ემიგრანტების ჭირისუფლები და მათი მოკეთენი. მე ვგრძნობ ვალდებულებას ამ საკითხის შესახებ ჩემი მოსაზრებანი და შეხედულებანი გავუზიარო იქ, დარჩენილ ემიგრანტებს,—აქ, მათ მოკეთე-ჭირისუფლებს.

პირველი შეხედვით, დაბრუნების საკითხი არავითარ სიძნელეს და სირთულეს არ წარმოადგენს; საკმარისია დაბრუნების სურვილი დაგებადოს, შემდეგ ეს სურვილი განაცხადო, სთქვა, რომ ცნობ საბჭოთა ხელისუფლებას და ამის შემდეგ—ერთბაშად შენი სამშობლო მხარე, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ შენია.

ყველაფერი ეს ადვილად სათქმელი და წარმოსადგენია, მხოლოდ დაბრუნების ტეხნიკა და მისი მიზეზები უფრო ძნელი, უფრო რთული, უფრო ღრმაა. ემიგრაცია ბრძოლის ცეცხლში იშვა. 21 წელში მენშევიზმ - ბოლშევიზმი ერთიმეორეს დაეჯახნენ; გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ბრძოლის ველი ბოლშევიზმს და ბოლშევიკებს დარჩა. მენშევიკების მეთაურები ევროპაში გაიხიზნენ **ახალი ბრძოლის დასაწყებად და ევროპაში მოკავშირეების გამოსანახავად**. მეთაურებმა თან გაიყოლიეს ემიგრანტული მასა. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნო, თუ როგორი იყო ამ მასის შემადგენლობა: ოფიცრობა, მემამულენი, ვაჭრები, ოსობი-ოტრიადჩიკები, ინტელიგენტები და... მუშები. მეტად დამახასიათებელია, რომ მუშების რიცხვი სულ მცირე იყო. რომ არ შევცდე, ვიტყვი: მუშების რიცხვი 25—30-ს არ აღემატებოდა, როდესაც მთელი ემიგრაცია ათასი კაციდან შესდგებოდა. და დაიწყო ახალი ბრძოლა. ეხლა უკვე ყველამ იცის, თუ რა ხასიათის ბრძოლას აწარმოებდენ ევროპაში მენშევიკების მეთაურები, ეროვნულ - დემოკრატები და ფედერალისტები.ოდესღაც ეს ერთიმეორეს მოსისხლე მტრები ეხლა უკვე შეხმატკბილდენ, ძმათ ნაფიცნი შეიქნენ.

ერთი პატარა სურათი: 1923 წ. მაისში, ერთ მთვარიან ღამეს, სტამბოლის ტაქსიმის (სტამბოლის უბანია) ძველ სასაფლაოზე ნოე რამიშვილმა და დავით ვაჩნაძემ (უკიდურესი შოვინისტია) ერთმანეთს ფიცი მისცეს, რომ ისინი ერთიმეორეს **არასოდეს** არ უღალატებდენ. მათ ეგონათ, რომ ამ სურათის მოწმე მხოლოდ მოკაშკაშე მთვარე იყო, მაგრამ მშიერ - მწყურვალე ემიგრანტს არაფერი გამოეპარება და ერთი ასეთთაგანი ასეთ სანახაობას წააწყდა „სეირნობის“ დროს.

ასეთი სურათი სასაცილოდ, საკარიკატუროდ გამოდგებოდა, შიგ რომ ქართველი ხალხის სისხლით ვაჭრობა არ ყოფილიყო ჩაქსოვილი.

და დაიწყო ბრძოლა. ამ ბრძოლაში **ყოველგვარი** საშუალება გახდა მისაღები. მოკლედ: მენშევიკების „შტაბი“ ინგლის-საფრანგეთის კონტრ-რაზვედკის როლს თამაშობდა, ის მათ აწვდიდა ცნობებს საქართველოში ჯარების რაოდენობის და მათი განაწილების შესახებ; მას რუსის გენერლებთან ჰქონდა მოლაპარაკება; ის რუსეთის ყოფილ დიდ მთავრებთან, ნიკოლაი ნიკოლაიჩთან და კირილ ვლადიმიროვიჩთან დაძვრებოდა; მან აიღო ფული ნიკოლაი ნიკოლაიჩიდან, ის საქართველოს სიმდიდრის გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთის ფინანსისტებთან ცნობილი ფინანსისტი ლუშერის შუამავლობითა და სხვა, და კიდევ ბევრი სხვა.

პარიზის **შტაბს** ემიგრაცია ზურგს უმაგრებდა, ზოგი მათგანი ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ზოგი პატარ-პატარა დახმარებას აძლევდა (რასაკვირველია, არა ნივთიერს), ზოგიც... აი, ამათ შესახებ საჭიროა ორიოდე სიტყვის თქმა.

ხშირად მქონია ლაპარაკი ამ კატეგორიის ემიგრანტებთან. მე რა,—ამბობს ასეთი ემიგრანტი—მე რას წარმოვადგენ, რა გამიკეთებია, რას ვაკეთებ, ან რა უნდა გავაკეთო; მე ერთი საწყალი კაცი ვარ; გავბრიყვდი და გამოვიქეცი; დავხეტიალებ აქ უგზო-უკვლოდ, დაბეჩავებული, დამონებული, **მათი შემყური**, იქნებ ერთი-ორი გროში მეც მარგუნონ. გეფიცები,—გულით და სულით მსურს შინ დაბრუნება, მაგრამ ნუ გამმიყვან „**ალაია ჯარში**“, „**ნუ ამხდი აქ ნამუსს**“, მომიხერხე შინ დაბრუნება და, დამიჯერე,იქ უერთგულესი მოქალაქე ვიქნებიო.

ამ კატეგორიის ემიგრანტებს ვერ შეუგნიათ, რომ თვით ფაქტი მათი ემიგრაციაში ყოფნისა, თვით ის ფაქტი, რომ, ის როგორც ერთი ერთეული, ავსებს ემიგრაციის რიგებს, ამაგრებს **შტაბს**, აძლევს მათ ერთგვარ საშუალებას ევროპაში ემიგრაციის რაოდენობით ატყუილოს იქ ევროპა: დახე, ქართველი ხალხის წარმომადგენლები არ ურიგდებიან ბოლშევიკების რეჟიმსო,—აქ კი ქართველი ხალხი: ევროპის დახმარების იმედი რომ არ იყოს, განა ემიგრანტები შინ არ დაბრუნდებოდნენო! ვერ შეიგნეს ამ ემიგრანტებმა, რომ ამ მხრივ მართლაც ხეტიალის და მათხოვრობის მეტი არაფერი გააკეთონ, ისინი მაინც ბრძოლის მონაწილენი არიან, მაინც ბოლშევიკების მოსისხლე მტრები არიან.

და, როდესაც ისინი ნამუსის აუხდელობას, „ალაია ჯარში“ გამოუყვანლობას იმუდარებიან, მე მათ იქაც ვეუბნებოდი და აქედანაც ვეტყვი: თქვენ საბრძოლველად იყავით წამოსული და დღესაც იბრძვით; თქვენ მებრძოლთა ბანაკში ჩაითვლებით,—სანამ აშკარად არ განაცხადებთ ყოფილი ამხანაგების (და მომავალი მეგობრებისაც) გასაგონად, რომ თქვენ აღარა ხართ „რამიშვილებთან“ ერთად; ამისათვის საჭიროა, რომ თქვენ ჩაეწეროთ საბჭოთა რომელიმე კოლონიის წევრად, ჩაეწეროთ და იქ აქტიურად იმუშაოთ. იქ თქვენ გაეცნობით საბჭოთა ხელისუფლების წყობას საბჭ. საქართველოში გაჩაღებულ ეროვნულ-კულტურულ - ეკონომ. მუშაობას და იმ მიღწევებს,რომელიც აქ ყველასათვის დასანახია; თქვენ ჯერ იქ უნდა დააღწიოთ თავი დრომოჭმულ ზნე-ჩვეულებებს, შეხედულებებს, აზროვნებას და სხვ.

გარდა ამისა, ზოგიერთი თქვენთაგანი ცდილობს კერძო მიწერ-მოწერით, კერძო, ძველ ნაცნობ-მეგობრების, ნათელმირონის დახმარებით მოაჭახრაკოს საქმე და პარიზის „შტაბის“ ფარულ-მალულად დაბრუნდეს შინ.

თუ ემიგრანტების დაბრუნება გვიანდება, ეს მხოლოდ მათი და ისევ მათი ბრალია.

მეტი პოლიტიკური გამბედაობა, მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ იმ ემიგრანტებმა, რომელთაც კი სურთ შინ დაბრუნება. კიდევ ვიტყვი, თუ ვინმეს აგვიანდება, ეს რამიშვილების პროვოკაციულად გავრცელებულ ხმებს უნდა უმადლოდეს, რომელიც აცხადებს, თითქოს ემიგრანტები საქართველოში მენშევიკების „შტაბის“ დავალებით მოდიან.

რასაკვირველია, დაბრუნების ტეხნიკური პირობებიც არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. საჭიროა საბჭოთა ხელისუფლებამ ცოტაოდენი შესწორებები და გაუმჯობესებები შეიტანოს ამ ტეხნიკაში; ეს ტეხნიკა უფრო მოქნილი, უფრო ადვილი მისადგომი უნდა იყოს ემიგრანტებისათვის.

ივ. კაჩუხაშვილი.

რევოლიუციონურ ენერგიის წყარო

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ 1902 წელს, მაშინ კიდევ მარქსისტმა კაუცკიმ უწინასწარმეტყველა რუსეთს, რომ შესაძლებელია რევოლიუციის ცენტრი რუსეთში გადავიდეს და რუსეთი გახდეს რევოლიუციური ენერგიის წყაროთო.

დღეს კი არა, აი უკვე ცხრა წელია, რაც ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. რუსეთი და რუსეთთან მთელი საბჭოთა რესპუბლიკები, მართლაც გახდენ რევოლიუციონური ენერგიის წყარო.

მიუხედავათ ამისა, ყველა ეგრედწოდებულ სოციალისტები ვერ ხედავენ ან არ ხედავენ ამას. სოციალ-დემოკრატიის ლიდერები უნდობლობით უყურებენ რუსეთის რევოლიუციონურ ენერგიას.

მარქსს ორი კაპიტალი არ/ დაუწერია. მან დასწერა: შეერთდით, შეკავშირდით და არა ერთმანეთს ებრძოლეთო. აშკარაა ერთი ნაწილი სოციალ-დემოკრატიისა ასცდა სოციალიზმის გზას, უღალატა მარქსიზმს. ჩამოშორდა წითელ დროშას.

რომელი ნაწილია აქ განდგომილი. რომელმა უღალატა მარქსიზმს?

მეცნიერულათ, რომ შეუდგეთ ამის გამოკვლევას შორს წაგვიყვანს. არც ვარ მეცნიერი, ყველამ იცით, მუშა ვარ და მოდით მუშ[illegible]ოთ ეს საკითხი. [illegible] კაცობრიობა

ორ მთავარ კლასათ. ბურჟუაზიათ და პროლეტარიატად.

ამ ორი კლასის შერიგება შეუძლებელია. პროლეტარიატმა უნდა შესცვალოს ბურჟუაზია.

ხომ მივდიოდით წინათ ყველანი ამ ნაჩვენებ გზით? ხომ დაუძინებელ მტრად მიგვაჩნდა ყველა სოციალისტს ბურჟუაზია.

ხომ ყველა მუშას გვინდოდა ჩვენი დიქტატურა, მუშის, მშრომელის ბატონობა?

ახლა გავშინჯოთ ვინ გაამართლა დიდ მასწავლებლის სურვილი. ვინ დაამყარა მშრომელთა დიქტატურა. ვინ ანხორციელებს სოციალიზმს?

განა შეიძლება სოციალიზმი განხორციელდეს—ამ სოციალიზმის დაუძინებელ მტრებთან ბურჟუაზიასთან კავშირში?

ყოვლად შეუძლებელია.

ეს ყველამ ვიცით. მუშამაც და ბურჟუამაც. აქ არაა საჭირო არავითარი მეცნიერების თვალსაზრისი.

ვინაა დღეს ამ ბურჟუაზიასთან კავშირში? რომელი ნაწილი სოციალ-დემოკრატიისა დაუმეგობრდა თავისივე მტერს ბურჟუაზიას? მაგრამ იქნება ბურჟუაზიასთან დამეგობრებულმა ნაწილმა სთქვას, რომ აი ბებელმა სთქვა, მუშათა კლასის საბედნიეროთ თვით ეშმაკის ბებიასთანაც-კი შევკრავ კავშირსო. მერე ეს კავშირი მუშათა კლასის საბედნიეროთ არის შეკრული?

და განა ბებელმა ისა სთქვა, რომ მუშათა კლასის ერთი ნაწილი შეუერთდეს მის მტერს ბურჟუაზიას, რათა ასე ამავე მუშების მეორე ნაწილი გაანადგუროსო?

არა. აქ როგორღაც ვერაა საქმე კარგათ.

ვიღაცას აერია გზა და კვალი. აერია დავთარი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ კომუნისტებს შეცდომები არა აქვთ.

ჩვენ აქ მთავარი საკითხი გვაინტერესებს. ვინ შერჩა მარქსიზმს. რომელი ნაწილი სდგას დღეს ნამდვილ სოციალისტურ გზაზე?

ჩემი მუშური თვალსაზრისით ამ გზაზე სდგას კომუნიზმი, კომუნისტები. ამ გზაზე დგანან ისინი, ვინც არ დაშორებია მუშა-მშრომელებს. ამ გზაზე დგანან ისინი, ვინც წინანდებურათ განაგრძობენ პროლეტარიატის დაუძინებელ მტერ ბურჟუაზიასთან ბრძოლას.

ამ ბრძოლისათვის მათ არ დაიშურეს არავითარი მსხვერპლი. დღევანდელი საბჭოთა ტერიტორია მრავლათ არის მორწყული ბურჟუაზიასთან მებრძოლი მუშათა სისხლით.

აი სწორედ ეს მებრძოლი ნაწილი სოციალ-დემოკრატიისა შერჩა მარქსიზმს. სდგას დღეს სოციალისტურ გზაზე. ის ძველებურად ებრძვის დღესაც პროლეტარიატის მტერს ბურჟუაზიას და ამ ბურჟუაზიის ყველა დამხმარე - დამქაშებს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ბურჟუაზიის ეს დამხმარეები გამოდგა სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილი— მენშევიკებათ წოდებული, და იგი არავითარ საშუალებას არ ერიდება ბოლშევიკების დასამარცხებლად.

სოციალისტების ერთმა ნაწილმა დაივიწყა თავისივე სურვილი და წინასწარმეტყველება, რომ რუსეთი გადაიქცევა რევოლიუციის კერადო. დაივიწყა სწორედ მაშინ, როცა რუსეთი მართლაც გახდა რევოლიუციის ენერგიის წყარო.

კომუნიზმის უკიდურესი მტრებიც კი ვერ იტყვიან, რომ რუსეთი არაა დღეს რევოლიუციის ცენტრი, რომ კომუნისტებს არ სურთ, არ უნდათ მშრომელი მასის, პროლეტარიატის კეთილდღეობა და სოციალიზმის დამყარება, ხოლო ამისათვის პირობები ხელს უშლის კომუნისტებს. ხელს უშლიან თვით ეგრედწოდებული სოციალისტები.

რა შეგვიძლია ვსთქვათ ურწმუნო თომების შესახებ, რომლებსაც მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს, მაგრამ მუშა-მშრომელებმა, ეს უნდა გაითვალისწინონ, თავი მოიყარონ დღეს ერთად-ერთ რევოლიუციურ, კომუნისტურ პარტიის ირგვლივ, თუ პარტიაში და ხელი შეუწყონ, როგორც ამ პარტიის შეცდომა-ნაკლის გასწორებას, ისე ჩვენი მთავარი მიზნის—სოციალიზმის დამყარების საქმეს.

აქეთ მოუწოდებს ჩვენი გაზეთი ყველა მშრომელებს, ყველა ყოფილ მენშევიკებს.

ს. დოლიძე.

შთაბეჭდილებანი აჭარისტანიდან

ამას წინად მე მომიხდა მუშაობა აჭარისტანის მასწავლებელთა კურსებზე და უნდა მოგახსენოთ, რომ საშუალება მომეცა დაწვრილებით გავცნობოდი აჭარულ ცხოვრებას, რომლის შთაბეჭდილება მე მსურს მკითხველს **გაუზიარო**. მენშევიკების დროს აჭარისტანი გასაბჭოების შემდეგ სავსებით გამოცვლილა. დღევანდელ აჭარისტანს დიდი გამოფხიზლება დატყობია. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ თუ გინდ განათლების საქმე. მენშევიკების დროს აჭარისტანის სოფლებში მხოლოდ თხუთმეტიოდე სკოლა არსებობდა. დღეს აჭარისტანის სოფლებში 114 სკოლაა. გარდა ამისა დღეს აჭარისტანი მოფენილია ქოხ - სამკითხველოებით, კლუბებით და სხვა კულტურულ დაწესებულებებით. აჭარისტანის სოფლების გაცნობამ დამარწმუნა რამდენად აფასებს აჭარელი ფუხარა ხალხი საბჭოთა ხელისუფლებას და უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი მადლიერიც არიან საბჭოთა ხელისუფლებისა.

ჩაქვისთაველმა გლეხმა მითხრა: „ჩვენ ვგრძნობთ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია დაიცვას ჩვენი ინტერესები და ამიტომ არავის უფლებას არ მივცემთ, ეს ხელისუფლება შელახონო“. იგივე გლეხი მენშევიკებს წყევლა-კრულვით იხსენიებდა, ვინაიდან მენშევიკების ბატონობამ არაფერი არ მოგვცაო.

აჭარისტანის განათლების კომისარიატი დიდ მუშაობას ეწევა. ხალხის განათლების საქმე წარმატებით მიმდინარეობს, წელსაც აარსებენ რამოდენიმე ახალ ჯგუფებს დიდი გავლენა მოუხდენია აჭარის სკოლებზე იმ გარემოებას, რომ სკოლების სახელმძღვანელოთა შინაარსი სავსებით შეესაბამება ადგილობრივ პირობების მოთხოვნილებებს. ერთმა გამოცდილმა და წერა-კითხვის მცოდნე აჭარელმა გლეხმა ამხ. რამიზ ჯაფარიძემ შემდეგი გადმომცა: „მენშევიკების დროს გვიგზავნიდენ ანბანის წიგნს—„დედა-ენას“, რომელიც სახარებითა და ჯვრებით იყო დასურათებული. აჭარელ მუსულმანს კი ეს ეჯავრებოდა და ასეთ სახელმძღვანელოს გაურბოდა, ახლა ქართველებმაც კი მიატოვეთ ჯვარი და ეკლესია და რა გასაკვირველია ჩვენ, რომ არ მოგვეწონებოდაო“. ქობულეთის სკოლები სავსე ყოფილა აჭარელ მოწაფეებით, სწავლის მსურველნი იმდენად დიდია, რომ სკოლები ვერ იტევენ, დიდი ლტოლვაა სწავლისადმი აჭარისტანის სხვა მაზრებშიაც.

აჭარისტანის ფუხარა ხალხი აღტაცებით მოელის აჭარის წყალის ჰიდროელექტრონულ სადგურის აგებას, ამ სადგურს აჭარისტანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს და ცხადია აჭარისტანის ეკონომიურ აყვავებას და საერთო წინსვლელობას აუცილებლადხელს შეუწყობს. აჭარისტანის აღმშენებლობა ნათლად ადასტურებს, რა უპირატესობა აქვს საბჭოთა ხელისუფლებას. ინგლისის იმპერიალიზმით და მენშევიკების ხელისუფლებით დაბეჩავებული. აჭარელი ხალხი დღეს წელში გასწორებულა. თვით ჩაბმულა ეკონომიურ კულტურულ აღმშენებლობაში და მოკლე ხანში ჩვენ შევხედავთ, რომ აჭარისტანი სათანადო ადგილს დაიჭერს საბჭოთა კავშირში.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ აჭარისტანის ცენტრი, ბათომი ყოველთვის იყო და იქნება მუშათა კლასის ბუდეთ. მკითხველებს ისიც მოეხსენებათ, რომ აქ ერთ დროს ძლიერი იყო მენშევიზმი, დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბათომის ყოფილი მუშა-მენშევიკები კომპარტიის დროშის ქვეშ დაირაზმნენ.

კერძოთ მე მომიხდა რამოდენიმე საუბარი ყოფილ მენშევიკ მასწავლებელთა შორის, რომლებიც დგანან „ახალ გზელის“ პლატფორმაზე. ეს გარდატეხაც, რომელიც მომხდარა მშრომელი ინტელიგენციის ფენებში, სავსებით ადასტურებს მენშევიზმის გაკოტრებას. მე მგონი მენშევიზმმა თუ სადმე სიძულვილი დაიმსახურა, მან უპირველესად ყოვლისა აჭარისტანში.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ აჭარისტანში გამოდის გაზეთი „ფუხარა“. გასაკვირია, რომ აჭაური ყოფილი მენშევიკები გაზეთ „ფუხარა“-ში არ თანამშრომლობენ. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ცეკასთან არსებულ ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებას კი მართებს გააცხოველოს მუშაობა ბათომელ ამხანაგებში და შეეცადოს, რომ ეს ამხანაგები ღირსეული მებაირახტრენი შეიქნენ კომპარტიის დროშისა.

ალ. გორგაძე.

უსაშინელესი სენი უნდა მოვსპოთ

აშკარაა რომ, წერა-კითხვის უცოდინარობა მშრომელი კლასისათვის უდიდესი სენია.

აშკარაა რომ, ამ სენის წინააღმდეგ საჭიროა გააფთრებული ბრძოლის წარმოება.

არსებობს წერკუმსის სრ. საქ. ცენტრალური გამგეობა თავისი აპარატით. მესამე წელიწადია, რაც სწარმოებს ამ დარგში მუშაობა, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ვერ არის ფართო მასა ჩათრეული მუშაობის სირთულეში. ვერ არის მუშაობის სწორი ფორმები გამონახული. ცენტრალურ გამგეობას ჰყავს თავისი ინსტრუქტორი. რომელიც მოგზაურობს მაზრებში და აწყობს წ. კ. უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებას, მაგრამ მისი მუშაობა „წვეთია ზღვაში“.

არსდებიან კანტი-კუნტად ლიკ-სკოლები სხვადასხვა სოფლებში, მაგრამ მათი საკმაო ნაწილი მეცადინეობის პროცესში იკარგება. არის მრავალი მაგალითები, რომ სკოლა, რომელმაც დაიწყო მუშაობა 30—40 კაცის შემადგენლობით ერთ ორ თვეში მსმენელთა რიცხვი ჩამოვიდა 10—5 და სკოლა დაიშალა. საბრალო მასწავლებელს დაეკარგა ნამუშევარი და ხშირად გამოცდების დროს მილიციის საშუალებით მორეკავენ ყველა იმათ, ვინც დაიწყო მაცადინეობა— ცხადია მისი შედეგი გულშემზარავი იქნება.

გასაბჭოების უკვე მეექვსე წელია და დროა მივიღოთ გადამჭრელი ზომები. ახლოვდება სამოსწავლო წელი და წერ-კუმსი სდუმს. ეს დაუშვებელია.

1. საჭიროა პირველად ყოვლისა ახმაურდეს პრესა, რომ შეიქმნეს დიდი საზოგადოებრივი აზრი წ. კ. უცოდინარობასთან გააფთრებული ბრძოლის საწარმოებლად.

2. საჭიროა კომ-უჯრ[illegible] და- კ. კ. უჯრედებმა განს[illegible] გილი დაუთმონ აღნიშნულ მუშაობას.

ყოველი კომ-კავშირელი და პარტიული უნდა იქნეს უსათუოდ ინსტრუქტორი წერკუმსის ცენტრალურ გამგეობის.

3. უნდა მაქსიმალურად იქნეს ხსენებულ მუშაობაში ჩაბმული სოფლის მასწავლებლობა.

უნდა ყოველი მასწავლებელი იქნეს ინსტრუქტორი წერკუმსის გამგეობისა.

ყოველი მასწავლებელი უნდა გრძნობდეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აღნიშნულ ბრძოლის ასპარეზზედ.

4. სოფლად თუ ქალაქად კედლის გაზეთებმა უნდა შექმნან უსათუოდ ცალკე კუთხე—აღრიცხოს თავიანთი უცოდინარები და მოწოდებით გამოაქვეყნოს სამოსწ. წლის დასაწყისში. კედლის გაზეთმა თვალყური უნდა ადევნოს ლიკ-სკოლის მუშაობას და სწეროს თავის კუთხეში ყოველ კვირეულ თუ თვიური მიღწევები სკოლისა.

5. ასეთი ორგანიზაციული მუშაობით ყველა სოფლად თუ ქალაქად უნდა დაარსდეს მებრძოლი საზოგადოება, რომელიც მოაწყობს საღამო-წარმოდგენებს და თავისუფალ შემოწირულებებს. სასურველია საღამოები მოეწყოს სკოლის საზეიმო გამოშვებებთან.

6. სამაზრო ცენტრებმა უნდა აწარმოონ დაკვრითი იშვიათი ანგარიშიანობა და პასუხის მოთხოვნა წერილობითი ახალ ორგანიზაციებიდან.

7. ვინაიდან სკოლა დამთავრებულები უმთავრესად რჩება უყურადღებოდ, საჭიროა მივაღწიოთ იქამდის, რომ ყოველმა სკოლადამთავრებულმა გამოიწეროს მისთვის მისაწვდომი გაზეთი. ამაში მას დახმარება უნდა გაუწიოს უსათუოდ წ. კ. უც. მებრძოლმა საზოგადოებამ[illegible]

ყველა [illegible]ბი აუცილებელ[illegible] იშვია- მრავალ[illegible] სხვა. რომელსაც [illegible] ქვეით- [illegible] კირის [illegible] ვლებული. შერ-

ახალგაზრდებში მუშაობის შესახებ

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა. ამ ორგანიზაციებს ერთგვარი იდეური გავლენა ჰქონდა უპარტიო ახალგაზრდობაშიაც. როდესაც ანტი-კომუნისტური ფრონტის რღვევა დაიწყო, მუშებთან ერთად ახალგაზრდობამაც მიატოვა მენშევიკურ პარტიის გავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები.

ამ ორგანიზაციაში თავმოყრილი ახალგაზრდობა ერთგვარ კულტურულ ძალას წარმოადგენდა და მას, ცხადია, მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ახალი ქვეყნის, სოციალისტურ საბჭოთა კავშირის შენების საქმეში. ამისთვის საჭირო იყო ამ ახალგაზრდობის დარაზმვა, მათი ახალ გზაზე ხელმძღვანელობა, მათში ახალი აზრების განმტკიცება.

მართალია ძველი ორგანიზაციების რიგებში არავინ დარჩა, მაგრამ ეს ხალხი ისე დაიფანტა, რომ დღეს არავინ უწყის სად არიან და რას აკეთებენ. ამიტომ საჭიროა სათანადო მუშაობის წარმოება, რათა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტები რაც შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდენ „ახალგზელებს“ და აქედან კომკავშირსაც.

შალვა ბაკურაძე.

როგორ სდევნიდენ გლეხკორ სანდაძეს

საკონტროლო ორგანოებს და ინსპექციას ბევრჯერ განუხილავს საკითხები მუშა და გლეხ კორესპონდენტების დევნის შესახებ. უფრო ხშირად ასეთ სდევნას აქვს პირადი დევნის ხასიათი. ხან და ხან კი დევნა იღებს უფრო ღრმა, საზოგადოებრივ ფორმებს.

ასეთი ფორმა მიიღო გლეხკორ სერგო სანდაძის დევნამაც. ბაკურიანის სოფლის მასწავლებელმა სანდაძემ 1925 წელს დაიწყო კორესპონდენციების წერა გაზეთ „რაბოჩაია პრავდაში“. ამავე გაზეთის გლეხკორათ ითვლებოდა აღმასკომის თავმჯდომარეც ამხ. ივანოვი. საერთო საქმემ დააკავშირა ორი გლეხკორი, რომლებმაც მედგრად გაილაშქრეს ადგილობრივ ბნელ ელემენტების წინააღმდეგ. ამ ელემენტებს ეკუთვნოდან ვიღაც ტასო მიქაბერიძე, მეტყევე უგრელიძე, ფერმის გამგე ყავრელაშვილი და სხვები.

ეს კამპანია ცდილობდა გამეფებულიყო მთელს რაიონში. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო აგრ. ივანოვის თავიდან მოშორება და აღმასკომის სათავეში „შინაური“ კაცის ჩაყენება. სწორეთ აქეთ იყო მიმართული ზემოაღნიშნული პირების ცდები და მოქმედებანი.

პირველი შეტაკება აგრ. ივანოვს უგრელიძესთან მოუხდა იმის გამო, რომ უკანასკნელმა არ მისცა გლეხებს საჭირო ხე-ტყე და ამავე დროს ეს ხე-ტყე მიჰყიდა კერძო პირებს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბაკურიანის სინამდვილეში ტყე გლეხებისათვის მთავარი საარსებო წყაროა, ადვილათ მივხვდებით გლეხების აღშფოთებას, როდესაც მათ დაინახეს, რომ უგრელიძის წყალობით მათი კუთვნილი ხე-ტყე კერძო პირების ხელში გადავიდა.

შეტაკებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. მაშინ აგრ. ივანოვმა პრესის საშუალებით გაილაშქრა უგრელიძის წინააღმდეგ.

გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ივანოვი იძულებული შეიქნა თავი დაენებებია ბაკურიანისათვის. მაგრამ სანდაძე, რომელიც რჩება ბაკურიანში, განაგრძობს ბოროტმოქმედების მხილებას.

შეტევა იწყება სანდაძის წინააღმდეგ. უგრელიძე - მიქაბერიძის კამპანიას ემატება არმასკომის ახალი თავმჯდომარე **კოძილკო**, რომელიც სანდაძის წერილებს აფასებს, როგორც თავის თავის პირად შეურაცხყოფას. სანდაძეს აყენებენ აუტანელ პირობებში. კოძილკო ემუქრება მას „ჩეკით“, აფრთხილებს, უქადის გადასახლებას და სხვა. სანდაძე არ ცხრება და განაგრძობს მხილებას.

როცა გაფრთხილება-მუქარა არ გადის, იწყება ცილისწამების კამპანია სანდაძის წინააღმდეგ. ავრცელებენ ათასგვარ ხმებს, სთხზავენ ჭორებს იმის შესახებ თითქოს სანდაძე ეწეოდეს გლეხებს შორის ანტი-საბჭოთა აგიტაციას, თითქოს ურჩევდეს გლეხებს უარი განაცხადონ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შეტანაზე და სხვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სანდაძე იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ბაკურიანი, რათა თავი დაეღწია მის გარშემო შექმნილ პროვოკაციიდან.

სანდაძე ჩამოვიდა თბილისში და პრესის საშუალებით აღნიშნა მისი დევნა.

დანიშნული იქნა კომისია მუშათა და გლეხთა ინსპექციის და გაზეთის რედაქციის წარმომადგენლების შემადგენლობით საქმის გამოსაძიებლათ. გამოძიებამ დაადასტურა, რომ ბაკურიანში მართლაც ხდებოდა ბრძოლა ორ ძალთა შორის. ერთი ძალა იყო საბჭოთა — საზოგადოებრივი სულისკვეთების გამომხატველი, ხოლო მეორე ანტი-საბჭოთა სულისკვეთებით გაჟღენთილი. პირველი ჯგუფი სამართლიანობის დასაცავათ მიმართავდა საბჭოთა პრესას, ხოლო მეორე თავის ბოროტი განზრახვების განსახორციელებლად — პროვოკაციას, ცილისწამებას. აღმასკომის თავმჯდომარე, კოძილკო კი იმის მაგიერ, რომ შეენელებია ამ ორ ძალთა შორის არსებული ბრძოლის სიმწვავე, პირიქით ხელს უწყობდა მას. გამოძიების შედეგები მოხსენდა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიას, რომელმაც

ამხ. სერგო სანდაძე სავსებით გამართლებული სცნო.

ინსპექციის კოლეგიამ აღნიშნა, რომ ამხ. სანდაძის წერილები ყველა სიმართლეს გამოხატავდენ.

მისი სდევნის ფაქტი ადგილობრივ ანტი-საბჭოთა ელემენტების მიერ (ტასო და ვასო მიქაბერიძეები და სხვ.) დამტკიცებულია.

ბაკურიანის თემ-აღმასკომის თავმჯდომარე **კოძილკო** მოხსნილია თავის თანამდებობიდან, როგორც უვარგისი ადმინისტრატიულ თანამდებობაზე.

მიეცა წინადადება კურორტთა მთავარ სამმართველოს დაუყოვნებლივ მოხსნას ბაკურიანის სატყეოს გამგის თანამდებობიდან მოქ. **უგრელიძე**, რომელიც ისედაც მიცემულია პასუხისგებაში სხვადა სხვა ბოროტმოქმედებათა გამო. მისი პასუხისგებაში მიცემამდე უგრელიძე უნდა მოხსნილი ყოფილიყო ბაკურიანის სატყეოდან, მაგრამ დატოვებულ იქნა საქმის გარჩევამდე, კურორტთა სამმართველოს შუამდგომლობის თანახმად, ამ სამმართველოს უფროსის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

კოლეგიამ დაადგინა მიეცეს წინადადება სათანადო ორგანოებს დააჩქარონ უგრელიძის წინააღმდეგ, ხე-ტყის კერძო მოიჯარადრეებზე—გაცემა და გლაშვილზე—გაყიდვის გამო აღძრულ საქმის გარჩევა.

ამხ. ივანოვი, ბაკურიანის თემ-აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარე, რომელიც როგორც საზოგადოებრივ ასპარეზზე, ისე ადმინისტრატიულ მუშაობაში თავის სიმაღლეზე იდგა, აგრეთვე სავსებით გამართლებულია.

მოწერილი ამბები

ხშირად ასეთი მოხსენებები

დაბა ხარაგოული (შორ. მაზრა)

ამასწინათ დაბა ხარაგოულში ჩამოვიდა ყოფ. მენშევიკი, ლ. კუპრაშვილი. კრება გაიხსნა რკინისგზის კლუბში, სადაც შეიკრიბა დიდძალი საზოგადოება და უადგილობისა გამო მრავალი დამსწრეთაგანი გარედან და ფანჯრებიდან უცქეროდა მომხსენებელს.

მომხსენებელმა გულახდილათ და დაუფარავად გააშუქა კრების წინაშე მენშევიკების გადახვევა რევოლიუციის გზიდან და მარქსიზმის მოძღვრებიდან... აგვისტოს აჯანყება და მისგან გამოწვეული სისხლის ღვრა შედეგია იმ ალვირ-ახსნილი თავმოყვარეობისა, რომლითაც გაჟღენთილია საქართველოს ს. დ. პარტია... მენშევიზმი თავისი ყალბი გზით უკვე ჩაბარდა ისტორიის არქივს და არავითარ ძალას აღარ ძალუძს მისი აღორძინება... გზა სოციალიზმისაკენ არის მხოლოთ და მხოლოთ ერთათ-ერთი—ეს არის კომუნისტური პარტია და მისი პროგრამა და თუ ჩვენ ამ გზას დავადგებით უეჭველათ მივაღწევთ იმ დიად მიზანს, რომელსაც ეტრფოდა და დღესაც ეტრფის მშრომელი კლასი.

მოხსენებას შედეგათ მოჰყვა მრავალი შეკითხვები, რაზედაც ყველამ დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო მომხსენებლისაგან.

შეკითხვების გათავების შემდეგ ხარაგოულის მასწავლებელმა, ამხანაგმა სავლე აბულაძემ შემდეგი სიტყვით მიმართა კრებას: „ამხანაგებო! კუპრაშვილის მოხსენება, რომელიც დღეს ჩვენ მოვისმინეთ, მეტად დამაფიქრებელია, მით უფრო, რომ მომხსენებელი არის ყოფილი მენშევიკი, რომელიც თურმე, როგორც თვითონვე განაცხადა, მთელი წლების განმავლობაში იბრძოდა იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამტკიცებს, „რომ ქართველი ხალხის რიცხვობრივი შემცირება ძველ დროსთან შედარებით მოხდა იმის გამო, რომ საქართველო ხშირათ ევროპის სახელმწიფოების აგულიანებით აწარმოებდა შეუთანხმებლობის პოლიტიკას თავის ახლო მეზობლებთან, რასაც თან სდევდა დაუსრულებელი ომები და იჟლიტებოდა უამრავი ხალხი.

იმ უთანხმოებაში, რომელიც არსებობს მენშევიკ ბოლშევიკთა შორის, სიმართლე ბოლშევიკების მხარეზეა; ამიტომ ბოლშევიკებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, ყოველნაირათ უნდა შევუწყოთ ხელი, და რაიმე გამოსვლაზე მათ წინააღმდეგ ფიქრიც კი არ გავივლოთ გულში“-ო.

ამას ლაპარაკობს თვითონ ყოფილი მენშევიკი, რომელსაც აქტიურათ უმუშავნია ოცდაათი წლის განმავლობაში და მხურვალე მონაწილეობა მიუღია მენშევიკური პარტიის სახელის შექმნაში.

ამ ფაქტს უნდა ჩაუკვირდეთ და დავასკვნათ რომ საზღვარგარეთ დარჩენილ მენშევიკ მეთაურთა გეზი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ მიმართული, მოკლებულია ყოველივე საფუძველს და სამართლიანობას; მათი „საქმიანობა“ არავისთვისაა სასარგებლო — საფრთხეს კი დიდს შეიცავს ქართველი მშრომელი ხალხისთვის; უფრო ადრე უნდა მომხდარიყო ის, რასაც დღეს აკეთებს მენშევიკთა შორის მომუშავე მუშათა კომისია. მაგრამ „სჯობს გვიან — ვიდრე არასდროს“-ო, ნათქვამია, და ესეც ღირსებაა, რომ შეიტყობ თუ არა შენი ნაბიჯების შეცდომას, გამოტყდები შენ შეცდომაში და სხვასაც გაბედულათ მოუწოდებ: „მე ვსცდებოდი ამხანაგებო, თავპირის ვიმტვრევდი, ქვეყანას ვღუპავდი, არ იყო სწორი ჩემი გზა, სწორი გზა „ახალი გზა“ არისო.

სახელმწიფო წინ მიდის ყოველმხრივ და რისთვის უნდა მოახდინოს ხალხმა აჯანყება?!. მისთვის ხომ არა,რომ ანაფორიან — ან ანაფორია გამძვრალ მღვდლებს დაუბრუნდეს ტკბილი ცხოვრება ან დრომოჭმულ თავადაზნაურობას ჩამორთმეული უპირატესობანი კვლავ მიენიჭოს??.

ეს ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესს არ შეადგენს.

ამხ. აბულაძის სიტყვის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „18 ივლისს, 1926 წელს, დაბა ხარაგოულის და მის რაიონის საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. ლ. კუპრაშვილის მოხსენება, დაადგინა: „საქართველოს მუშათა კლასი, მშრომელი გლეხკაცობა და მშრომელი ინტელიგენცია რევოლიუციონურათ აღზრდილი და გამობრძმედილი. არ ყოფილა არც ერთი რევოლიუციონური გამოსვლა რუსეთის დიდ ცენტრებში, რომ მას ფართე გამოძახილი არ გამოეწვიოს ჩვენში.

ბრმა ნდობამ საზღვარგარეთ გადახვეწილ ჩვენ ყოფილ ბელადებისადმი ჩვენ აგვაცილა ნამდვილ რევოლიუციონურ გზას.

ჩვენ უთავბოლოთ და უაზროთ ოთხი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით სასტიკ ბრძოლას ბოლშევიზმის ანუ რევოლიუციის წინააღმდეგ და მივდიოდით ასე ბრმათ სანამ არ მივახეთქეთ შუბლი სალ კლდეს აგვისტოს გამოსვლების სახით.

მაშინ კი გამოერკვა საქართველოს მუშათა კლასი და თავდაპირველათ მისი სული და გული—თბილისის მუშები, გადააფასა თავისი ოთხი წლის ბრძოლა—და მივიდა შემდეგ უტყუარ დასკვნამდე:რომ ბოლშევიზმი არის მთელი ქვეყნის უდიდესი რევოლიუციის ხელმძღვანელი, რომ ჩვენი ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, არის ბრძოლა სოციალისტურ რევოლიუციის წინააღმდეგ, რაც დაუშვებელია რევოლიუციონურ მუშათა კლასის და მის მიმყოლ მშრომელ გლეხკაცობისათვის. ამიტომ ხარაგოულის საერთო კრება თავის მხრივ მოუწოდებს ყველას, თუ ვინმე კიდევ დარჩა მენშევიკურ პარტიაში, შესწყვიტონ ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ და მიიღონ ყოველგვარი ზომები საბჭოთა ხელისუფლების და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიის გამაგრება-განმტკიცებისათვის.

ალ. ხარატიშვილი.

ტელეფონი საჩხერის რაიონში

(შორაპნის მაზრა).

სამაღმასკომის პრეზიდიუმის ინიციატივით და ამიერ [illegible]

[illegible]ც. ქეტრეველი.

მაზრ[illegible] საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**ალ. სალარიძე.**

1926 წ. სექტემბრის 11. თბილისი—სასახლე.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობისათვის

პარასკევს, 10 სექტემბერს, შესდგა ამიერ-კავკასიის რკინისგზის მთავარ სახელოსნოების სახარატო და სამჭედლო საამქროთა უჯრედების საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის რეზოლიუციის შესახებ საბჭოთა გადარჩევის შედეგებზე. ამ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი **კახიანი**.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა ხანგრძლივი მსჯელობა, რის შემდეგ **ერთხმად** გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საბჭოების გადარჩევის შედეგების შესახებ, მთავარ სახელოსნოების სახარატო და სამჭედლო საამქროთა უჯრედების კრება ერთხმად უერთდება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებას და აუცილებლად სთვლის პლენუმის ყველა დირექტივების უცვლელად ცხოვრებაში გატარებას. კრება ამასთანავე აცხადებს, რომ საბჭოების გადარჩევის შედეგების შეფასება ოპოზიციის მიერ აშკარად არალენინურია".

წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა აღმოიფხვრას

ჩვენი პარტიის რიგებში არიან ჯერ კიდევ ისეთი წევრები და კანდიდატები, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა. მიუხედავათ იმისა, რომ პარტია მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავს წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად თავის რიგებში, მისი სავსებით ლიკვიდაცია ჯერ კიდევ მაინც არ მოხერხდა. ეს გარემოება, ერთის მხრივ, იმით აიხსნება, რომ პარტია დღითი-დღე იზრდება. მის რიგებში ახალ-ახალი ფენები შემოდის, ქალაქათ პროლეტარული, ხოლო სოფლად ღარიბეს გლეხთა ნაწილი ირაზმება მასში. ამ ფენებს შორის კი ბევრნი არიან ისეთები, რომლებმაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, წერა-კითხვა არ იციან. ცხადია, მხოლოდ ეს მიზეზი (ე. ი. წერა-კითხვის უცოდინარობა) ვერ ჩაითვლება დაბრკოლებათ პარტიაში მიღებისათვის.

მეორეს მხრივ პარტიის რიგებში წერა-კითხვის უცოდინართა არსებობა იმითაც აიხსნება, რომ პარტიის ზოგიერთი წევრები და კანდიდატები (წ. კ. უცოდინარები) მიუხედავათ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების დადგენილებებისა და მითითებებისა, გაურბიან ლიკვსკოლებში სიარულს. ეს გარემოება, სხვათაშორის, ორიოდე დღის წინ დამთავრებულ თბილისის მაზრის პარტიულ თათბირზეც გამოირკვა. ამის გამო არის, რომ მუშათა კლასის ავანგარდს თავის რიგებში ანბანურათ უცოდინარი წევრები ჰყავს.

რასაკვირველია, ამ მოვლენის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. უკვე იწყება მიმდინარე სამოსწავლო წლის პარტგანმანათლებელი მუშაობის კამპანია. ამ კამპანიის დროს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ პარტიის რიგებში ანბანურათ უცოდინარი წევრების რიცხვი მინიმუმამდე დავიყვანოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გარემოება ხელს შეგვიშლის მეორე არა ნაკლებ საყურადღებო და საჭირო ამოცანის შესრულებაში. სახელდობრ, პარტიის წევრთა პოლიტგანვითარების დონის ამაღლებაში.

როგორ და რა გზით უნდა მოვახერხოთ ეს?

როგორც ზევით ავღნიშნეთ, წერა-კითხვის უცოდინარობა ვერ გახდება ერთად ერთ დამაბრკოლებელ მიზეზათ პარტიის რიგებში მიღებისათვის, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივმა პარტორგანიზაცმ. არ უნდა მიაქციონ ყურადღება საკითხის ამ მხარეს, ამა თუ იმ ამხანაგის პარტიაში მიღებამდის. საჭიროა, რათა ის ამხანაგები, რომლებიც ხშირათ ესწრებიან უჯრედების ღია კრებებს და აცხადებენ პარტიაში შესვლის სურვილს, წინასწარ იქნენ გაგზავნილი სალიკვიდაციო სკოლებში, რათა იქ წერა-კითხვა პარტიის რიგებში შესვლამდის შეისწავლონ. იმ კანდიდატებს კი რომელთა მიღება ხდება მიუხედავათ იმისა, რომ ის წერა-კითხვის უცოდინარია, უნდა მიეცეთ განსაზღვრული ვადა და პარტდისციპლინის ძალით დაევალოთ მოსპონ თავის ანბანური უცოდინარობა. დაბოლოს, რაც შეეხება იმ წევრებს რომლებიც უკვე კარგა ხანია პარტიაში არიან და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე არ ზრუნავენ, პირიქით, გაურბიან კიდეც—მათ უნდა მიეცეთ კატეგორიული წინადადება და დაევალოთ როგორც სამართლიანათ აღნიშნავდა ამას ერთ-ერთი ამხანაგი თბილისის სამაზრო პარტთათბირზე, სალიკვიდაციო სკოლაში სიარული. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ ამ ფრიად არასასურველ ნაკლის თავიდან აცილებას.

ბანიძე.

თბილისის მაზრის თემკომის მდივნების და თემ-აღმასკომის თავმჯდომარეთა თათბირი

ამხ. გავაშელის მოხსენების შემდეგ, თათბირმა მოისმინა ამხ. ფირიაშვილის მოხსენება მაზრის გლეხკომების შესახებ.

10 სექტემბერს დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **აკოპოვის** მოხსენებით პარტიის ამოცანების შესახებ სოფლად.

შეჩერდა რა მე-14 პარტყრილობის ძირითად გადაწყვეტილებებზე სოფლად მუშაობის შესახებ, ამხ. აკოპოვი გადავიდა პარტმუშაობის დახასიათებაზე თბილისის მაზრაში. ღარიბებს გლეხთა ორგანიზაციის საკითხისათვის, აღნიშნავს მომხსენებელი, ჯერ-ჯერობით ადგილებზე არ მოუქცევიათ შესაფერისი ყურადღება. არსებული გადახრა ღარიბთა ორგანიზაციების შეუფასებლობის საკითხში უაღრესად საზიანოა და ასეთი შეხედულება აღმოფხვრილი უნდა იქნეს. ღარიბთა ორგანიზაციების კონკრეტიული ფორმები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, საკმაოდ არ არის გამორკვეული. მიუხედავათ ამისა, პარტყრილობის დირექტივა მიუთითებს იმ ძირითად მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ღარიბთა და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილის ორგანიზაციას, როგორც ორგანიზაციულ კავშირს კულაკების წინააღმდეგ.

ღარიბთა ორგანიზაციების მოწყობა—ეს სადღეისო საკითხია.

მომხსენებელი შეეხო შემდეგ გლეხკომების მუშაობას და აღნიშნა, რომ, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, საჭიროა მაინც გლეხკომების მუშაობის გაძლიერება. საერთოდ, გლეხკომების მუშაობა სუსტად არის დაყენებული. ამის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს სამაზრო გლეხკომების მიერ არა საკმაო ყურადღების მიქცევა ადგილობრივ გლეხკომებისადმი.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა სოფლად საზოგადოებრივ მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობა ძლიერ სუსტად არის განვითარებული და საჭიროა მუშაობის გაძლიერება.

რაც შეეხება ქალაქის პარტუჯრედების შეფობას სოფლებზე, ამ საზოგადოებების მუშაობა ადგილობრივ პირობების მიხედვით აუცილებლად გაორკეცებული მნიშვნელობის მქონეა. საშეფო საზოგადოებების მუშაობა საჭიროებს უფრო მეტ გაუმჯობესებას. ამ საკითხსაც ყურადღებით უნდა მოეპყრას ადგილობრივი პარტორგანიზაციები.

აღნიშნულ დარგებში მუშაობის გამოცოცხლება მოითხოვს მთელი პარტმუშაობის თვისების გაუმჯობესებას. **მეტი თვითკრიტიკა და მკაცრად მოპყრობა თავისი თავის შეფასებაში. მეტი გეგმიანობა და სისტემა ამა თუ იმ კონკრეტიულ ამოცანის გადაწყვეტაში.**

უნდა გავაძლიეროთ თითეული პარტმუშაკის პასუხისმგებლობა. პარტიის თითეულმა წევრმა შეძლებისადა გვარად უნდა იკისროს პარტმუშაობის ვალდებულობა. უამისოდ შეუძლებელია ადგილებზე პარტმუშაობის გამოცოცხლება და გაუმჯობესება.

სოფლის ინტელიგენციასთან კავშირის გაწყვეტა, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს, აუცილებლად გამოიწვევს უარყოფით შედეგებს. ეს გარემოება არ შეიძლება გაუშვათ მხედველობიდან.

ამხ. აკოპოვი შემდეგ შეეხო პარტიის შემადგენლობის ზრდასა და მის მოწესრიგების საქმეს და აღნიშნა, რომ არც ამ საკითხს აქვს საკმაო ყურადღება მიქცეული თემების პარტკომიტეტების მიერ, მაშინ, როდესაც ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. როგორ მიმდინარეობს ზრდა ან ვის ხარჯით უნდა გაიზარდოს პარტია,—აი ის საკითხები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს სოფლად პარტიის ავტორიტეტის საზომია და აგრეთვე პარტიისადმი ახლო მდგომ გლეხთა ფენების დამოკიდებულების მაჩვენებელი. ამჟამად სამაზრო პარტორგანიზაცია ითვლის თავის რიგებში 707 წევრს და კანდიდატს. კომკავშირი აერთიანებს 1750 წევრს.

ყველა ეს საკითხები საკმაო ყურადღებით უნდა გაირჩეს და დამუშავდეს.

გლეხ-ქალებთან მუშაობის საკითხებმა და კომკავშირთან კავშირის გაძლიერებამ უნდა დაიჭიროს საპატიო ადგილი. არანორმალური და ავადმყოფური მოვლენები, რომლებიც შემჩნეულია ამ დარგში, შეიძლება მოსპობილ იქნეს მხოლოდ ფხიზელი თვალყურის დევნებისა და პარტიის ხელმძღვანელობის საშუალებით.

სათემო პარტიულ ორგანიზაციებზე და თემების აღმასკომებზე ხელმძღვანელობა, მაღლამდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ გამორკვეულ და ინსტრუქციების მიცემა, ყოველმხრივ გაძლიერებული უნდა იქნეს.

უკეთებს რა ყოველივე ნათქვამს ამხ. აკოპოვი დასკვნას, ის აღნიშნავს ადგილებზე პარტმუშაობის განვითარების ორგვარ ხაზს: სოფლად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის გამოსაცოცხლებლად კურსის აღება და გამუდმებული ყურადღების მიქცევა პარტმუშაობის იდეური შინაარსისა და მისი თვისებისადმი.

მომხსენებელს ბევრი შეკითხვები მისცეს. კამათში მონაწილეობა მიიღო ამხანაგების მთელმა რიგმა, განსაკუთრებით, ადგილებიდან.

ყველა ამხანაგები აღნიშნავდენ მთელ რიგ მოუღწევლობას მაზრებში და მიუთითებდენ იმ სიძნელეებზე, რომლებიც ხვდება მათ სოფლად პრაქტიკული მუშაობის დროს. დილის სხდომა დაიხურა ამხ. აკოპოვის საბოლოო სიტყვით.

საღამოს მოსმენილ იქნა ამხ. **ასრიბეკოვის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის შედეგების შესახებ.

მუშაობა ღარიბეს გლეხთა შორის.

(სენაკის მაზრა).

ს. კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტმა ზაფხულის განმავლობაში დიდი ყურადღება მიაქცია ღარიბეს გლეხთა შორის მუშაობის საკითხს.

ამ მიმართულებით გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები განსაკუთრებით ივნისიდან; მუშაობა სწარმოებდა ს. კ. პ. ცკას დირექტივების მიხედვით.

მუშაობის ნაყოფიერათ ჩატარების მიზნით, პირველ ყოვლისა, აყვანილ იქნა აღრიცხვაზე მაზრის ღარიბესი გლეხობა პარტუჯრედების საშუალებით. მაზრკომის საორგანიზაციო განყოფილებამ შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი მაზრის ღარიბეს გლეხთა შორის სამუშაოდ; ქალაქის პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციის გაერთიანებულ კრებაზე და უჯრედების სხდომებზე ჩატარდა რამოდენიმე მოხსენებები ღარიბი გლეხების ჯგუფებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობის შესახებ; მოწვეულ იქნა ღარიბ გლეხთა კრებები ცალკე და პარტორგანიზაციასთან გაერთიანებულად ჩატარდა მოხსენებები მათთვის საინტერესო საკითხებზე: (ღარიბესი გლეხობის ჯგუფები და მიზანი, პარტია და ღარიბესი გლეხობა, გლეხკომების მნიშვნელობა და სხვა).

საბჭოებთან და ზოგიერთ წარმოებებთან, სადაც ღარიბ გლეხთა რიცხვი საკმაო იყო, ჩამოყალიბებულ იქნა ღარიბეს გლეხთა ჯგუფები. მუშაობამ ამ მოკლე ხანშიაც სათანადო ნაყოფი გამოიღო: ღარიბესი გლეხობის პოლიტიკური გამოფხიზლება — აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში (განსაკუთრებით, მაზრაში უკანასკნელად ჩატარებულ გლეხკომების გადარჩევის დროს). მათი დარაზმვა პარტიასთან ერთად საერთო ინტერესებით, რაც საწინდარია პარტიისა და მშრომელი გლეხობის კავშირის შემდეგი განვითარებისა კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მ. ბ—ა.

პარტქრონიკა

— **ახალი უჯრედი.** ახალ-სენაკის ს. ლ. კ. კ. მაზრკომს განზრახული აქვს შავი ზღვის რკ.-გზ. 1-ლ უბანში გახსნას ახალი-რუსული უჯრედი, ვინაიდან ხაზზე მომუშავე კ. კ. წევრები 99 პროც. რუსებია.

— **მიმღები კომისია.** ახალ-სენაკის ს. ლ. კ. კ. სამაზრკომთან ჩამოყალიბდა კავშირში ახალი წევრების მიმღები კომისია, რომლის მოვალეობას დღემდე საკონფლიქტო კომისია ასრულებდა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნარინჯი

ოზურგეთი, 11 სექტემბერი. 1925 წ. ყინვებიდან დაღუპულ ნარინჯის პლანტაციების აღსადგენად წარმოებული მუშაობა დამთავრდა. ნარინჯის კულტურის რაიონებში—მიქელგაბრიელს, აცანასა და ხვარბეთში დარგული და დამყნილია 400—1.500 ახალი ნერგი. ამ რაიონებში ძველი პლანტაციებიდან, რომლებიც გადურჩა ყინვებს, მოელიან ნორმალურ მოსავლის 25 პროც. მოსავალს.

სოფლის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები

თელავი, 11 სექტემბერი. სოფლის შრომის სკოლების მასწავლებელთა პერსონალის ნაკლებობის გამო, განათლების სამაზრო განყოფილებამ გახსნა ერთ თვიანი კურსები წელს ადგილობრივ ცხრაწლედ დამთავრებულთათვის. ჩაწერილია 55 მსმენელი. კურსდამთავრებულთ მიეცემათ ადგილები რაიონებში.

საზამთრო საძოვრებზე

თელავი, 11 სექტემბერი. თუშმა მეცხვარეებმა კავკასიის ქედის საზაფხულო საძოვრებიდან ცხვარი გარეკეს შირაქის ველზე. მოწინავე ნაწილმა უკვე მიაღწია ალაზნის მინდორს და შაქრიანის ხიდს. ცხვრის ძოვება წელს წყნარად ჩატარდა: თავდასხმას ქისტების მხრით ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ცივი და წვიმიან ზაფხულისა მთებში ცხვრის მდგომარეობა კარგია. ცხვარი ნახევრად გაუკრეჭავია; მეცხვარეები ცხვარს კრეჭენ ეხლა ბარში სადგომ ადგილებზე. სათემო აღმასკომები მეცხვარეებს უკრძალავენ ცხვრის გასაკრეჭად გაჩერებას, ამ ნიადაგზე ადგილი აქვს გაუგებრობას, რის მოწესრიგებაც აღმასკომმა დაავალა სამიწადმოქმედო განყოფილებას.

წერილები

მღვდელ-მასწავლებლები

(წერილი რაჭიდან)

რაჭის გლეხი მომთმენია, ბუნებამ მას შეასწავლა გაჭირვებასთან ბრძოლა. ის ცოტათი კმაყოფილდება, ცოტაზე გადადის, მაგრამ სულ სხვაა რაჭის მღვდლები. ისინი არ ღალატობენ სასულიერო წოდების ტრადიციებს. რაც უნდა ღარიბი და ხელმოკლე ყოფილიყო სოფელი, მღვდელს წინათ პატივისცემა და მორიდება არ აკლდა. რაჭის მღვდლებიც ერთობ მიჩვეულნი იყვნენ ბებებზე და ხვანჭკარაზე.

მაგრამ სხვებთან ერთად მათაც დაუდგათ განსაცდელის დღე. რაჭველი გლეხები გასული ხალხია. მათ ქალაქთან მჭიდრო კავშირი აქვთ. ამიტომ ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობამ აქ განსაკუთრებული ძლიერი ხასიათი მიიღო. დარჩა რაჭველი ანაფორიანები მშრალზე.

ერთხანს ითმინეს, იცადეს, მაგრამ ღვთის რისხვა არ დაატყდა თავს „ეკლესიის შემლახძლევებს". ბოლოს ადგენ თვითონაც ზურგი აქციეს ხატსა და ჯვარს, ანაფორები დაიხადეს, სუფთად, კოხტად ჩაკეცეს სკივრებში. შემდეგ წვერ-ულვაშები შეიკოხტავეს, გრძელი პლაშები ჩაიცვეს და გავიდნენ „ერის კაცებათ".

ფიზიკურ შრომას მღვდელი მიჩვეული არაა, სად უნდა წასულიყო, თუ არ სკოლაში, და აი მათაც მიაშურეს განათლების ინსპექციას და განათლების მუშაკთა პროფკავშირებს.

განინსპექციამ მათ მასწავლებლობა უბოძა, კავშირმა კი კავშირის წევრობის წიგნაკი. როდესაც მღვდლებმა კარგათ მოიმაგრეს ზურგი და უბის ჯიბეში შესაფერი საბუთები დაიგულეს, მოიგონეს ძველი დრო. თმები და წვერულვაში ნელ-ნელა დაუგრძელდა მასწავლებლებს, პლაშების სახელოებიც დაუფართოვდათ. ჯვარი და გადმოსაკიდი ჯაჭვები სკივრებიდან ამოაცოცეს, ნაცრით ვაფერეს, გაალამაზეს და ნელ-ნელა საცეცხლურებს დაუწყეს.

ამნაირათ, ერთ ჯიბაში ჯვარი, მეორეში პროფკავშირის წიგნაკი, ერთ ხელში პოლიტეკონომიის წიგნი, მეორეში სახარება. ასეთი მასწავლებლები, ცხადია, შორს ვერ გაფონავდენ საბჭოთა სწავლა-აღზრდის ფრონტზე. იმიტომ კი არა, რომ ყოფილ მღვდლებს ხალისი ან მონდომება აკლდათ, პირიქით, საწყლები ტყავიდან ძვრებოდენ, რომ როგორმე ხელისუფლების ყურადღებაც დაემსახურებიათ და არც მორწმუნე მრევლი დაეტოვებიათ გულნაკლულად, მაგრამ რაც არ არის, არ არის: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე გადმოდინდებისო". ერთმა ყოფ. მღვდელმა, ს. ღარში ლენინიზმის შემსწავლელი წრეც კი დაარსა. კიდევ კარგი, რომ რაჭის სამაღმასკომის განათლების განყოფილება მეტად მოუთმენელი აღმოჩნდა და არ დააცადა ყოფილ მამაოს საქმის დასრულება, თორემ ს. ღარის ბედს მართლაც ძაღლი არ დაჰყეფდა ისეთი ლენინელები გამოიჩეკებოდენ მამაოს წრიდან.

განათლების განყოფილებამ მოხსნა მასწავლებლობიდან 13 ყოფ. მღვდელი. მაგრამ ამით საქმე არ ამოიწურება. აქა-იქ კიდევ არიან ისეთები, რომელიც ონიდან მოქნეულ ცოცხს გადაურჩენ. საჭიროა რაჭის სკოლები ერთხელ და სამუდამოთ გაიწმინდონ ამგვარ ელემენტებისაგან. ისინი ჩვენ სკოლას ვერ აგვიშენებენ.

ქვის მთლელი.

ერთმანეთს ეჯიბრებიან

(გეზათ-გულუხეთის თემი, სენაკის მაზრა).

თემში არსებობს ახალ-აბაშის „ემოსის" განყოფილება, რომელსაც 120 წევრი ჰყავს. ჩვენი თემის მცხოვრებნი 2.000 სულს აღემატება და კოოპერატივის წევრნი კი უმნიშვნელო ნაწილია. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენი თემის გლეხკომების მიერ გახსნილია ორი სავაჭრო: გუდავათაში და გეზაში. აქედან ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი თემის კოოპერატივს ნიადაგი თანდათან ეცლება და ის გარიყული რჩება; აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: გლეხკომის სავაჭროები პირველ მოთხოვნილების საგნებს ჰყიდიან მაღალ ფასებში შედარებით კოოპერაციასთან, მაგრამ მიუხედავათ ამისა გლეხი მაინც თავისას არ იშლის; გლეხს, რომ კითხოთ, რად სჩადის აგრე, ასეთ პასუხს მიიღებთ: „კოოპერატივი შორე მანძილზეა, გლეხკომის სავაჭრო ჩვენია და კოოპერატივი კი სხვისიაო".

კერძოთ ეს არ ითქმის გეზათის გლეხკომის სავაჭროზე, რომელიც ისე ძლიერია, რომ მან შესძლო აგურის, კირის და კრამიტის გამოსაწვავი ქარხნის დაარსება, ამასთან გლეხკომის ყველა წევრს უფასოდ ეძლევა საექიმო დახმარება და წამლობა და 20 პროც. დაკლებით აგურხანის ნაწარმოები. ჩვენ კი გულუხეთის მცხოვრებნი ძლიერ სუსტნი ვართ. ჩვენ გვირჩევნია კოოპერატივში საჭირო საგნების იაფად ყიდვა და გეზეთში არსებულ ქარხანაში წევრად შესვლა, ვინაიდან უკანასკნელი მეტს სარგებლობას მოგვიტანს, ვინემ ჩვენი სოფლის გლეხკომის სავაჭრო; საქმის ასეთი მიდგომა მოგვცემს იმ შესაძლებლობას, რომ ერთის მხრით გავაძლიერებთ და გავაფართოვებთ კოოპერატივის მუშაობას და ამავე დროს თემში გვექნება საერთო აგურხანა, რომლიდანაც ყოველი წევრი საჭიროების მიხედვით მიიღებს დაკლებულ ფასში აგურს, კირს, კრამიტს და, რაც უმთავრესია, წარმოების მოგებას, რომელიც თანაბრად გაუნაწილდება სოფლებს და მოხმარდება მათ აუცილებელ საზოგადო მოთხოვნილებებს. აი რას უნდა მიექცეს დღეს ჩვენი სოფლის მთავარი ყურადღება.

გლეხის მესაიდუმლე.

რა გვქონდა და რას გვაქვს

(ხეთა, ზუგდ. მაზ.)

იყო დრო, როცა ჩვენი კოოპერატივი დიდათ დაცემული იყო. კოოპერატივში არა თუ ახალი წევრები ეწერებოდა, ძველებიც კი გარბოდენ. ხშირად გაიგონებდი გლეხებში: „კოოპერატივი მისია ვინც შიგ არისო". ამ გარემოებას მაზრის ხელისუფლებამ მიაქცია ყურადღება და მოახდინა გამგეობის ხელ-ახალი არჩევნები.

ახალი გამგეობა შეუდგა ენერგიულ მუშაობას. ახალ გამგეობამ მიიღო კრედიტი. კოოპერატივის წევრები აღტაცებაში მოიყვანა იმ დენი საქონლის შეძენამ და თანდათანობით ეწერებოდენ წევრებათ. თუ წინათ ათობით იყო წევრები, დღეს კოოპერატივს 1100-მდე წევრი ჰყავს.

აგვისტოში მოტანილ იქნა კოოპერატივში 9 ათასი მანეთის ფართლეულობა და სხვა საქონელი, არც კი ახსოვს ჯერ ჩვენ კოოპერატივს! გლეხები კალიასავით ესეოდენ საქონელს. ეპოს გამგეობას მიზნად აქვთ დასახული, რომ გახსნას განყოცილება სოფ. საქარიო-თორნაში და საკვიკვინოში. საქონელი თითქმის არ ეტევა მაღაზიაში.

კარგი იქნება, რომ კოოპერატივი აქცევდეს ყურადღებას და სახელმძღვანელოებსაც და სხვა ნივთების შეძენას მოკიდებდეს ხელს.

სოფლის ქრონიკა

— **დასასვენებელი სახლი.** ჯავაში შენდება დასასვენებლი სახლი.

— **ტყის დამუშავება.** ახლო მომავალში შეუდგებიან სიფალავანდოს სატყეო რაიონის დამუშავებას.

— **ტყის დაცვა.** სამხრეთ-ოსეთის ცაკმა აღმასკომმა წინადადება მისცა მიწად-მოქ. კომისარიატს მიიღოს მკაცრი ზომები ტყის დასაცავად.

— **ქოხ-სამკითხველო.** სოფ. ოკონსკში შეუდგნენ ქოხ-სამკითხველოსათვის ახალი შენობის აგებას.

— **საბინაო გადასახადი.** ოსეთის ცაკმა მიზანშეწონილად სცნო ქ. ცხინვალში საბინაო-მიზნობრის გადასახადის გატარება.

— **თეატრი.** ახალციხის აღმასკომი შეუდგა ქალაქის თეატრის შეკეთებას.

— **სესხი.** სვანეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა აღმასკომის საჭიროებისათვის აიღოს სესხი სახ. ბანკიდან.

— **საექსპორტო ბიურო.** სვანეთის აღმასკომთან დაარსდა საექსპორტო ბიურო.

— **თემის გადატანა.** უხუთის თემის ცენტრი ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა გადაიტანა სოფ. საპრასიაში.

— **სენაკის** აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო ფოცხოვის და უშაფათის თემების გაუქმება.

— **წყემის თემის** გლეხებმა დაიბეგრეს თავი ადგილობრივ სკოლის საჭიროებისათვის.

მუშათა ცხოვრება

ტყავ-ტრესტის ქარხანაში

ტყავ-ტრესტის ქარხნის კომიტეტი შესდგება 7 წევრისა და 2 კანდიდატისაგან.

25 მაისიდან 4 აგვისტომდე ქარხკომს ჰქონდა 8 სხდომა, გაირჩა 33 საკითხი. საორგანიზაციო 15, სამნეო 3, შრომის დაცვის 5, კულტმუშაობის 2, სპეც-ტანსაცმელების, ჯამაგირების და სხვა 8.

ქარხკომმა შეადგინა სამთვიანი სამუშაო გეგმა. გადაუგზავნა ცენტრ. კავშირს იგი. კავშირმა დაამტკიცა. ეს გეგმა ქარხკომმა მთლიანად გაატარა ცხოვრებაში, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მუშების მდგომარეობა და აამაღლა ქარხნის წარმოებაც.

ყოველ დღიურ მუშაობაში ქარხკომს ხშირად ხვდება მუშების მტკივნეული საკითხები, მაგრამ მას არ სტოვებს უყურადღებოდ შეძლებისდაგვარად აწესრიგებს მას.

ქარხკომი დიდ ყურადღებას აქცევს ყველა უანგარიშო ხარჯებს და გულციობას, რომელიც იწვევს წარმოების განადგურებას, იცავს შრომის დისციპლინას, სისუფთავეს, ყურადღებას აქცევს ქარხნის მუშების ჯანმრთელობას.

უკარნახებს საწარმოო კომისიებს, რათა დიდი ყურადღება მიაქციოს როგორც მანქანებს, ისე ყველა ხელსაწყო იარაღებს, რათა მათი უვარგისობით არ შეფერხდეს პროდუქციის ხარისხი.

ქარხკომი ენერგიულ ზომებს იღებს, რათა დამზღვევ სალარომ მეტი ალაგი დაუთმოს დასასვენებელ სახლებში დაქანცული მუშების გადასაგზავნად.

სადელეგატო კრება მოხდა ოთხჯერ, გაარჩია 15 საკითხი. კოლექტიური ხელშეკრულების, სატარიფო შეთანხმება, ქარხკომის ანგარიშის, კავშირში მიღების და სხ. შესახებ.

საკონფლიქტო-შემთანხმებელი კომისიის სხდომა იყო 5-ჯერ, გაირჩა 16 საკითხი. თანრიგის მომატების, მოწაფეების ცხოვრების გაუმჯობესების, მუშების ერთი ალაგიდან მეორეზე გადაყვანის 16 საკითხი 6 საკითხი რადგანაც ადმინისტრაცია არ შეუთანხმდა, გადაიგზავნა შრომის კომისარიატში. მათში 4 საკითხი მოგვარდა მუშების სასარგებლოდ.

კომისიამ მოაგვარა შვებულების საკონფლიქტო საკითხებიც და სხვ.

მუშ—დინი.

შრომის დაცვის კომისია მუშაობს

სადგ. თბილისის მოძრაობის დარგში ითვლება სულ 11 კომისია. მათ შორის აღსანიშნავია შრომის დაცვის კომისია, რომელმაც მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან. საანგარიშო ხნის განმავლობაში შრომის დაცვის კომისიამ მოაგვარა შეძლებისდაგვარად მუშების ყველა საჭირბოროტო საკითხები. კომისიას ჰქონდა სულ 6 სხდომა, სადაც განხილულია 19 საკითხი. აქედან მოგვარებულია 13 საკითხი, მოუგვარებელი დარჩა 6 საკითხი.

მოწესრიგებულია თანამშრომელთა მორიგი შვებულების საქმე. თანამშრომელთა შორის, აღმოფხვრილია ზედმეტი საათების მუშაობა საქონლის სადგურში, რასაც აქ ყოველთვის ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა.

შეკეთებულია მეისრეთა საგუშაგოები, დარიგებულია სპეც-ტანისამოსი, ამჟამად ეწყობა შეშის ნისიათ დარიგების საქმე. ამისთვის ადგილკომმა უკვე მიიღო სათანადო ზომები. დღეში ეწერება 15 მუშა-მოსამსახურე. მუშები იგზავნებიან დასასვენებელ სახლებში.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიამ უნდა მოაგვაროს ის წვრილმანი ნაკლებიც, რომელსაც ადგილი აქვს სადგურ თბილისის მოძრაობის დარგში.

კომისიის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი **ი. განდებული.**

საწარმოო კომისიის საქმიანობა

სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო კომისიამ მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის 6 თებერვლიდან. აღნიშნული კომისია სრულიად მიუდგომლად იცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მუშათა მხარეს. ასეთი მიდგომა საკითხისადმი გამოწვეულია წარმოების გაჯანსაღება-აწევის მიზნით. კომისიის მუშაობა უმთავრესად ამ საკითხთან იყო დაკავშირებული და შესაძლო ნაყოფიც მოგვცა მან.

კომისიას ჰქონდა 7 სხდომა, სადაც გაირჩა 52 საკითხი. აქედან ცხოვრებაში გატარებულია 23 და შეუსრულებელი 29 საკითხი.

აქედან ცხადია, რომ დადგენილ საკითხების 60 პროც. საწარმოო კომისია ცხოვრებაში ვერ ატარებს, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს.

კომისიას დასახული აქვს მომავალში მუშაობის უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და მის დადგენილებათა ასი პროცენტით გატარება. ამაში კი საჭიროა როგორც მუშათა მხარის, ისე კომისიის ყველა წევრების აქტიური მუშაობა.

საჭიროა მომავალში, უფრო წინდახედულად და გაცხოველებულად მუშაობა.

მუშკორი **რადიუმი.**

სამკითხველო დროზე უნდა გაიღოს

სადგურ თბილისის ბაქანზე მოთავსებულია რკინისგზის მე-2-ე დამცველ რაზმის ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მისი საქმიანობა ჟურნალგაზეთების და ლიტერატურის გამოწერის მხრივ კარგად არის დაყენებული.

სამკითხველოში 2—3 კაცზე მეტს ვერ ნახავთ. ზოგჯერ კი სულაც არ არის მკითხველი.

სამკითხველო იღება ყოველთვის გვიან, ალბად ამის გამო ხალხი არ ეტანება მას.

საჭიროა სამკითხველო თავის დროზე გაიღოს, რომ მკითხველმა შესძლოს აქ გაზეთის წაკითხვა.

მუშკორი **რადიუმი.**

ნუ არღვევენ შრომის კანონებს

სცდებიან ჩვენი სპეცები და არღვევენ შრომის კანონებს, როდესაც ისინი დაბალ მომუშავეებს უმატებენ ჯამაგირს განუსაზღვრელი მუშაობისათვის.

ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ადმინისტრაცია ფიზიკურ მომუშავეებს უმატებს თავის ჯამაგირზე რამოდენიმე მანეთს და ამუშავებს ისე, როგორც მას მოეპრიანება. მაგალითისათვის მოვიყვან ცემის სანატორიუმს. ხსენებულ დაწესებულებაში წელს გამოგზავნილია შვიდი მომვლელი ქალი. ფაქტიურად პალატებში მუშაობს ექვსი. (ერთი ალბათ რეზერვშია). მომვლელ ქალებს ჯამაგირი თბილისთან შედარებით მომატებული აქვთ 9 მანეთით თითოს. ამ 9 მანეთისათვის მათ ამუშავებენ ყოველ დღე 4—5 საათს ნორმაზე მეტს. ამას გარდა არ იკითხავთ თვით სამუშაოს?

შრომის ინტენსიობა კარგია, მაგრამ ზედმეტი მავნებელია. თუ მუშას ორ დღეში გავსწყვეტთ წელში, მესამე დღეს ის ჩვენი მოსარჩენი ხდება. აღნიშნული ქალებიც ორ ცეცხლშ შუა იმყოფებიან.

რომ მათ იმუშაონ ნორმაზე, ავადმყოფებს თავის დროზე ვერც სადილს და ვერც ვახშამს ვერ მოუტანენ, რომ იმუშაონ ძალიან ინტენსიურად, მაშინ ჯანს და ღონეს ზედმეტს კარგავენ. უთხრან ადმინისტრაციას მოგვიმატე მომუშავეო, ის ეტყვის: „თქვენ 9 მანეთი მოგიმატეთ ისიც საკმარისია.

პალატებიდან სამზარეულო დაშორებულია 50 საჟენით. ამ მანძილზე მათ უხდებათ ფოდნოსებით და ქვაბებით საჭმლის თრევა. ნასადილევს და ნავახშმევს კი ვედრებით ცხელწყალსაც მიათრევს მოხუცებული ქალი ფუთიან ვედროთი.

ნუ თუ ეს კანონიერია?

ცემის სანატორიუმში აღნიშნული ქალები მეტად ცუდ პირობებში არიან. მათ არც სადილი აქვთ სადილის დროს და არც ვახშამი ვახშმის დროს. არა აქვთ თავისუფალი დრო, რომ გაიარ-გამოიარონ ამ წმინდა ჰაერზე.

ახლა არ იკითხავთ, ამას აქცევს ყურადღებას ადგილკომი თუ არა? ჯერ-ჯერობით ასეთი ჩვენს ანტონს (ადგილკომის თავმჯდომარეა) სიზმარშიაც არ უნახავს.

პირიქით, ის თუ საჭირო იქნება, ჯოხითაც გამოეკიდება (მხოლოდ დაბალ) მომუშავეებს, მათი ინტერესების დაცვის მაგიერ.

შრომის კანონი ირღვევა.

ამას უნდა მიაქციონ ყურადღება, ვისაც ეს ეხება.

მუშკორი **ქვენობნელი.**

გამოხმაურება მუშათა წერილებზე

გაზ. „კომუნისტის" რედაქციას.

თქვენი გაზეთის ა.-წ. 30ივნისში გაზ. №97-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: **„პროკურატურის და ქალ. მილიციის საყურადღებოთ"** გაცნობებთ, რომ მთელი მასალა ხსენებულ წერილის გარშემო გადაეგზავნა შრომის სახალხო გამომძიებელს წინასწარ გამოძიებისათვის.

თქვენი ა.-წ. 16 ნოემბ. გაზ. № 37-ში მოთავსებულ წერილისა გამო სათაურით: **„ალაგმეთ ჩარჩი"**, გაცნობებთ, რომ თბ. აღმ. ადმინისტრატიულ გან.-ლების მიერ მთელი გამოკვლევის მასალა **გადმოგზავნილია მე-4 უბ. სახ. გამომძიებელთან წინასწარ გამოძიების მოსახდენად.**

თქვენს ა.-წ. 11 ნოემბ. გაზ. № 33-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: **„მოშალეთ ეს გარყვნილების ბუდე"** ვაცნობებთ, რომ მთელი მოკვლევის მასალა გადაეცა წინასწარ გამოძიების მოსახდენად მე-4 უბ. სახ. გამომძიებელს ა.-წ. 4 მარტს № 315 პროკურორის თანაშემწის მიერ მე-2 უბანში.

პროკურორის მაჟიერ **კუპრაშვილი.**
მდივანი **ნადირაძე.**

მუშათა ქრონიკა

— **მივლინება თბილისში.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა სამტრედიის და ბათომის პროფკავშირს მიავლინოოს თბილისში მუშაკები საკლუბო მუშაობის გასაცნობად.

— **1.997 მან. გაღება.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა დგმის შესაძენად გაიღო 1.997 მან.

— **კლუბების ხარჯთაღრიცხვა.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა დაამტკიცა ახალი ხარჯთაღრიცხვა კლუბებისა.

— **მუშფაკში.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა მოსკოვის სატრანსპორტო ინსტიტუტში მიავლინა **მუსტაფიანი.** კანდიდატათ კი **ტამჩიანი.**

— **ადგილკომის მუშაობის გამოცოცხლება.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა: გამოაცოცხლოს ნახიჩევანის ადგილკომის მუშაობა.

— **ლენინაკანის** საუბნო პროფკავშირმა მიმართა უბანში არსებულ შ. ს. კომისიებს გამოიმუშაონ შინაგან განრიგებათა წესები წარმოება-დაწესებულებებში.

— **ტალახის სამკურნალო.** ამავე პროფკავშირმა მიმართა ა.-კ. დამზღვევ სალაროს დააჩქარონ ლენინაკანში ტალახის სამკურნალოს მოწყობა.

— **ნარდი მუშაობისთვის.** ამავე პროფკავშირმა დაადგინა: დაუყოვნებლივ ჩატარდეს სანარდო მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება კონფლიქტის წესით.

„ინდო"

მემაღაროეთა მისალმება

გაფიცვის მთავარმა კომიტეტმა [illegible] პირდაპირი ხაზოულით მიიღო მისასალმებელი დეპეშა ინგლისის მემაღაროეთა დელეგაციისაგან.

დეპეშაში ნათქვამია, რომ ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია უსურვებს ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე გაფიცულებს სრულ გამარჯვებას დაწყებულ ბრძოლაში.

საგაფიცვო მთავარმა კომიტეტმა „ინდოს" მუშაკების სახელით მემაღაროეთა დელეგაციას გაუგზავნა საპასუხო დეპეშა და უძღვნა მადლობა ამხანაგური სოლიდარობისათვის და თავის მხრივ უსურვა ინგლისის მემაღაროეთ დაწყებული ბრძოლის ბრწყინვალედ დაგვირგვინება.

გაფიცვა ერთსულოვნად მიმდინარეობს

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო მთავარი კომიტეტის ცნობებით, გაფიცვა მთელ ხაზზე ერთსულოვნად მიდინარეობს. გაფიცულებს დაურიგდათ ერთდროული დახმარება.

დახმარება არა-კავშირის წევრებს

თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისა, კავშირის არა-წევრებს, რომლებიც გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობენ, ეძლევათ დახმარება იმავე რაოდენობით, რაც ეძლევა კავშირის წევრებს.

მოსახლეობის აღწერა

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის, რომელიც განზრახულია 1926 წლის დეკემბერში, წინასწარ მუშაობას აწარმოებს საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოსთან შემდგარი აღწერათა ბიურო.

ეს მუშაობა გამოიხატება: 1) ყველა დასახლებულ ადგილთა სიის შედგენაში (დამთავრებულია); 2) მაზრების სქემამატიურ რუქის შედგენაში (რუქების შედგენა მოკლე ხანში დამთავრდება); 3) ქალაქის და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა გეგმების შედგენაში; 4) მეკომურთა სიის შედგენაში (რასაც ადგილობრივ აღმასკომები უკვე ადგენენ და სხვ.); 5) შემუშავებული და დამტკიცებულია საანკეტო ფურცელი ქართულ და რუსულ ენებზე, რომლის ბეჭდვას ამ დღეებში დაასრულებენ; 6) მოკლე ხანში საააღწერო უბნებათ დაიყოფა მაზრები და ადგილობრივი სტატბიუროები შეუდგებიან აღმწერლების რეგისტრაციას და 7) გამორკვეულია რესპუბლიკის მიუვალი ადგილები, სადაც დეკემბერში აღწერის მოხდენა არ შეიძლება. ასეთ რაიონებში აღწერა სხვა დროს დაინიშნება.

კალოშები

თბილისის მცხოვრებლები შეუდგნენ კალოშების შესყიდვას. გასულ კვირის წვიმიან დღეებში რეზინოტრესტის მაღაზიაში გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა.

— დაკმაყოფილებული იქნა თუ არა კალოშებით ყველა მსურველი?

ამ შეკითხვაზე „რეზინოტრესტის" თბილისის განყოფილებაში ჩვენ თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ წელს არავითარ კუდებს კალოშების განმანაწილებელ პუნქტების წინ ადგილი არ ექნება. შარშან საქართველოში გასაღდა 234.000 წყვილი კალოში. წელს კი შემოტანილ იქნება 358.900 წყვილი კალოში, რაც გადაჭარბებით დაფარავს მთელ მოთხოვნილებას. სექტემბრის და ოქტომბრის მარაგი უკვე ეხლავე გვაქვს. ჩვენ საწყობში არის 192..000 წყვილი სხვადასხვა კალოში.

ფასები კალოშებზე დაწესებულია შემდეგი: კაცების და ქალების კალოშები იყიდება 3 მ. 70 კ. ბავშვების—2 მ. 05 კ.

85.000 წყვილი კალოში გადაეცემა კოოპერაციას გენერალური ხელშეკრულებების მიხედვით. სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს და კერძო პირებს დააკმაყოფილებს თბილისის განყოფილება. კოოპერაციას და სახელმწიფო ორგანოებს კალოშები ეთმობათ საბითუმო ფასებში იმ პირობით, რომ მათ მიაწოდონ კალოშები მცხოვრებლებს იმავე ფასებში, რომლებიც დაწესებულია ჩვენ საცალო მაღაზიაში.

მეცნიერება და ტეხნიკა

ზღვაში და მდინარეებში ბანაობის სარგებლობა

წყალი და ჰაერი—ეს არის ორი სტიქია, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში ერთი მათგანი მუდმივ [illegible]ს აკრავს ყოველ ორგანიზმს. ის მოქმედობს [illegible] ზედაპირზე, იჭრება მის შიგნით, კვებავს [illegible] და ხელს უწყობს მასში ქიმიური პროცესების განვითარებას.

უმაღლესად განვითარებული ცხოველები და ადამიანი გარშემორტყმული არიან ჰაერით, წყალს კი შიგნით მიმღებლობენ. მაგრამ ხშირად გვხდება ცხოველები, რომლებიც ინსტინქტიურად მიილტვიან წყალისკენ და ცდილობენ ჩაყურყუმალავდენ მასში. ამ ცხოველებში ინსტიქტი ჰიგიენის კანონების ცოდნის მაგიერობას ასრულებს: ის გვიჩვენებს, რომ ტანი დროგამოშვებით საჭიროებს წყალის სტიქიის ზეგავლენას.

რომ ჩვენი ჯანმრთელობის ინტერესები მოითხოვენ ტანის პერიოდულად გაშიშვლებას, რათა ჰაერისა და მზის სხივების ზეგავლენის ქვეშ მოვაქციოთ იგი, ეს თითქმის ყველასათვის ნათელია.

ამ წერილში ჩვენ ლაპარაკი გვექნება წყალზე. აუცილებელია პერიოდულად ჩვენი სხეული მოვაქციოთ წყალის ზეგავლენის ქვეშ. ამ მიზანს ემსახურებიან ვანები, წყალცხრილები და სხვ., მაგრამ უფრო მეტად — ბანაობა ზღვაში და მდინარეებში.

წყალი ორგანიზმზე მოქმედობს პირველ ყოვლისა თავისი ტემპერატურით. წყალში ჩასვლის ან წყალის გადარების დროს ტანი განიცდის ცივი წყალის გამაღიზიანებელ მოვლენას. ამის გამო სისხლისადენი მილები ვიწროვდებიან კანი ლურჯდება და მობანავეს კანკალს აწყებინებს. საერთოდ წყალში ხანგრძლივად ყოფნის დროს სხეული საშუალოდ ერთი გრადუსით გრილდება., ჩვეულებრივად გრილდება ტანის მთელი მასა კი არა, არამედ მხოლოდ კანი და კანს ქვეშ მდებარე ქონის ფენა. კანში მდებარე პერიფერიულ სისხლისადენი მილების დავიწროვების გამო, სისხლი იდენება ცენტრისკენ, ე. ი. შინაგანი ორგანოებისაკენ. ამ მოვლენას თან სდევს მჟავბადის გაძლიერებული ხარჯვა და ნახშირმჟავა გაზის გამოყოფა, და აგრეთვე ნივთიერებათა გაცვლა - გამოცვლის, ე. ი. ორგანიზმის ქსოვილებში მიმდინარე ქიმიური პროცესების დაჩქარება. მაგრამ ჩქარა — 1—3 წუთის შემდეგ, ადგილი აქვს საწინააღმდეგო მოვლენას: კანის მილები ფართოვდება, კანი წითლდება, სიცივისგან გამოწვეული ჟრუანტელის გრძნობა ქრება და ადამიანი გრძნობს, თუ როგორ თანდათანობით თბება მისი სხეული. ორგანიზმის ასეთი მდგომარეობა გრძელდება 10—12 წუთს, ცივ წყალში—უფრო მოკლე დროის განმავლობაში.

შემდეგ იწყება სხეულზე წყალის მოქმედების მესამე სტადია: ტანს კვლავ უვლის ჟრუანტელი, მილები ვიწროვდება და კანის სიწითლე კლებულობს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჟრუანტელი გამოწვეულია არა მარტო კანის გაცივებით, არამედ ორგანიზმის უფრო ღრმა ფენების გაგრილებით. ორგანიზმს თავის თავად უკვე აღარ შეუძლია გათბობა. საჭიროა წყალში სხეულის, ხელ-ფეხის ამოძრავება, საერთოდ ძლიერი მოძრაობა, რომ ჟრუანტელი გრძნობა [illegible] რაც შეიძლება გვიან იჩინოს მან [illegible]ველია, თუ ადამიანი მოძრაობს ან სცურავს წყალში, მეორე სტადია უფრო მეტი დროის განმავლობაში გრძელდება. მაგრამ რა გინდ დიდი ხნის განმავლობაში არ ათბობდეს ადამიანს ძლიერი მოძრაობა, ტანის გაციება მაინც გრძელდება, თუმცა უფრო ნელ-ნელა. ეს უნდა დაიმახსოვრონ იმათ, რომლებმაც იციან ცურვა და რომლებიც ისე შორს მიცურავენ ნაპირიდან, რომ მარტო დაბრუნებას უნდა 10—15 წუთი.

მრავალი დაკვირვებებით დადასტურდა, რომ წყალში ყოფნა აღნიშნულ ვადაზე მეტი დროის განმავლობაში იწვევს მთელ რიგ უარყოფითი შედეგებს: თავის ტკივილს ძვლების მტვრევას, უძილობას და სხვ. სრულიად ჯანსაღი ნერვიული სისტემის მქონე ადამიანებს ხშირათ ბანაობის (ვადაჭარბების) გამოაჩნდებათ ნევრასტენიათა მძიმე ფორმებში.

საბანაო სეზონის განმავლობაში წყალის ტემპერატურა მერყეობს, საშუალოდ იგი 17—18 გრადუსს უდრის. სეზონი იწყება მაშინ, როცა წყალი ასეთი ტემპერატურისაა. რამდენათაც დაბალია წყალის ტემპერატურა, მით უფრო ძლიერია ბანაობის გავლენა. ამიტომ მხოლოდ ჯანსაღი და მაგარი ორგანიზმის მქონე პირებს შეუძლიათ ბანაობა ცივ წყალში (16 გრადუსი და ნაკლები). რამდენათაც ცივია წყალი, იმდენათ უნდა იქნეს ბანაობის ზემოთაღნიშნული ვადა.

ტემპერატურის შემდეგ, მეორე ფაქტორს, რომელიც ბანაობის დროს მოქმედობს ორგანიზმზე, წარმოადგენს მარილები და წყალის შემადგენელი სხვა ნივთიერებანი. ეს ნივთიერებანი აძლიერებენ წყალის გამაღიზიანებელ გავლენას ორგანიზმზე. ეს გამაღიზიანებელი გავლენა გრძელდება ბანაობის გათავების შემდეგაც იმის გამო, რომ კანზე, მის ნაოჭებში, შესაძლებელია დარჩეს მარილის ნაწილაკები. მარილის ნაწილაკები ადამიანის წყალიდან ამოსვლის და კანის გამშრალების შემდეგაც იცავენ კანის სიწითლეს.

ბანაობის მესამე ფაქტორს წარმოადგენს წყალის მექანიკური მოქმედება თავისი მასით. ტალღების ცემის და წყლის დინების გამო, სხეულის კუნთები გამუდმებით მუშაობენ, წონასწორობას იცავენ. გარდა ამისა, ტალღები და წყალის მასა, რომელიც სხეულს აწვება, თითქო ზელენ მთელ ტანს. ყველაფერი ეს აჩქარებს ლიმფისა და სისხლის დენას და ნივთიერებათა გაცვლა - გამოცვლას.

ადამიანების უმრავლესობაზე უკვე ერთჯერ ბანაობაც დადებითი გავლენას ახდენს: ამ დღეს ეზრდება მადა, კარგათ სძინავს და სხვ. 30—40 დღის სისტემატიური ბანაობის შემდეგ კი უმჯობესდება ყველა ორგანოების მუშაობა, უმთავრესად, ფილტვების, ნერვიული სისტემის, თირკმლების, კანის და აგრეთვე უმჯობესდება ნივთიერებათა გაცვლა - გამოცვლა.

მაგრამ ბანაობა ყველასათვის როდია სასარგებლო. ზოგიერთ ავადმყოფობათა დროს ორგანიზმს არ შეუძლია შეეგუოს სისხლის მიმოქცევის სწრაფ ცვლებს, რასაც იწვევს ბანაობა. ასეთია გულის სისუსტე, ბრონხიალური ასტმა, სხვადასხვა სიმსივნეები, ჭლექი, თირკმლების ანთება და სხვა.

საერთოდ, ბანაობის საკითხი, მისი სარგებლიანობის თუ მავნებლობის მხრივ, მეტად [illegible] თითოეული პიროვნებისათ-

[illegible]

რახიტი, ძვლების ტუბერკულიოზი, გადამეტებული სიმსუქნე, სქესობრივი უძლურება, სასქესო ორგანოების ქრონიკული ავადმყოფობანი. მეტად სასარგებლოა ბანაობა ნერვიული სისტემის ე. წ. ფუნქციონალური აშლილობის დროს (ნევრასტენია, ისტერია და სხვ.) და აგრეთვე მოქანცვის დროს. მხედველობაშია მისაღები ის, რომ არ უნდა იბანაონ იმ ნევრასტენიკებმა (ან და ისტერიით შეპყრობილებმა), რომლებსაც ახასიათებთ ძლიერი ფსიქიური აღგზნება და რომლებიც უმნიშვნელო მიზეზის ზეგავლენით სწრაფად ღიზიანდებიან. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ავადმყოფობის დროს საჭიროა ექიმის რჩევა - დარიგება რამდენი დროის განმავლობაში და რამდენჯერ შეიძლება ბანაობა.

ჯანსაღ ადამიანისათვის შეიძლება ბანაობა დღეში ერთ - ორჯერ, მაგრამ არა უმეტეს ორისა. პირველი ორი - სამი ბანაობის დროს მობანავე არ უნდა დარჩეს წყალში სამ წუთზე მეტს.

რაც შეეხება ბანაობის დროს, ჯანსაღი ადამიანებისათვის ყველაზე უკეთესი დროა დილის 10—12 საათი; სუსტებისათვის კი—4—12 საათი, რადგან ამ დროისათვის წყალისა და ჰაერის თბილება უმაღლეს წერტილს აღწევს და სხვაობა მათ ტემპერატურას შორის მეტად უმნიშვნელოა.

ბანაობა საჭმელის მიღებისთანავე მავნებელია. სადილობის შემდეგ საჭიროა დაცდა 3 საათი, მსუბუქი საჭმელის შემდეგ კი—1—2 საათი. სუსტებმა უჭმათ არ უნდა იბანაონ დილით.

წყალში ჩასვლამდი საჭიროა დაცდა, სანამ ტანზე ოფლი შეშრებოდეს. წყალში ჩასვლა საჭიროა ერთბაშად, წინასწარ საჭიროა თავის დასველება. ვინც ცურვა არ იცის, წყალში მაინც უნდა იმოძრაოს: დაიზილოს ტანი, აქნიოს ხელები და სხვ. დიდი ღელვის დროს, ტალღებს უნდა უჩვენოთ გულმკერდი კი არა, არამედ ზურგი.

ბანაობა მდინარეში ბევრით არაფრით განირჩევა ზღვაში ბანაობისაგან. აქაც იგივე ფაქტორები მოქმედებენ, როგორც ზღვაში, მხოლოდ უფრო სუსტად. მდინარის წყალი ნაკლებ მარილებს შეიცავს და ამიტომ იგი უფრო მსუბუქია, ვიდრე ზღვის. ამიტომ მდინარის წყალი არ იწვევს იმ გამაღიზიანებელ ვავლენას, როგორსაც იწვევს ზღვის წყალი. ზოგიერთი სუსტი ადამიანებისათვის, რომლებისთვისაც შეუძლებელია ზღვაში ბანაობა, შესაძლებლად თვლიან ბანაობას მდინარეში.

ექ. ზ. ზერიმსკი.

ტელეგრაფის გამოგონების ისტორია

დაახლოებით ასი წლის წინათ ამერიკელი მორზე სპეციალობით მხატვარი, ჰავრიდან ნიუ-იორკში მიემგზავრებოდა. სადილობის დროს ხომალდზე ის მოხვდა საზოგადოებაში, რომელშიც იყო რამდენიმე მეცნიერი და ექიმი. ლაპარაკი ჩამოვარდა ელექტრობაზე, რომელიც მაშინ საყოველთაო ინტერესს იწვევდა. მოიგონეს ბენიამენ ფრანკლინი, ამპერი და მისი ცდა ელექტრო - მაგნიტით.

ერთი მოსაუბრეთაგანი დაინტერესა საკითხმა — დამოკიდებულია თუ არა ელდენის გავლის სისწრაფე მავთულის სიგრძისაგან.

— „სრულიადაც არა",—უპასუხა მას იქ მყოფმა ერთმა ცნობილმა ბოსტონელმა მეცნიერმა, — „სავსებით გამორკვეულია, რომ ელექტრო - დენი თვალის დახამხამებაში გაივლის მავთულს რა სიგრძისაც არ უნდა იყოს იგი". და აქ მან მოიგონა იქ მყოფთ ფრანკლინის ცდების შესახებ, როცა რამდენიმე მილის სიგრძის მავთულის ბოლოში თვალის დახამხამებაში იქნა შენიშნული ელექტრონის ნაპერწკალი.

—„ასეთ შემთხვევაში, — შენიშნა მხატვარმა, —მე ვერ ვხედავ ვერავითარ დამაბრკოლებელ მიზეზს მავთულით რაიმე ნიშნის გადასაცემად შორ მანძილზე სრულიად მოკლე დროის განმავლობაში". ეს თქვა მორზემ და იმავე წუთში იგრძნო, რომ მან მიაგნო უდიდესი აღმოჩენის კვალს. მის თავში გაიელვა თვალწარმტაცმა სურათმა — უშორესი კუთხეები, დაკავშირებული ერთმანეთთან მავთულითა და ელექტრონის დენით.

ამრიგად, ორმოცდა ორი წლის მორზე—არტისტი — მხატვარი ერთბაშად გადაიქცა მორზეთ — ტელეგრაფის უდიდეს გამომგონებლათ. მორზე, დაახლოებით, ასე მსჯელობდა: „თუ ელექტრობა თვალის დახამხამებაში გაივლის მავთულს, რა სიგრძისაც არ უნდა იყოს იგი, მისი დენის შეწყვეტა სადმე გამოიწვევს ნაპერწკალის გაჩენას. ნაპერწკალი იქნება პირველი ნიშანი, მეორე ნიშანი იქნება — ნაპერწკალის უქონლობა, მესამე—მისი უქონლობის ხანგრძლივობა. მე გამოვიყენებ ამ სამი ნიშნის კომბინაციას ციფრების, ასოების და მთელი ფრაზების აღსანიშნავად. და თუ ელექტრობას შეუძლია ამ ნიშნების გადაცემა ათი მილის მანძილზე, მაშინ მე შევძლებ მათ გადაცემას დედამიწის ყოველ კუთხეში, რა გინდ შორს არ უნდა იმყოფებოდეს იგი".

ეს იყო წერტილებისა და ხაზების პირველი ენა, რომელიც საფუძვლად დაედვა მორზეს თანამედროვე ანბანს.

დანარჩენი გზა მორზემ მოანდომა ახალი იდეის ყოველმხრივ დამუშავებას. მისი ტეხნიკური ცოდნა ელექტრობის დარგში ძლიერ სუსტი იყო, მაგრამ მორზე საერთოდ გაცნობილი იყო ბატარეის მოწყობილობასთან, ელექტრომაგნიტთან და სხვა მარტივ ელექტრონულ ხელსაწყოებთან. მან გამოიყენა ეს მცირე ცოდნა და შეიმუშავა რაღაც თანამედროვე ტელეგრაფის აპარატის მსგავსი მოწყობილობა.



თავისი ნახაზები მორზემ უჩვენა თავის თანამგზავრებს, მაგრამ უკანასკნელები მხოლოდ სკეპტიკურად იღიმებოდენ, როცა მის ახსნა-განმარტებას ისმენდენ.

დაბოლოს ხომალდი შევიდა ნავთსადგურში. გემის უფროსთან გამომშვიდობების დროს მორზემ წარმოსთქვა შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვები: „მაშ ასე კაპიტანო. თუ თქვენ სულ მოკლე დროის განმავლობაში გაიგონებთ როგორც ახალი მსოფლიო საოცრების რაიმეს ტელეგრაფის შესახებ, გახსოვდეთ; რომ ეს აღმოჩენა გაკეთებული იქნა თქვენს სახელოვან ხომალდზე".

ეს სიტყვები მართლა **წინასწარმეტყველური** აღმოჩნდა.

საქმეა, რომ რომელ[illegible] გამომგონებელს ასე [illegible] მისი განხორ[illegible] ეს მორზემ [illegible]

მაგრამ მორზეს ვერ წარმოედგინა მაშინ თუ რამდენი წლის ბრძოლის სილატაკისა და იმედების გაცრუების გამოვლა მოუხდებოდა მას, სანამ თავისი იდეის პრაქტიკულად განხორციელებას მოახერხებდა. იმ დროს, როცა სხვა მრავალ გამომგონებლებს მთელ რიგ წლების განმავლობაში უხდებოდათ მუშაობა თავისი იდეის საბოლოოდ დასამუშავებლად, მორზეს მძიმე ბრძოლა მდგომარეობდა იმაში, რომ „გაეყიდა" მზამზარეული, მთლიანად დამუშავებული და დამთავრებული კონსტრუქცია. ამისათვის მან მსხვერპლად შესწირა სახელი და მშვენიერი მდგომარეობა, მიღწეული სხვა ასპარეზზე — სამხატვრო ასპარეზზე — მოღვაწეობით. ახალ იდეას მან შესწირა თორმეტი წლის დაუღალავი შრომა.

მორზე დაბინავდა თავის ძმასთან და მის სასტუმრო ოთახში ბუხარში ადნობდა ტყვიას თავისი მოდელისათვის. შემდეგ ის გადასახლდა სადღაც ჰერ-ქვეშ, მეხუთე სართულში, იმ გაზეთის რედაქციის ბინის ზევით, რომელსაც მისი ორი ძმა სცემდა. ეს „ოთახი" იყო მისი სახელოსნოც, საძინებელი ოთახიცა და სამზარეულოც.



ერთ კუთხეში მას მოთავსებული ჰქონდა ლოგინი, მეორეში—ჩარხი. ვანმეორდა ძველი ისტორია მძიმე ბრძოლისა სილატაკესთან, ასეთი ჩვეულებრივი თითქმის ყველა გამომგონებლისათვის. ევროპაში ყოფნის დროს მორზეს შემოეხარჯა უკანასკნელი გროშები და ის იძულებული შეიქნა ულუკმა - პუროთ გაეტარებია დღეები, რადგან თავისი გამოგონების იდეით გატაცებულმა სავსებით დაივიწყა თავისი ძირითადი პროფესია — მხატვრობა.

მეგობრები მას მეოცნებესა და ფანტაზიორს უწოდებდენ. ზოგი მას სულელ წინასწარმეტყველს ეძახდა. მისი ხელები სრულიად შეუჩვეველი იყო მექანიკურ მუშაობას, მაგრამ ვინაიდან მას არ ჰქონდა ფულები გამზადებული ბატარეისა და ელექტრო - მაგნიტების შესაძენად, იძულებული იყო ყველაფერი თავისი ხელით გაეკეთებია.

თავისი თვითჩამწერი ტელეგრაფის აპარატის პროექტის შედგენის დროს, მორზემ მიზნად დაისახა გამოეყენებია ელექტრო-მაგნიტის ღუზას უბრალო მოძრაობა ზევით და ქვევით, რომ ჩაეწერა გადასაცემი ცნობა მავთულის ერთ ბოლოში და იმავე დროს აღედგინა იგი მეორე ბოლოში.

თავისი ამოცანა მან გენიალური სიმარტივით გადასჭრა. პირველათ მან საათის მექანიზმის საშუალებით ჰორიზონტალურ მოძრაობაში მოიყვანა ქაღალდის ლენტა, რომელიც მოთავსებული იყო ზევით და ქვევით მოძრავ ფანქრების ქვეშ. ქაღალდთან შეხების დროს ფანქარი აღნიშნავდა მასზე ან წერტილს ან ხაზს, შეხების ხანგრძლივობასთან შეფარდებით. ფანქრის ზევით აწევის დროს, ქაღალდზე რჩებოდა თეთრი ადგილი. წერტილებისა და ხაზების სხვადასხვა კომბინაცია წარმოადგენდა ცალკე ასოს. ფანქარი მოძრაობაში მოჰყავდა ელექტრომაგნიტს.

სამი წლის [illegible] მორზეს პირველი სატელეგრაფო აპარა[illegible] დამთავრებული იქნა. ახალი აპარატის პირველი დემონსტრაცია მოხდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, სადაც წინათ მორზე კითხულობდა ლექციებს ხელოვნების ისტორიიდან.

აპარატი მშვენივრად მუშაობდა.

1832 წელს მორზემ თავისი აპარატის დემონსტრაცია მოახდინა მეცნიერთა ჯგუფის წინაშე. ნიშნების გადაცემა ხდებოდა 1700 ფუტის სიგრძე მავთულით. იმავე წელს მან ვაშინგტონში, კონგრესში, შეიტანა განცხადება „ამერიკელი ელექტრო - მაგნიტური ტელეგრაფის გამოგონების" შესახებ.

1833 წ. პირველათ მოახდინეს ტელეგრაფის გამოცდა. ნიშნების გადაცემა ხდებოდა 10 მილის სიგრძე მავთულით.

პირველი ფრაზა, რომელიც გადასცეს ტელეგრაფით იყო: „ისმინე მსოფლიო! ყველა სახელმწიფოებით იხსნება ახალი გზა".

თითქოს დადგა მორზეს საბოლოო ზეიმის დღე. მან საგრძნობათ გააუმჯობესა თავისი პირვანდელი სქემა.

თავის ანბანში მან ციფრები ალფავიტის ასოებით შესცვალა. თავისი საქმით მან დააინტერესა ახალგაზრდა სტუდენტი **ალფრედ ველი,** რომელმაც ფულადი დახმარება აღმოუჩინა მორზეს.

ფრთებ შესხმული გაემგზავრა ის ვაშინგტონში, რომ გამოეთხოვა კონგრესისაგან დახმარება პირველი სატელეგრაფო ხაზის გასაყვანად. იქ მან თავისი გამოგონება გამოსცადა პრეზიდენტის წინაშე მის კაბინეტში, კონგრესის წევრების, უცხოეთის ელჩების და მეცნიერების წინაშე. ამავე დროს მორზემ კონგრესს წარუდგინა ხარჯ-აღრიცხვა 30.000 დოლარის რაოდენობით პირველი საცდელი სატელეგრაფო ხაზის გასაყვანად.

ამის შემდეგ მორზე გაეშურა ევროპაში პატენტების ასაღებათ თავის გამოგონებაზე, ამერიკაში კი საქმის გაგრძელება მიანდო თავის მეგობრებსა და თანაშემწეებს. ინგლისში მას ცივათ შეხვდენ. საფრანგეთში კი მისმა გამოგონებამ სენსაცია გამოიწვია. მისი გამოგონება ღირსეულად შეაფასეს საფრანგეთის იმ დროინდელმა გამოჩენილმა მეცნიერებმა.

1839 წელს მორზე დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მას კვლავინდებურად ცივად და სკეპტიკურად შეხვდენ. კონგრესს არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანა, მეგობრები კი უარს ამბობდენ დახმარებაზე.

მორზე ისევ უგროშკაპეიკოდ დარჩა ნიუ-იორკში. სიმშილით რომ არ მომკვდარიყო, იძულებული შეიქნა ისევ ძველი პროფესიისთვის მოეკიდა ხელი.

რომ თავისი გამოგონებით დაეინტერესებია საზოგადოება, მორზემ შემდეგ ხერხს მიმართა: მან გამოაცხადა, რომ წყალქვეშ გაიყვანს მავთულს და დანიშნულ დღეს საზოგადოებას შეუძლია დარწმუნდეს მავთულით ცნობების გადაცემის შესაძლებლობაში.

წინა დღით მორზემ დაიქირავა ნავი და თვითონ გაიყვანა მავთული წყალქვეშ. დილით აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ნაპირზე.

მორზემ რამდენიმე ნიშანი გაუგზავნა მეორე ნაპირზე მდგომ თავის თანაშემწეს და მიიღო მისგანაც. მაგრამ მოულოდნელად გადაცემა შეწყდა.

გამოირკვა, რომ დილით რამდენიმე ხომალდიდან გადააგდეს ღუზა იმ ადგილას, სადაც მავთული იყო გაყვანილი. ერთი ღუზა ამოღების დროს მოედვა მავთულს. როცა მეზღვაურებმა დაინახეს მავთული, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო, გასჭრეს იგი.

ნაპირზე შეგროვილი ხალხი კი სასტიკად დასცინოდა მორზეს.

მაგრამ ამ მარცხმა ვერ გასტეხა გამომგონებელი.

მორზე კვლავ გაემგზავრა ვაშინგტონში. აქ მან ისევ წარადგინა კონგრესში თავისი აპარატი. საათობით იჯდა იქ და სათითაოდ უხსნიდა კონგრესის წევრებს თავისი გამოგონების მნიშვნელობას.

და აი, როცა გამომგონებელმა თითქმის ყოველგვარი იმედი დაჰკარგა, მოხდა სასწაული. საპარლამენტო სესიის დახურვამდი რამდენიმე საათით ადრე მორზეს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი მიღებული და დამტკიცებული იქნა ორივე პალატის მიერ.

გამომგონებელს, რომელსაც მაშინ ჯიბეში გროში-კაპეიკი არ მოეპოვებოდა, კონგრესმა დაავალა სატელეგრაფო ხაზის გაყვანა ვაშინგტონსა და ბალტიმორას შორის 40 მილის მანძილზე. ეს იყო ბედნიერება, რომლის ზეგავლენით მორზე კინაღამ გაგიჟდა. ერთი წლის განმავლობაში ჩაყრილი იქნა ბოძები და გააბეს მავთულები.

1844 წ. 24 მაისი შეიქნა მორზეს იდეის ზეიმის დღეთ. ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა გამოცდა იმ გამოგონების, რომელსაც მორზემ შესწირა 12 წლის დაუღალავი შრომა. თავის აპარატთან მჯდომმა, მთავრობის წევრების თანდასწრებით, გამომგონებელმა დეპეშით ამცნო ველს ბალტიმორაში თავისი იდეის გამარჯვება.

მხატვარ-გამომგონებლის დაუღალავი შრომის ნაყოფი—ტელეგრაფი—ამ დღიდან შეიქნა კავშირის მძლავრ იარაღათ მსოფლიოს ყველა კულტურულ სახელმწიფოებში.

მ. ს. გორიევა.

„სიკვდილის ხმები"

პროფ. ა. გ. გოლდმანის აღმოჩენა

უკრაინის მთავარმა სამეცნიერო საბჭომ გადასწყვიტა გადადვას საჭირო თანხები კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფ. ა. გ. გოლდმანის მიერ მაღალი სიხშირის უხმო ხმის ტალღების შესასწავლად განზრახულ ცდების საწარმოებლად. ამ ტალღებმა, პროფ. გოლდმანის აზრით ძლიერი ფიზიოლოგიური ეფექტები უნდა გამოიწვიონ.

ამ ცდების გეგმა პროფ. გოლდმანმა აღწერა ჯერ კიდევ 1924 წ. უკრაინის მთავარ სამეცნიერო საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში. პროფ. გოლდმანი წინადადებას იძლეოდა შემუშავებული ყოფილიყო დიდი სიმძლავრის მაღალი სიხშირის უხმო ხმის ტალღების მიღების საშუალება. ხმის ტალღები უნდა ყოფილიყო 100 და მეტი ათასი რყევის (წამში)[illegible] როცა წარმოიშობა ისეთი მაღალი ხმა, რომ ადამიანის ყური ვერ შეიგრძნობს მას.

პროფ. გოლდმანის დასკვნით, წამში 40.000 რყევის სიხშირის ტალღებმა გავლენა უნდა მოახდინონ ორგანიზმის ცალკე უჯრედებზე, გამოიწვიონ მათი რყევა და დაშლა. ამ ხმების საშუალებით შემუშავებული უნდა იქნეს ორგანიზმზე ზეგავლენის მოხდენის ახალი მეთოდები. შესაძლებელია, რომ მათ ექნეს დიდი განმანადგურებელი თვისებებიც.

საჭირო საშუალების უქონლობის გამო შესაფერ ცდების მოხდენა თავის დროზე ვერ მოხერხდა.

მიმდინარე წლის ივლისში ამერიკულ პრესაში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ამერიკელმა ფიზიოლოგებმა პროფ. ვუდმა და ლუმისმა აღმოაჩინეს ე. წ. „სიკვდილის ხმები".

ცნობაში ნათქვამი იყო, რომ პროფ. ვუდმა განაახლა ცდები მაღალი სიხშირის ხმის ტალღებზე. ვუდმა დაამზადა ქვარცის ფირფიტა, რომელიც რყევითი მდგომარეობაში მოჰყავდა ძლიერი ცვალებადი ელექტრო-დენის საშუალებით. ფირფიტა იძლეოდა 100-დან 400 ათასამდი რყევას წამში. ამ ფირფიტით წყალში ცდების წარმოების დროს, ვუდი დარწმუნდა, რომ ხმის უხმო ტალღები, გამოწვეული ფირფიტის ვიბრაციით (რყევით), ათბობენ წყალს და თავისი განვითარების გზაზე წამის განმავლობაში კლავენ პატარა თევზებს, ბაყაყებს და მიკროსკოპიულ ცხოველებს.

ამრიგათ, ამერიკელ პროფესორების 1926 წ. აღმოჩენა ადასტურებს პროფ. გოლდმანის მიერ 1924 წ. წარმოებული ცდების შედეგებს.

გაუმჯობესებული ანკესი

თვითეულმა მეთევზემ იცის თუ რა უხერხულობას წარმოადგენს ჩვეულებრივი ანკესი იმ მხრივ, რომ ის ხშირად ედება წყალბალახს ან წყალში ჩაძირულ რაიმე საგანს.

ამერიკაში გამოიგონეს ახალი ტიპის ანკესი,



რომელიც თავისუფალია მსგავს უხერხულობისაგან. ეს ანკესი წარმოადგენს ნიჟარისებურ მოწყობილობას, რომლის შიგნით მოთავსებულია ორმაგი ანკესი. ნიჟარა იზიდავს თევზს, რომელსაც იგი საკვები ჰგონია და ყლაპავს მას. როგორც კი თევზი გადაყლაპავს ნიჟარას, ანკესები ავტომატიურად იშლებიან და ერჭობიან თევზს.

იტალიელების ექსპედიცია სამხრეთ პოლიუსზე

იტალიური გაზეთი „სეკოლო" ბეჭდავს სენსაციურ ცნობას ახალი ექსპედიციის შესახებ სამხრეთ-პოლიუსისაკენ, რომელსაც იტალიის მთავრობა აწყობს ცნობილ იტალიელ მფრინავის პინედოს ხელმძღვანელობით. გაზეთის ცნობით, ამ ექსპედიციამ უნდა დაჩრდილოს ყველა წინანდელი მსოფლიო და პოლიალური გადაფრენები, რადგან პინედოს განზრახული აქვს გადაფრინდეს ქვეყნის ყველა ხუთივე მხარეზე და წყნარ ოკეანეზე. ექსპედიციის გამგზავრება განზრახულია რამოდენიმე თვის შემდეგ.

ექსპედიციის გეგმას საიდუმლოთ ინახავენ. გაზეთი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ექსპედიცია იქნება წმინდა იტალიური, როგორც მონაწილეების, ისე ფინანსიურ და ტეხნიკური მხრივ.

ექსპედიცია გადაფრინდება ჰაეროპლანით „დირნირ-ვალ" 51, რომლის აგება უკვე დამთავრებულია. ეს იმავე ტიპის ჰაეროპლანია, რომლითაც სარგებლობდა ამუნდსენი თავისი პირველი გაფრენის დროს ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ (1924 წ.).

ეს მანქანები გერმანული ტიპისაა. მაგრამ ვინაიდან საზაო ხელშეკრულებას ძალით გერმანიას აეკრძალა განსაზღვრულზე უძლავრესი ჰაეროპლანის აგება, გერმანელმა კონსტრუქტორმა თავისი ქარხანა ააგო პიზაში (იტალია). დორნირი დღემდი ამ ქარხნის გამგეა. ამ ქარხნის პერსონალი, რომელიც პირველად გერმანელებიდან შესდგებოდა, თანდათანობით იტალიელებით იქნა შეცვლილი, გარდა რამოდენიმე სპეციალისტისა.

რაც შეიძლება მეტად ვიწრო ჩაიო[illegible]-ში მომწყვდეულით დაესამარებია კონგრესი ბორნემუტში. იმ უფლების მიხედვით, რომელიც აქვს თავმჯდომარეს ინგლისში ყრილობებზე, ეს ამოცანა სავსებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. გენსაბჭოს ის წევრები, რომლებსაც [illegible] წევრებზე. მდგომარეობა [illegible] კრიტიკული შეიქნა. მაგრამ მდგომარეობა იხსნეს მემაღაროეთა წარმომადგენლებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი ემორჩილებიან თავმჯდომარის დისციპლინას და მოუსმენენ მისტერ [illegible] ლება ტომპს და [illegible], მათთან შ[illegible]

პატარა ფელეტონი

მამა პროკლე, პრასა მოკლე,

დიაკონი კიდევ ფოკლე

„მექრთამეობა, მერძღვნეობა. მიდგმურობა, ბოროტმოქმედებათა დამალვა-მიფუჩეება, უფროსების დიდრაჯობა, ხელქვეითების ჩაგვრა, საზოგადო მნიშვნელობის თანხების გაფლანგვა, ქართველი სასულიერო უწყების ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი იყო და არის დაწყებული სამღვდელოების მართვა - გამგეობის უმაღლესი ორგანოდან და ეპისკოპოსთან უმრავლესობიდან უკანასკნელ მედავითნემდე".

„ვის არ ახსოვს მღვდლების და მედავითნეებისაგან სამსახურის ადგილების გაცვლა-გაყიდვა"...

(დეკანოზი იასონ აბესაძის წერილიდან).

ერთ-ერთ მრევლში
(ეს ამბავი იყო ძველად)
მამა პროკლე
განაწესეს სამწყოს მცველად.
იქ „ცხოვარნი"
ჩააბარეს პროკლეს ხელად
„საპატრონოდ,
საკრეჭად და მოსაწველად".
რომ მივიდა,
სოფლად იგი მამა პროკლე,
დაჩეჩილი ანაფორა ეცვა მოკლე,
და შეუდგა
ცხოვართ ერთგულ „კრეჭას" მამა,
(მაშ? სამღვდელო
არქიელი ტყვილად ქრთამა?).
სოფელს მოჰყო
ხელი პროკლემ—სვა და ჭამა;
ყოფა იგი
მწყემსს გაუტკბა და ეამა.
მოსდიოდა
საკურთხი და შესაწირი,
ზოგიც ცოცხლის,
ზოგიც მკვდრების დასატირი.
თუმც ღარიბი
იყო ხალხი, მიწა-მწირი,
მაგრამ პროკლეს
„გაუწითლეს" მაინც ცხვირი.
სულის მწყემსი
იყო ძლიერ კმაყოფილი,
„ცხოვართ" მასთან
არა ჰქონდათ გაყოფილი.
თუმც დახარჯა...
მაგრამ ჰქონდა ყოველ დილით
კვერცხ - ქათამი,
ღვინო, გოჭი, კარტოფილი.
მაგრამ ესეც
ჯერ ძველთაგან ცნობილია:
ერთი თუ სჭამს,
იქ მეორეც „ძმობილია".
სეფისკვერი
„საძმოდ" გამოცხობილია;
არ აჭამე?—
კვანტი გამოდობილია.
პროკლეს ჰყავდა
იმ სამწყოსში დიაკონი,
თვით რომ სჭამდა,
რომ დაიდვა გულზე ქონი,
დაივიწყა
ის ზებერი სულ მთლად, მგონი,
არ ახვედრა
მკვდართა სულის მოსაგონი.
იმ სამწყსოში
იყო პროკლე ერთი წელი;
ანაფორაც
შეიკერა შალის, გრძელი.
გასუქდა და
გაეზარდა ღიპ-მუცელი.
დიაკონთან მეტად
გახდა ის უზრდელი.
დიაკონს კი
შემოაკლდა საკურთხები,
განჯინაში
თარეშობდენ თაგვ-ვირთხები.

ბებერ ფოკლეს
გულზე ჯავრი შემოაწვა,
ცუდიაო, სთქვა,
სიმშილით კუჭის აწვა.
და ელოდა,
ის შემთხვევას მოხერხებულს,
რომ შავი დღე
დამართოდა პროკლეს ქებულს.
და დაიწყო
დიაკონმა მღვდელის მტრობა,
დაივიწყა
„ქრისტეს მიერ" მასთან ძმობა.
იწყო გეგმის
საეშმაკოს ფრთხილად წყობა...
მორჩა, შეწყდა
მის და პროკლეს მეგობრობა.

* * *

პროკლე ცოტა, რომ გასუქდა
თავს ძალზე არ იწუხებდა,
წირვის დროზე იგი არაყს
აიღებდა და „ხუხებდა".
და როდესაც დიაკონი
„ხერუვიმებს" გაჰკიოდა,
პროკლე წიწილს მიირთმევდა,
(დიაკონს კი... სულ შიოდა)
საწყალ ფოკლეს (უკაცრავად,—
დიაკონის სახელია)
პირში ნერწყვი მოსდიოდა
(რის მომსწრე, რის მნახველია!)
თუმც გალობით იძახოდა
„ამინ, ამინ და უფალო",
მაგრამ მას, რომ ფიქრი ჰქონდა...
ის უფალმა შეუწყალოს...
მას სურდა, რომ ხალხის თვალში
გაეტეხა მღვდლის სახელი,
(ახალ მღვდელსა იქნებ უკეთ
გამოელო მისთვის ხელი)
აეხსნა რომ ურწმუნოა
და ურჯულო პროკლე მღვდელი,
რომ არ არის იგი მარხვის
გამტანი და შემნახველი.
ან როგორმე სხვანაირად
ექნა ფოკლეს მისთვის რამე,
ცხად—ეყო, რომ მრუში იყო
პროკლე მღვდელი და მექრთამე;
უფალოო, იძახოდა
პურს მამა ღმერთს სთხოვდა ფოკლე
და ამ დროს კი ზედ ტრაპეზზე
„საკურთხობდა მამა პროკლე"

* * *

ერთხელ ფოკლეს უცაბედად
თავში აზრმა დაურბინა,
მოღუშული სახე უცბად
გაეშალა, გაუბრწყინდა.
ისე ცოცხლად იგალობა,
ირაკრაკა მთელი წირვა,
რომ მლოცველი იმ დღეს ყველა
განაცვიფრა, გააკვირვა.
დიაკონმა პროკლე მღვდელის
შეამჩნია სუსტი მხარე.
სთქვა:—ეხლა კი ვიყრი ჯავრსა
სწორედ ახლა გავიხარე.

თურმე პროკლეს ჩვეულება
და ასეთი ჰქონდა წესი
წასაკითხავ სახარებას
პრასით ცნობდა ის ხუცესი.
ჯერ წირვამდის გადაშლიდა
ლოცვანსა და ტიბიკონებს,
მონახავდა ყველა ლოცვებს
(ზეპირად ვინ მოიგონებს)
მონახავდა სახარების
იმ დღისათვის თავს საკითხავს,
ყველგან პრასის ღერს ჩადობდა
(ამისათვის ვინ გაკიცხავს!)
და ამრიგად იმზადებდა
თავის საქმეს იგი მღვდელი,
(რა იცოდა,—პრასა იყო
სწორედ მისი დამღუპველი)
ერთ კვირა დღეს, როცა პროკლემ
გაათავა პრასის წყობა,
და წირვისთვის სამოსელში
განიზრახა გამოწყობა,
შეიპარა ფოკლე ჩუმად
ამოძურწა ყველგან პრასა,
მობრუნდა და... ხელი მიჰყო
კვლავ „უფალოს" სიმღერასა.
დადგა წირვა, პროკლე მღვდელი
ლოცულობს და შეთხოვს უფალს,
რომ საკურთხის მომტანს იგი
ნუ წაწყმენდს და ნუ დაღუპავს.
ეკლესია აურაცხელ
ხალხითაა გაჭედილი,
(პროკლეც ხასიათზე არის
„ჩაისველა" ყელი დილით)
დიაკონსაც უხარია,
ხმა სჭექს და ჰქუხს, როცა გალობს.
რიხიანად გაიძახის
„მოგვმადლეს" და „შენ უფალოს".
შუა წირვაზე პროკლე მლოცველთ
„გაკურთხოთ"-ო სახავს ჯვარით,
და გამოაქვს სახარება
საკურთხევლის მთავარ კარით.
და რადგანაც წასაკითხი,
პრასით ჰქონდა დანიშნული,
გზაში უკვე წამოიწყო:
—„სთქვა უფალმა"-აა, იყო თქმული-იი...
დაიწყო და თანაც პრასას
გამალებით ეძებს „მამა".
თან იძახის: სთქვა უფალმა-ა-ა-ა...
სთქვა უფალმა-ა-ა... სთქვა უფალმა-ა-ა...
ოფლდა და ბრაზი მოსდის
პრასა წიგნში რომ ვერ ნახა,
აქედან კი დიაკონმა
გესლიანად მიაძახა:
—„სთქვა უფალმა? რა სთქვა ერთი
რად არ ამბობ რა სთქვა მღვდელო?!"
თან ხითხითებს დიაკონი,
ჯაიტანა ხედავს ლელო.
პროკლე ღელავს, სახარებას
აბრუნებს და ატრიალებს,
ვეღარ ნახა პრასა იმან,
თვალებს ცეცხლით აბრიალებს.
იწურება სიმწრის ოფლში
და ლუღლუღებს: სთქვა უფალმა-ა-ა..
მაგრამ ფოკლე აღარ სცხრება:
—სთქვიო,—რა სთქვა ამ უფალმა?!
—რა სთქვაო და, დაიყვირა,—
დიაკონო, სთქვა უფალმა:
ვინც მე პრასა შემიჭამა
გახეთქოსო ზეცის ძალმა".
იყვირა და საცეცხლურით
გამოუდგა ფოკლეს „მამა".
მიხვდა — ფოკლემ ჯიბრით იმ დღეს
მას როს პრასა შეუჭამა.

ხოზიკა.

კაოლინის აღმოჩენა

სამთო სამმართველომ მიიღო ქუთაისისა და გორის მაზრებიდან კაოლინის (თეთრი თიხის) რამოდენიმე ნიმუში. კაოლინი ძლიერ ბევრი აღმოჩნდა, განსაკუთრებით, სოფ. ხოვლეში (ქართლი).

ნიმუშები გამოსაკვლევად გადაეცა ქიმიკოს ვ. ბარნაბიშვილს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რა და რა ქიმიური ელემენტებისაგან შესდგება ჩვენებური კაოლინი და რა ძვირფასი ჭურჭლეულობის დამზადება შეიძლება ამ მასალიდან.

კაოლინი ძვირფასი თიხაა და იგი იშვიათად მოიპოება ბუნებაში. საუკეთესო კაოლინი მოიპოვება ჩინეთში, სადაც განსაკუთრებით განვითარებულია ფაიფურის ჭურჭლების კეთება. კაოლინიდანვე მზადდება ელექტროტეხნიკაში საჭირო საგნები, ულტრამარინი, იხმარება სადებავათ, ქაღალდის, შაბის და სხვათა წარმოებაში. უკანასკნელად ევროპაში კაოლინისაგან ღებულობენ აგრეთვე ალიუმინის ლითონს.

კაოლინი საბჭოთა კავშირში მოიპოვება მხოლოდ ჩერნიგოვის გუბერნიაში. 1912 წელს რკინისგზებით ყოფილა გადაზიდული 9 მილიონნახევარი ფუთი კაოლინი.

კაოლინისაგან მიღებული ალიუმინიდან ე. წ. დიურ-ალიუმინიდან მზადდება ჰაეროპლანების ნაწილები.

ძლიერი სეტყვა

სიღნაღი

სიღნაღი, 11 სექტემბერი. გუშინ ხალამთი მოვიდა არაჩვეულებრივი კაკალზე მსხვილი სეტყვა, რომელმაც გასტანა 25 წუთი. ბევრ ადგილას დალეწილია ფანჯრები, ელექტრონის ნათურები („ლამპოჩკები"). ასეთივე სეტყვა იყო საქობოს თემში და ნაწილობრივ ბოდბის ხევში.

აფხაზეთი

სოხუმი, 11 სექტემბერი. სოფ. მცაში თხილის სისხო სეტყვამ დააზიანა 50 დეს. თუთუნი. ზარალის პროცენტი 50-მდე აღწევს. წარსული წლების გამოცდილებით სექტემბერსა და ოქტომბერში ყველა თვეებზე მეტი სეტყვა მოდის. აბხაზეთში დაზღვეულია მთელი თამბაქოს მხოლოდ მესამედი.

შეშა

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ ზამთრის მოახლოვების გამო წარმოება-დაწესებულებებმა საგრძნობლად გააძლიერეს მოთხოვნილება შეშაზე. აგვისტოს და სექტემბრის პირველი ათი დღის განმავლობაში ტრესტმა მიჰყიდა სხვადასხვა ორგანიზაციებს 4000-მდე საჟენი შეშა. ტრესტს ყოველ დღე მოსდის ახალი მოთხოვნილებები. თბილისის აღმასკომმა დაუკვეთა ტრესტს 1.100 საჟენი შეშა, სხვადასხვა დაწესებულებებმა 1.500 საჟენამდე.

ამჟამად ტრესტს აქვს დამზადებული ფოთის, ლანჩხუთის და კახეთის რაიონებში 11.000 საჟენი შეშა. ყოველ დღე თბილისის საწყობებში მოდის 20-25 ვაგონი. უნდა აღინიშნოს, რომ ზაფხულში უფრო ადვილი იყო ვაგონების შოვნა, მაგრამ ვინაიდან ტრესტს, მიუხედავათ წინასწარი გაფრთხილებისა, არ მოსვლია თავის დროზე დაკვეთები, და მაშასადამე, სათანადო ავანსებიც შეშის ჩამოზიდვა ზაფხულში არ სწარმოებდა. ამისათვის საჭირო თანხები ტრესტმა მიიღო დაგვიანებით და ეხლა კი ძნელდება ვაგონების საჭირო რაოდენობის შოვნა, თუმცა ჯერ-ჯერობით დიდ დაბრკოლებებს ამ მხრივ ადგილი არ ქონია. სექტემბრის განმავლობაში ტრესტს განზრახული აქვს ჩამოიტანოს ფოთის რაიონიდან 340 ვაგონი შეშა, ლანჩხუთის რაიონიდან 100—ვაგონი და კახეთიდან—40 ვაგონი. სათანადო დაკვეთა ვაგონებზე უკვე მიეცა რკინისგზების სამმართველოს და ტრესტს იმედი აქვს, რომ ვაგონების საჭირო რაოდენობა თამომზადებული იქნება.

[illegible] მოდენიმე დღის წინ. ფასები შეშაზე იგივე რჩება რაც იყო შარშან. სახელდობრ: მაგარი ხარისხის შეშა გაიყიდება —12 ვერშოკიანი—70 მანეთი საჟენი და 24 ვერშოკიანი—60 მანეთად; რბილი ხარისხის კი—45 მანეთად საჟენი.

მოკლე ხანში ტრესტი შეუდგება შეშის დამზადებას მომავალ წლისათვის.

მეტრიული სისტემა

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ა.-კ. საუწყებათაშორისო მეტრიულმა კომისიამ გამოსცა სავალდებულო დადგენილება ა.-კ. ქალაქებში ვაჭრობაში მეტრიულ სისტემის ზომა წონის შემოღების შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია:

1) 1926 წ. 1-ლ ოქტომბრიდან ქ. ქ. თბილისში, ბაქოში, ერევანში და ბათომში ყოველგვარ ხასიათის ცალობრივ ვაჭრობაში, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ, აგრეთვე კერძოში, როგორიცაა დუქნები, ღია სავაჭრო ადგილები და ბაზრები და სხვადასხვა სავაჭრო ადგილები, შემოღებულ იქნას მეტრული სისტემით გაზომვა, აწონვა და არწყვა.

2) ეს სავალდებულო დადგენილება, ცალკე განკარგულების გამოცემამდე, არ ვრცელდება:

ა) ცალობრივ ვაჭრობაზე ღვინით, არყით, სპირტით, ლიქიოროთ, ცივი წყლებით და სხვა ამგვარ სასმელებით გარდა ბორჯომის წყლისა;

ბ) იმ გლეხებზედ, რომლებიც არ ვაჭრობენ პატენტით და ჩამოდიან ზემოაღნიშნულ ქალაქებში, რათა თვითონვე გაჰყიდონ თავიანთი სოფლის ნაწარმოები, იქნება ეს ურმით თუ ტომრით ან სხვა სახით;

3) ამ დადგენილების 1-ლ მუხლის შესრულების მიზნით, ყველა დაწესებულებები, როგორც სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და კერძო, აგრეთვე კერძო პირნი, რომლებიც აწარმოებენ ცალობრივ ვაჭრობას, ვალდებულნი არიან ზემოაღნიშნულ ვადისათვის იქონიონ მეტრულ სისტემის საწყობები, საწონები და ყველა საჭირო მათთვის მეტრული საზომები, დადაღული ზომა-წონის პალატის დაღით.

საქონლის გაყიდვა ძველ სისტემის საზომ-საწონ-სარწყაოთი ა.-წ. 1-ლ ოქტომბრიდან აკრძალულია.

4. ყოველ იმ დახურულ და ღია სავაჭრო ალაგას, სადაც სწარმოებს ცალობრივი ვაჭრობა, უნდა იყოს შესამჩნევ ადგილას გამოკიდული ქედლის ტაბულა საქონლის ფასების აღნიშვნით ახალ ზომებზედ (კილოგრამზე, მეტრზე და ლიტრზე).

შენიშვნა: 1. საქონლის ნიხრის შედგენისათვის მეტრულ ზომასთან შეფარდებით სახელმძღვანელოდ უნდა იყოს აღებული ოფიციალური გადამყვანი ტაბულები, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალურ მეტრულ კომისიის მიერ (ცეკომეტრი), ა.-კ. საუწყებათაშორისო მეტრულ კომისიის („ზაკმეჟმეტრი") ანუ მთავარ ზომა-წონის პალატის მიერ.

2. აკრძალულია საქონლის ნიხრის დადება 400 გრამის რაოდენობაზე და აგრეთვე 1 გირვანქის საფასურის მასთან შეფარდება. ამგვარ საქონლის ნიხრი უნდა იყოს გამოცხადებული ერთი კილოგრამის წონაზედ, ამავე დროს საქონლის ნიხრი შესაძლოა გამოცხადებულ იქნას 500 და 100 გრამზე.

3. იმ საქონლისათვის, რომელიც უნდა გაიყიდოს უფრო წვრილი წონით, ცხადდება სავალდებულო ნიხრი ერთი, ათი და ასი (1, 10, 100) გრამის რაოდენობით სავაჭრო ვარგის ამორჩევით და სათანადო საქონლის კატეგორიის მიხედვით.

5) ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ეკონომსაბჭოების რწმუნებულებს ევალებათ მიიღონ ზომები, რათა ყველა ცალობრივ ვაჭრობის მწარმოებელ დაწესებულებებმა და პირებმა თავის დროზე შესძლონ შეიძინონ მათვის საჭირო სათანადო რაოდენობის მეტრულ სისტემის საზომ-საწონები, და აგრეთვე თვალყური ადევნონ, რათა აღნიშნული დადგენილება თავის დროზე გატარებულ იქნეს ცხოვრებაში.

6) ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარება ეკისრება ქ. ქ. თბილისის, ბაქოს, ერევნის და ბათომის აღმასრულებელ კომიტეტებს და ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინაგან ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ყოველ ცალკე რესპუბლიკაში.

7) აღნიშნულ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დამნაშავენი როგორც თანამდებობრივი, ისე კერძო პირნი იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით.

მეტრული ფორმა შემოღებული იქნება ბამბით, აბრეშუმით, მატყლით, აბრეშუმის პარკით, ხილით, ბოსტნეულით. და თამბაქოთ საბითუმო ვაჭრობაში 1926 წ. 1 ნოემბრიდან და აგრეთვე შენობები და საცხოვრებელ ბინების სივრცის გამოანგარიშებაში 1926 წ. 1 ოქტომბრიდან.

განათლების ფრონტზე

სტუდენტთა წარმომადგენლები.

საქართველოს პროფკავშირებთან არსებულ პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ გამოჰყო თავისი წარმომადგენლები პროფგანათლების მთავარ მმართველობასთან არსებულ ცენტრალურ კომისიაში და უმაღლეს სასწავლებლების მიმღებ კომისიებში მონაწილეობის მისაღებად.

ტეხნიკუმები.

ტეხნიკუმებში გამოცდები იწყება 16 ოქტომბრიდან. წელს ტეხნიკუმებში შემსვლელთა მსურველები, შედარებით გასულ წელთან, მცირეა.

ქართული ენის და საქმის

წარმოების პრაქტიკული კურსებზე (პლეხ. გამზირი, 33) მსმენელთა მიღება იწყება 15 ენკენისთვიდან, ხოლო მეცადინეობა 1-ლ ოქტომბრიდან—საღამოობით 6—8 საათემდე.

პროფტეხნიკური კურსები

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროფტეხნიკური კურსების შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა 8.000 მანეთი რაოდენობით.

კურსები გაიხსნება— ტყავტრესტთან. თამბაქოს ტრესტთან, ლითონტრესტთან და პოლიგრაფტრესტთან.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოთ

თბილისის კომენდანტის სამმართველო იუწყება, რომ 12-დან 15 სექტემბრამდე სამხედრო-საინჟინერო მოედანზე (მახათის სიმაღლეთა მარჯვენივ) მოხდება ყუმბარების ტყორცნა და სროლა თვითმფრინავებიდან.

ლაგოდეხის გზატკეცილი

საქართველოს გზატკეცილების სამმართველო უკვე შეუდგა ლაგოდეხის გზატკეცილის ასაგებ მუშაობას. გზატკეცილი იწყება წნორიდან და მიიმართება ალაზნის ხიდისაკენ. უკანასკნელ ხანებში მუშაობა გაცხოველებულათ სწარმოებს. ჯერ-ჯერობით გაკეთებულია მიწის სამუშაოები 12 ვერსის მანძილზე. გზატკეცილის მოწყობა განზრახულია დასრულდეს ნოემბერში.

მივლინება

1926-27 საოპერაციო წლის სამრეწველო გეგმების საკავშირო ს. მ. უ. ს. მიერ განხილვის დროს საქართველოს წარმომადგენლებათ მოსკოვში ერთი თვის ვადით მივლინებულნი არიან ამხ. ი. ვაწაძე და ი. ერზინკიანი.

თბ. აღმასკომში

— **თბილის-მანგლისის** შორის გზის საფუძვლიანი შესაკეთებლად გადაიდო 30.000 მანეთი.

— **აბანოებში.** აგვისტოში იბანავა 757.727 მოქალაქემ. ამავე ხნის განმავლობაში ფულად შემოვიდა 24.959 მან.

— **ბაზრები.** ამჟამად თბილისში არსებობს 10 ბაზარი. დახურული ბაზრის მოწყობის შემდეგ ბაზრების რიცხვი შემცირდება სანახევროდ.

— **სკოლების შეკეთება.** თბილისის მაზრაში უკვე დამთავრდა სკოლების შეკეთება.

— **საბინაო-საიჯარო** განყოფილება შეუდგა საიჯარო-საბინაო ამხანაგობებთან ხელშეკრულებების ხელახალ დადებას.

თბ. დამზღვევ სალაროში

— **დროებით შრომის** უნარ დაკარგულებს აგვისტოში სალაროდან დახმარების სახით მიეცა 10.315 მან.

—**უმუშევრებს** ამავე ხნის განმავლობაში დახმარების სახით მიეცა 23.874 მან.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

— **კურსები.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი ახლო ხანში კოჯორში ხსნის ტყის-მცველთა გადასამზადებელ კურსებს.

— **ტყე.** გასული წლის ოქტომბრიდან ამა წლის აგვისტოს 1-მდე მთელ საქართველოში გლეხებს გადაეცა 105.599 ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

შრომის სახ. კომისარიატში

— **გრილი სასმელების გამყიდველთა** კოლექტივში ამჟამად მუშაობს 35 კაცი.

— **საზოგადო სამუშაოები.** შრომის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით თბ. ზოგიერთ რაიონებში უკვე დაიწყო საზოგადო სამუშაოები.

— **ახალი კოლექტივი.** შრომის კომისარიატის ხელმძღვანელობით დაარსდა ქალთა კოლექტივები, რომლებიც დაწესებულებებს აწვდიან საუზმეს.

— **ფოთში, ქუთაისში, აბასთუმანში, სოხუმში და სურამში** უკვე შეუდგენ საზოგადო სამუშაოების მოწყობას.

— **თბილისში არსებულ შრომის** კოლექტივებში ამჟამად მუშაობს 1.412 კაცი.

— **ექიმთა კოლექტივი.** ახლო ხანში თბილისში მოეწყობა ექიმთა კოლექტივი, რომელშიაც იმუშავებს 150 ექიმი.

სხვადასხვა

— **ბახმაროზე.** მომავალ წლიდან ბახმაროზე მეზღვეურთა კავშირი მეზღვაურებისათვის ააგებს დასასვენებელ სახლებს.

— **საბინაო კოოპერატივების** საბინაო აღმშენებლობისათვის კომ. ბანკმა სესხად მისცა 100.000 მან.

— **კ. კაპანაძის წიგნი.** რედაქციამ მიიღო კ. კაპანაძის წიგნი „ქართული სული მხატვრულ სახეებში".

— **სამხედრო სასწავლებლებში.** თბილისის საქვეითო სკოლაში მისაღები გამოცდები იწყება ოქტომბრის 1-ს, ამ დროისათვის უნდა გამოცხადდეს ყველა, ვინც კი განცხადება შემოიტანა. გამოცდებზე გამოცხადებულთ მიეცემათ უფასო სადგომი, კვებისათვის კი გადახდებათ 25—30 კაპ. დღეში.

შემთხვევები

— **თავდასხმა.** სოფ. მირზო-თელეთის ახლოს მეცხოვრებ შარანოვს თავს დაესხნ 4 ბოროტმოქმედი და გაძარცვეს.

— **ქურდი სტუმარი.** 10 სექტ. კირკის ქ. № 57 კლიუნიკა ბერიძის ბინა გაქურდა მასთან სტუმრათ მყოფმა ელენე ლოლაძემ, რომელიც იმავე დღეს შეიპყრეს.

— **სადგ. მუხრანში.** 10 სექტ. გაქურდეს ირაკლი [illegible] სავაჭრო.

— **შეპყრობა.** 10 სექტ. ჯიბგირობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი შალიკო ანელოვი.

— **ცეკავშირის** შენობაში პორფილე ტერემიძეს მოპარეს პალტო.

— **ქურდი ქალი.** გაერთიანებულ ბავშთა სახლიდან კომუნ. ქ. № 133 მოსამსახურე ქალის მიერ მოპარულია სხვადასხვა ნივთები და თეთრეულობა.

— **ქურდობა.** 10 სექტ. კლარა ცეტკინის ქ. № 92 გაქურდეს ფლორა სინენტკოვსკის ბინა.

— **ქურდობა 8 სექტ.** ბუფერის შესახვევი № 9 ვლადიმერ ბუხრაძის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

ავტომობილის კატასტროფა

გუშინ, საღამოს 9 საათზე, საბჭოთა ქუჩაზე მეცხრე კომისარიატის წინ, ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი **დიმიტრი შათიევი**, დაეჯახა ანძის ხეს და დაზიანდა.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

აფერისტის დაპატიმრება

გუშინ, საღამოს, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აფერისტი **ოსმარ ოსმალოვი**.

ოსმალოვი სცხოვრობდა **ბორის კოლგანოვის** გვარით და თავისი თავი მოჰქონდა კომკავშირის წევრათ და ყველგან ეცნობოდა მოსკოვის მეორე ტეხნიკუმის მოსწავლეთ. ამ მიზნით ის ატარებდა ყალბ მოწმობებს. დაწესებულებებსა და პროფორგანიზაციებში „კოლგანოვს" შეჰქონდა განცხადებები, როგორც „მოსწავლისათვის" მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ გზით მან დიდძალ თანხას მოუყარა თავი, და ის იყო თბილისიდან უნდა გამგზავრებულიყო, რომ „კოლგანოვი" დაპატიმრებულ იქნა.

სასამართლო

საყვარელიძის საქმე

საყვარელიძეს ბრალდებოდა 1.400 მანეთის მითვისება და გაფლანგვა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში სამსახურის დროს.

სასამართლოს კვლევა-ძიების დროს ბრალდებულმა 700 მანეთი დაფარა.

გამოირკვა, რომ აღნიშნული თანხა საყვარელიძემ წააგო „კაზინო"-ში ბანქოს თამაშის დროს.

სასამართლომ საყვარელიძე სცნო დამნაშავეთ სახაზინო ქონების გაფლანგვაში და მიუსაჯა მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო მისი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი გაუნახევრა.

სასამართლომ აგრეთვე გამოიტანა დადგენილება სამოქალაქო სარჩელის 700 მანეთის რაოდენობით დამტკიცების შესახებ. ამ თანხის გადახდა ამიერ-კავკასიის ფინსახკომის სასარგებლოდ დაეკისრა მსჯავრდადებულ საყვარელიძეს.

საზიზღარი მკვლელობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **გლადკოვის** თავმჯდომარეობით დაიწყო ბიქტორ **ციხისთავის** საქმის გარჩევა.

ციხისთავს ბრალდება ელენე **ქაჯაიას** მოკვლა.

ამა წლის 18 მარტს, ღამის 12 საათზე, სასტუმრო „ნოე"-ში ციხისთავმა „ნაგანის" სისტემის რევოლვერით მოჰკლა ელენე ქაჯაია.

წინასწარ გამოძიების დროს ბრალდებულმა ციხისთავმა თავი სცნო დამნაშავეთ ქაჯაიას ქალის მოკვლაში და დასძინა, რომ წინედ ქაჯაიასთან კარგს განწყობილებაში იყო და სქესობრივი კავშირიც ჰქონდა. ბრალდებულმა განაცხადა აგრეთვე, რომ ელენე ქაჯაიას ქმარი სძულდაო.

ქაჯაიას მიერ ბრალდებულისადმი მინაწერ წერილებში არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ქაჯაიას ქალს ქმარი სძულებოდა.

სასამართლოს პროცესზე ბრალდებულმა უარ ყო წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება და დასძინა, რომ მის ბინაში ქალმა თვით მოიკლა თავი.

სამედიცინო ექსპერტიზით გამოირკვა, რომ ქაჯაიას ტყვია მოხვედრილი ჰქონდა თავის მარცხენა ნაწილში.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

8.000 მან. გაფლანგვა

1-ლ სექტემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია კოჯორში გაარჩევს კოჯორის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმეს. პასუხისგებაშია მიცემული გამგეობის თავმჯდომარე **შალამბერიძე,** გამგეობის წევრები: **სურმავა და გოგელია,** სასადილოს ვამგე **ბერიძე,** ნოქარი **გოგელიძე, ბუხჰალტერი** კანკავა—ფარულავა და სხვ. აღნიშნული პირები სისტემატიურად ითვისებდნენ სახალხო ფულებს, წისიად უშვებდენ საქონლის დიდ რაოდენობას, რაიც წესდებით აკრძალული იყო.

ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა 5.000 მანეთის გაფლანგვა. ბრალდებულების ბოროტმა მოქმედებამ კოჯორის კოოპერატივს მიაყენა 8.000 მან. ზარალი.

„არაფერი დაუშავებია"

ასკერ აკპერ-ოღლი ქურდობისათვის არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული. ბედი არ სწყალობდა აკპერ-ოღლის, ყოველ „საქმის" გაკეთების დროს აპატიმრებდენ.

ერთ დღეს ფიქრებში გართული აკპერ-ოღლი „სალდათის ბაზარს" მიუახლოვდა. სოქ. განიანცის სავაჭროდან სამი დიუჟინი საყარცხელი „მიისაკუთრა", მაგრამ მეპატრონის მიერ ეს გარემოება შემჩნეულ იქნა.

საჩქაროდ მილიციელიც გაჩნდა.

— კაცო რათ მიჰყერთ რა დავაშავე?... ეკითხებოდა მილიციელს ბრალდებული, მაგრამ მილიციელი დაჟინებით აძლევდა წინადადებას წაყოლოდა კომისარიატში.

— კი, მაგრამ რომ „არაფერი დამიშავებია", რა გინდათ ჩემთან—ბრაზმორეული იძახდა აკპერ-ოღლი.

სასამართლოში ბრალდებულმა უტიფრად განაცხადა, რომ ყოველივე განზრახ შეთხზულია.

სასამართლომ აკპერ-ოღლის მიუსაჯა წლით დაპატიმრება.

ხელოვნება

„**გველის პერანგი" გერმანულად.** — გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი" გადაითარგმნა გერმანულ ენაზე.

ლექსთა კრებული. ოქტომბერში გამოვა პოეტ პ. სამსონიძის ლექსთა კრებული, რომელშიაც შევა ძველი და ახალი რჩეული ლექსები. კრებული იქნება 200 გვერდიანი და გამოსცემს სახელგამი.

— **ახალი თეატრი.** განზრახულია ნაძალადევში ააგონ მეორე ახალი თეატრი, რომელიც დაიტევს 2.300 კაცს.

— **მომღერალ ა. ჩემერინის კონცერტი** გაიმართება 15 სექტემბერს კონსერვატორიაში.

— **„ბიმ-ბომ".** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება ცნობილ იუმორისტების ბიმ-ბომის მეორე გასტროლი.

სახკინმრეწვში

— „**სავურ-საფლავი"—მოსკოვში.** მოსკოვში დიდის წარმატებით მიმდინარეობს კინო-სურათი „სავურ-საფლავის" დემონსტრაცია.

კინო „მალაია დმიტროვკა"-სა და „მრამორნოე"-ში დადგმის შემდეგ, ამჟამად სურათი მიდის ოთხ საუკეთესო კინოში. სურათზე დიდი მოთხოვნილებაა რუსეთის ყველა ქალაქებში.

— **„ხანუმა".** რეჟისორმა წუწუნავამ უკვე დაასრულა კინო-კომედიის „ხანუმა"-ს მონტაჟი. ფილმის ჩვენება თბილისში დაიწყება უახლოეს ხანებში.

— **ორი სურათი.** უკვე დასრულდა ფილმების „ბელა" და „ჩვენი დროის გმირი"-ს გადაღება დაღესტანსა და ჩრდილო-კავკასიაში.

ამჟამად სწარმოებს „ტამან"-ის გადაღება ქალ. ტამანის მახლობლად. ორივე სურათი გამოშვებული იქნება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

— **რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა** დაამთავრა კინო-სურათ „სამანიშვილის დედინაცვალის" გადაღება. ექსპედიცია მარჯანიშვილისა და ბერიშვილის მეთაურობით უკვე დაბრუნდა თბილისში. ამჟამად სწარმოებს მუშაობა პავილიონებში.

ფიზკულტურა

წითელი სპორტის კვირეული

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს განზრახვა აქვს ჩაატაროს წითელი სპორტის ინტერნაციონალის კვირეული 1-დან 7 ნოემბრამდე. საბჭო ახლო ხანში გამოიმუშავებს კვირეულის ჩატარების გეგმას. სპორტის ინტერნაციონალის კვირეულში მოეწყობა ფიზკულტურის ყველა უწყების გამოსვლა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის ყველა მოყვარეშენი. ამ ხნის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ყველგან შეჯიბრები პირველობაზე, როგორც მსუბუქ ისე მძიმე ატლეტიკის დარგებში.

თბილისის ფიზკულტურის საბჭოს განზრახვა აქვს მოაწყოს გამოსვლა 7 ნოემბრისათვის სახელმწიფო ოპერაში. გამოსვლის პროგრამა ახლო ხანში იქნება დამუშავებული.

შეჯიბრი პირველობაზე

კვირას 19 სექტემბერს მოხდება ფეხბურთელთა გუნდების „დინამო"-სა და „არსრაიონი"-ს შეჯიბრი პირველობაზე.

აგურის ქარხანა

თბილისის აღმასკომის ცნობით, აგურის მოთხოვნილება თბილისში დღითიდღე იზრდება, ასე რომ აგურის ქარხნები ვეღარ უთავდებიან შეკვეთებს. მარტო აგვისტოს განმავლობაში აღმასკომის განკარგულებაში მყოფმა აგურის ქარხნებმა ქალაქის საჭიროებისათვის დაამზადეს 2 მილ. 140 ათასი ცალი აგური.

მოთხოვნილების ზრდა აგურის ქარხნებზე, აღმასკომის ცნობით, გამოწვეულია საამშენებლო მუშაობის გაძლიერებით თბილისში. ამჟამად აღმასკომის განკარგულებაში არის აგურის 7 ქარხანა. განზრახულია ამ ქარხნებში აგურის დამზადების მექანიზაცია.

აგურის ქარხნების მექანიზაციისათვის სათანადო გეგმა უკვე შემუშავებულია.

ექსპორტი

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ივლისში დაამზადა: 206.369 კილოგრამი მუხის ტკეჩი, 30.886 ფურცელი ფანერა, 921 ფ. ჯაგარი, 826 ცალი ნოხი, 8.683 კილოგრამი აბრეშუმის ფრიზონი, 246.000 კილოგრამი პარკი, ცხვრის და თხის ტყავი—2.456 ცალი. ამავე ხნის განმავლობაში სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ თავის წარმომადგენლობებს გაუგზავნა საზღვარ-გარეთ: **საფრანგეთში** 5.852 კილო ფრიზონი, **ამერიკაში** 1.654 კილო სამკურნალო ბალახი, 6.100 კილო კაკლის ხე, 567.000 კილო მუხის ტკეჩი, 12.868 ფურცელი ფანერი, 1.639 ცალი ძვირფასი ბეწვეული.

1-დან 15 აგვისტომდე საფრანგეთში გაიგზავნა 19.600 მანეთის ფრიზონი, 45.000 მანეთის კაკლის ხე, 7.000 მან. თევზის წებო და სხვა.

მოთხოვნილება ბამბაზე

ა.-კ. საბამბო კომიტეტმა დაუგზავნა შეკითხვები ამიერ-კავკასიაში არსებული საფეიქრო წარმოება-დაწესებულებებს წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნილება, თუ რამდენი ბამბა დასჭირდებათ მათ მიმდინარე და მომავალ საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

სესხები

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაწესებულებები, რომლებიც მოწოდებულნი არიან სოფლის მეურნეობისათვის დახმარების აღმოსაჩენათ ვერ შესძლებენ თავის საქმიანობის წარმატებით ჩატარებას, თუ თავის დროზე არ დაიბრუნეს გაცემული სესხები.

სესხების ასაღებათ მიღებულია კანონმდებლობითი ზომები, სასამართლოების წესით. მაგრამ თუ სასამართლოების დადგენილებები სასწრაფოდ არ იქნა შესრულებული საქმე მაინც დაბრკოლდება.

ამის გამო შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა მისწერა ყველა სამაზრო აღმასკომებს და ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ ადმინისტრატიული ღონისძიებანი გასესხებული თანხების ასაღებათ.

სამეურნეო აყვავების კერა

(გურიის აგროტეხნიკუმი).

ჩოხატაურს რომ გასცილდებით და „სუფსის" ნაპირით დასავლეთისაკენ აიღებთ გეზს, სიმინდ-თამბაქოს ტყეებით დაჯორგვილი მერეები გადაიშლება თვალწინ. ყანებს შუა გველსავით მიიკლაკნება ოზურგეთ-ჩოხატაურის გზატკეცილი. კიდურზე კი, სამიოდე ვერსის მოშორებით, წიწვიან მცენარეულობით ამწვანებული, ოდნავ მაღალი გორაკი აგეტუზებათ.

გაშლილ ველის კიდეზე ამობერტყილია ეს პაწია მთა და ამაყად გადაჰყურებს მის ფეხებთან გაწოლილ ყანებს და „სუფსას", მორჩილებით რომ ულოკავს მუდამ დღე ფეხებს. მთა თითქმის ხელოვნურად აგორებული მიწის დიდი ზვინი, დაყუდებულა ამ გაშლილ ველზე და შორით ლამაზი წიწვიანი ქოჩორით ხიბლავს თვალს.

შორითვე მოსჩანს სახლი. ფიჭნარიდან რომ მორცხვ პატარძალივით გამოიყურება მოპირულ ცქერით. იქვე მახლობლად, გორაკის თავზე, სახლის ჩონჩხია და ყრუთ მოსჩანს დურგლის კაკუნი.

ეს მამული, წინად ისევე, როგორც გარშემო მდებარე მიწები, ერისთავების საკუთრებას შეადგენდა. დღეს კი იმ ადგილას, სადაც წარჩინებულთა ერთი მუჭა ცხოვრობდა განცხრომით, გურიის სამეურნეო აყვავების კერაა დაარსებული.

ერისთავისეულ მამულში გურიის აგროტეხნიკუმია.

დიდი ხნის ისტორია არა აქვს მას. სულ ორიოდე წელია, რაც პირველად აწკრიალდა გორაკზე სკოლის ზარი და „სრა დარბაზებში" გაჩნდა დაფები.

გურიის გლეხობა დიდ იმედებს ამყარებს მასზე,—დამარც თუ ტყუილად. ბევრ ახალს შესძენს ეს სკოლა გლეხებს. ბევრ სარგებლობას მოუტანს ის მას, თუ რიგიანად წავიდა საქმე და ტეხნიკუმის განვითარებას არ გადაეღობა გზაზე რამე.

მაინტერესებს ამ სკოლის ნახვა; მსურს თვით ვიხილო, თუ რა კეთდება ერისთავისეულ ცნობილ მამულში, მინდა გავიგო, როგორ ითვისებს თავადაზნაურთა ამაყი რეზიდენცია რუქებს კედლებზე, „პარტებს" პარკეტზე და ზარს, მუდამ დილით სოფლად გაბნეულ მოწაფეებს რომ სწავლისაკენ მოუხმობს ხოლმე.

უკვე საღამოა და ვშიშობ: ვაი თუ არავინ დამიხვდეს სკოლაში.

შიშქარი. საათის გზა—და უკვე გადავაბიჯეთ მამულის ღობეს. ეზოში დურგლები მუშაობენ გაფაციცებით. ხის შენობა მოუტანიათ და ამენებენ.

— გამარჯობათ!

— ღმერთმა გაგიმარჯოს!

— რად გინდათ, კაცო, ეს სახლი?

— კლასი იქნება ამაში, ზედა სახლი ა

— სად იყიდეს?!

— ჩოხატაურში, საავადმყოფოთ რომ [illegible] ლი იყო, ის არის. ეხლა იქ დიდი ქვის შენდება, ეს კი აქ წამოვიღეთ.

— გამგის ნახვა შეიძლება?

— რატომ არა. ეგერ ზედა სახლშია კითხე!

მივდივარ ზევით. ეზოში რამოდენიმე [illegible] ფეა წიგნებით ხელში. სანამ გამგე-აგრონომ. აბაშიძე გამოვიდოდა მოწაფეებთან [illegible] თე საუბარში.

— რომელ კურსზე ხართ?

— წელს მესამეზე გადავედით. —

— სწავლობთ რამეს?!

— ეხლა უნროს კლასების მოწაფე [illegible] ცდიდებთ. ისე კი უფრო მეტად თეორ [illegible] ცდილობთ ვაწარმოებთ, ვიდრე პრაქ [illegible] პრაქტიკული ვარჯიშობა კვირაში ორ [illegible] ვაქვს.

— მერე საკმარისია ასე მცირე დრო

— ჯერ არა ვართ მოწყობილი სამისოდ. შემდეგ მეტი იქნება.

აი გამგეც მოდის.

სკოლის შენობიდან ცოცხლად და თავაზიანი ღიმილით გამოვიდა ჭრელხალათიანი კაცი—აგრონომი აბაშიძე.

ახლო-მახლო სოფლების გლეხობა მას უკვე კარგად იცნობს. მესამე წელია ეს აგრონომი ამ რაიონშია. ის არ კმაყოფილდება მარტო თავისი პირდაპირი მოვალეობის ასრულებით: სკოლის გამგე დადის სოფლებში, კითხულობს მოხსენებებს, აძლევს გლეხობას აგრონომიულ რჩევა-დარიგებებს. გლეხობაც მადლიერია მისი. თავის საქმე მან ზედმიწევნით კარგად იცის. ყოფილა საზღვარგარეთ, უცხოვრია ამერიკაში და რამოდენიმე წელი კალიფორნიაში გაუტარებია პრაქტიკაზე.

თავაზიანად მიგვიღო. დავათვალიერეთ ტეხნიკუმი. ლაპარაკი საჭირბოროტო საკითხებზე ჩამოვარდა.

— ყველაფერს გააკეთებს კაცი, მაგრამ ფული არ არის. აი, საცდელი მოედნებიც ვერ გაგვიკეთებია რიგიანად. უმთავრესი საკითხია ტეხნიკუმისათვის სარწყავი წყალი. თუ წყალი არ დაგვირჩა, ძნელია რაიმეს გაკეთება. ეხლა ვაიგაგლახით ვახერხებთ პატარა საცდელის მორწყვას. სახურავებიდან რომ წვიმის წყალი ჩამოდის, ორმოებში ვაგროვებთ, ამ წყალში ნაკელს ვყრით და შემდეგ მიგვაქვს მოსარწყავად. რა თქმა უნდა, ასეთი კუსტარული წესით ბევრი არაფერი გაკეთდება!—გულდაწყვეტით განაცხადა მან.

შესაძლებელია კი აქ წყლის ამოყვანა მდინარე სუფსიდან, რომელიც საკმაოდ ახლოსაა მამულიდან და აგრონომიც არ ყოფილა ისეთი კაცი, რომ დაბრკოლების წინაშე ქედი მოიხაროს. ის უკვე მუშაობს ამ მხრივ, აგროვებს ფულებს, ზოგს მამულის შემოსავლიდან, ზოგს კიდევ სოფლებში გამართულ საღამო-მოხსენებებიდან და სხვ.

— ახლა უკვე შეგროვილი გვაქვს 500 მანეთამდე. ამდენს კიდევ შევაგროვებთ, მაგრამ ეს მაინც არ კმარა!—განაცხადა მან.

რა თქმა უნდა, ამ გზით საჭირო თანხას ვერ შეაგროვებს ის მეტყაითი ადამიანი,—აქ დახმარება საჭირო მაზრის, განათლების კომისარიატის, ჩვენი მთავრობის.

ხუთიოდე ათასი მანეთით ჩინებულად მოეწყობა ეს საქმე. სამაგიეროთ სარწყავი წყალი ფეხზე დააყენებს ტეხნიკუმს, ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს მის მუშაობას. ამ საქმეს ყურადღება სჭირია.

გურიაში ეს აგრონომიული ტეხნიკუმი ერთადერთია.

ვათვალიერებთ სკოლის ეზოს. აგერ პატარა ნაჭერ მიწაზე მანდარინები გაუშენებიათ..

— ვცდით, იხარებს თუ არა ზემო-გურიაში. ჯერ კარგი პირი უჩანს. ჩაის მოშენებასაც ვაპირებთ. თუ დაგვეხმარეს, სამკურნალო მცენარეულობის მოყვანაც შეიძლება. მაგრამ თანხაა საჭირო. წელს, როგორც ამბობენ, სამკურნალო მცენარეულობის გასაშენებლად გადადებულია განსაზღვრული თანხა. ვცდილობთ ნაწილი ჩვენც შეგვხვდეს.

„სახმრეწვაჭრობამ" გურიის აგროტეხნიკუმსაც უნდა მიაპყროს თავისი „თვალი". ცოტა მოშორებით ფუტკრის ბუკები შევამჩნიე. ტეხნიკუმს ფუტკრის რამოდენიმე ოჯახი ჰყოლია. სასწავლებელში მეფუტკრეც არის-სპეციალისტი.

— მოსახლეობა ძლიერ ეტანება მეფუტკრეობას. ჩვენ ხელოვნურ ჩარჩოებს ვამზადებთ. ის ფუთობით მიჰქონდათ გასულ სეზონზე. რაც დრო გადის, მოთხოვნილება უფრო იზრდება. მეფუტკრეები ფუტკრის [illegible] კულტურულ წესზე გადადიან თანდათანობით. წელს შეკვეთები ძლიერ ბევრი გვაქვს. ერთ-ერთ თემს 15 ფუთი სანთელი აქვს გამზადებული.

დიდი კულტურული საქმე იწყება ამ ტეხნიკუმში. გარდა იმისა, რომ ის მცოდნე მეურნე ახალგაზრდობით მოჰფენს გურიას, გლეხობასაც დიდად დაეხმარება, წასწევს წინ, უჩვენებს მაგალითს კულტურულ მეურნეობისას. დახმარება საჭირო ოღონდ!

ვათვალიერებთ ეხლა თვით სკოლას, ფიზიკურ კაბინეტს, ქიმიურ კაბინეტს. ორივე ჩინებულად მოწყობილია. საცდელი ხელსაწყოები საკმარისია. მიკროსკოპები სჭირდებათ მხოლოდ.

— რამდენია მოწაფე თქვენს ტეხნიკუმში?

— ამ ცოტა ხნის წინ აკადემიური წმენდა გვქონდა. ეხლა 63 შეგვრჩა სულ. წელს 25-ს მივიღებთ კიდევ. ორი წლის შემდეგ პირველი გამოშვება იქნება. სკოლისათვის ახალ შენობას ვაგებთ. ვცდილობთ მოვაწყოთ საქმე რიგიანად.

— თქვენ როგორ ფიქრობთ,—ვეკითხები,— მოიცდიან კი თქვენი მოწაფეები სკოლის დამთავრების შემდეგ სოფლად? მოჰკიდებენ კი ხელს მეურნეობას?

— ძალით ვერ დაიჭერთ, რა თქმა უნდა, მაგრამ აქედანვე ვღებულობთ ზომებს. აი, ზევით რომ ნერგები გიჩვენეთ მანდარინის. ის სანერგე მოწაფეთათვის არის. თვითეულ მოწაფეს უფასოდ დაეთმობა სხვადასხვა ნერგები და დავალებაც ექნება: თავის მიწაზე მოაშენოს. ამრიგათ თვითეულ მათგანს ამთავითვე „ტეხნიკუმის კუთხე" ექნებათ თავიანთ სახლში და ასე შეეჩვევიან. ჩვენ ხელს შევუწყობთ, დავეხმარებით და, ვფიქრობთ, რომ ნაწილი მაინც შერჩება მეურნეობას ამ ჩვენს სოფლებში. ნაწილს კი, რა თქმა უნდა, სწავლის გაგრძელება მოუნდება და უმაღლეს სასწავლებელს მიაშურებს.

— როგორ ხდება მოწაფეთა მიღება თქვენთან?

— განაწილებულია ადგილები. ვცდილობთ, რომ გურიის ყველა რაიონს შეხვდეს ადგილი. ხედავთ კიდეც, ამ ჩვენს სკოლაში ახლა მთელი გურიაა წარმოდგენილი.

— საცდელი მინდვრების გაფართოებას ხომ არ აპირებთ?

— როგორ არა, მაგრამ არ გვყოფნის ფული. სულ ხუთმეტიოდე თუმანს გვაძლევენ და ამ ფულით შორს ხომ ვერ წავალ. ბევრი რამ გვინდა, ბევრი ძვირფასი ჯიშები იყო წინად გურიაში, თუნდაც ვენახის, აი, მაგალითად, ოჯალეში, ჩხავერი და სხვ.

მათი აღდგენა საჭიროც არის, შესაძლებელიც. ნერგები არის აქა-იქ, მაგრამ ძვირს აფასებენ და ტეხნიკუმს არა აქვს საშუალება ის შეიძინოს. ბევრი რამ გვინდა ჯერ კიდევ ამ მხრივ. ბევრსაც გავაკეთებთ, რომ ცოტას დაგვეხმარებოდენ. დიდი დახმარებაც არ მოგვითხოვნია: გადვიორკეცონ მხოლოდ ეს თანხა, დაგვეხმარონ ამ პირველ წლებში და ჩვენს სკოლას ავაყვავებთ ისე, რომ ორმაგი სარგებლით გადაიხდის ეხლანდელ ვალებს.

ღამდება უკვე. მზის უკანასკნელი სხივი მოსწყდა ქაფურის ხეს, რომელიც აქ უცხო სტუმრად მოსულა, ჯერ კიდევ ერისთავის დროს, სუსხი ყინვები აუტანია, ავად ყოფილა, მაგრამ ზრუნვით დ მოვლით გამორჩენილა, ამწვანებულა სურნელოვან ქაფურ ფოთლებით.

დრო აღარ არის. ვბრუნდებით უკან. ხანგამოშვებით კვლავ ვიყურები ამობერტყილ გორაკისაკენ, სადაც დავსტოვე ჩემსავით სტუმრად მისული ქაფურის ხე.

ის დარჩა იქ...ის ელოდებოდა და მოესწრება კი დღეს, როცა ობლად აღარ იქნება გორაკის თავზე, როცა მის გვერდით ძვირფას ჯიშების შეეყურება დიდი კრებული და აყვავდება ათას ფერებად.

ეს დრო იქნება. თავდება ამის ტეხნიკუმია—სამეურნეო აყვავების ურყევი კერა.

ვ. გურაძე.

ქართლის გულში

დეგოთის წისქვილები

ბავშვის მეხსიერება არ არის კრიალო სანივით აწყობილი. მაგრამ ზოგიერთი მოვლენა კი ცხოვლათ ჩაიჭრება მის ხსოვნაში—როგორც შუადღის გული.

ოთხი წლის ვიქნებოდი. მამაჩემს საფქვავი მიჰქონდა დეგოთის წისქვილებში. მე ტირილით ავიკელი იქაურობა—გინდა თუ არა წამიყვანე მეთქი. არ გასჭრა ჩემმა ტირილმა. არ წამიყვანეს დეგოთში.

მას შემდეგ რამდენი წლები გადაცურდენ წარსულის დაღმართში. რამდენ მოვლენას გადაუვლია თავზე. რამდენი უცხო ქვეყანა მინახავს. დეგოთის წისქვილების ნახვა კი მხოლოდ ეხლა მეღირსა ძლივას.

მერე შორს მაინც იყვეს! ჩვენი სოფლიდან 15—18 ვერსია. რკინისგზიდან კი—3 ვერსი. როცა გზათ ჩავივლიდი, ყოველთვის ნატვრის თვალით ვუცქერდი კოხტა ხევში მწვანით შებუდნილ დეგოთის წისქვილებს. ნახვას კი ვერ ვღირსებოდი.

ბევრმა, ძალიან ბევრმა კი არ იცის, რომ ამ წისქვილების ნახვა მართლა ღირს საგანგებოთ. ერთხელ რუისში მოვხვდი—გადავსწყვიტე—შევისრულო ამდენი ხნის მურაზი და ვნახო დეგოთიც. ის მდებარეობს რუისსა და ურბნის შუა მტკვრის მარცხენა ნაპირზე. როგორც წისქვილში წამსვლელი კაცი (ადრე დგებიან ხოლმე წისქვილში წასასვლელად ან ხაზის საჭმელად) დილაადრიან მივადექი ჩემ ძველის-ძველ ნაცნობს. შეპირებული ვიყავით—ერთად წავსულიყავით დეგოთს.

ჩქარა გაუდგით გზას. რა ულეველია ეს რუისი თავის აბიბინებული ბაღ-ვენახებით! რამდენიმე ვერსი იქნება სიგრძე. ამბობენ: ერთი ოთხმოც და ათი წლის მოხუცი შეხვედრია მეორე თავის ტოლ მოხუცს. გამოუკითხავთ ერთმანეთი—საიდან ხარო და ორთავე კი რუისელი გამოდგა თურმე. ასე დიდათ ითვლება ეს სოფელი. იქ ითვლება 4—5000 სული მცხოვრები. ეს მოსახლეობა კი ფართედ არის გაფანტული ხეხილოვან მამულ-დედულში. ამ უშველებელ სოფელს მდინარე არ მოეპოვება. წყაროც თითქმის ერთია მხოლოდ. მაგრამ შრომითა და გარჯილობით ყველაფერი გაკეთებულა.

თითქმის ოცი ვერსის მანძილზე იქ გამოყვანილია არხი დიდი ლიახვიდან. ვახუშტის სიტყვით ეს რუ გაკეთებულა თამარის დროს. აი ამ რუს წყალობით გადაქცეულა რუისი ასეთ ხეხილოვან სანახაობათ.

ბევრი რამეა სათქმელი სოფლის მოწყობაზე და ვითარებაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ მინდა გადავუხვიო დეგოთის გზას.

—:—

ჩავედით რუისის ბოლოზე და ერთ პატარა დაბლობში უეცრივ გადაიშალა საუცხოო სანახაობა. ნიადაგს მადლიანათ გადაუპია მკერდი და იქიდან უხვათ მოხეთქავს დამნარი ალმასის გვარი ნაკადი. მოიხედავთ—ასეთივე ნაკადი ამოსჩქეფს რამდენიმე ნაბიჯს იქით. ამას მისდევს მეორე და მესამე.

პირველი წყაროდან სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯს იქით უკვე წისქვილის ბორბლები ტრიალებენ. მიდის ეს ბორბლებზე დაკოდილი წყალი უფრო ქვევით და ქვევით. მას ემატება მრავალი ნაკადი—მირონივით, რომ იხდებიან დედამიწის გადახსნილ გულიდან. ემატებიან, იზრდებიან და იმას ქვევით გადადიან სხვა წისქვილზე. ორმოც-სამოც ადლის იქით ყველა ეს ნაკადები კარგ მოზრდილ მდინარეთ იქცევიან. ყოველ ოც ადლზე შეიძლება ახალ-ახალი წისქვილის გამართვა, ისეთი ძლიერია და ბარაქიანი ეს მდინარე.

ბროლია თუ ალმასი? ან ეგებ ორთავეზე ძვირფასია ეს მდინარე. ისეთი უმწიკლოა მისი სიწმინდავე, მოძრაობა რომ არ ამხელდეს მის არსებობას—ყველას რიყით მოფენილ სუფთა გზათ მოეჩვენებოდა.

გენანება, რომ ეს უკვდავება წყალი ბორბლებზე გადადის. მაგრამ უფრო დასანანია, რომ ბორბლებზეც არ გადადის და უქმად მიჩხრიალობს—სანამ არ დაიკარგება მტკვრის მღვრიე მორევებში. ასეთივე მდინარე მოთამაშობს ხევის მეორე გვერდზე. შუაშიც ჩაუდის ულეველ წყაროებით შობილი მსგავსივე მდინარე.

დეგოთი—მადანია მთელი ქართლისა. ეს ბაჯაღლო ადგილია. მაგრამ მას განა თუ დასდებია ნამდვილი ფასი, არამედ ისიც დაჰკარგვია, რაც ძველად ფასი ედო.

ვახუშტი საგანგებოთ აღნიშნავს თავის გეოგრაფიაში, რომ დეგოთის წისქვილები იშვიათია. მისი წყაროები არ [illegible], არ შრებიან ზაფხულში. მუდამ თანაბარ არიან და იშვიათის მდებარეობისა, რაც საგანგებოთ არის შეწყობილი წისქვილებისათვის.

აქ მოაქვთ საფქვავი შუა და ზემოქართლიდან. ხშირად იმერეთიდანაც გადმოდიან. მაგრამ არ გინდათ იკითხოთ თუ რა მდგომარეობაშია ეს ქართლის სანიმუშო ადგილი?

თემაღმასკომს ჩამოურთმევია ეს წისქვილები ძველი მეპატრონეებისთვის. იმის მაგიერ, რომ აღმასკომს მოეწყო, გაეუმჯობესებინა, გაემრავლებინა ეს წისქვილები, გადაექცია ეს უკვდავი წყაროები სახალხო სალაროს შემოსავლის წყაროდ, იმის მაგიერ, რომ წარმოებითა და კეთილმოწყობით ჩამორჩენილ ქართლში—ეს ბუნების სიუხვით იშვიათად დაჯილდოებული ადგილი გარდაექმნათ ნატვრის თვალად, ხალხის გამოსაყენებლად და საგანგებო სანახაობათ—ჩვენ რასა ვხედავთ?

ნახევარზე მეტი წისქვილები დაუნგრევიათ ძველ მეპატრონეებს და წაუღიათ როგორც შენობები. ზოგიერთი პატარა წისქვილი ისევ ღინღილებს და ბორბლის ტრიალთან ერთად ითვლის თავის არსებობის უკანასკნელ დღეებს.

ორი უდიდესი (ეგრედ წოდებული ჩარხის წისქვილები) ისევ აღმასკომის ხელშია, მაგრამ რა გამოვიდა?

ერთი საუკეთესო **სავსებით** გაუქმებულია. მინგრეული, მონგრეული, დამპალი და გაოხრებული. მეორე ეტყობა კიდევ მუშაობს, მაგრამ ვაი ამ მუშაობასა! მთელი შენობა ბებერი წელჩაწყვეტილი ცხენივითა სდგას და დღე-დღეზედ უნდა ელოდენ იმის დამხობას.

მივედი ახლოს. კარი გადმორაზული იყო. მაგრამ რათ გვინდა კარი! აქ მომაგონდა ზოგიერთი იმერული ეზო, რომელთაც ღობე არა აქვთ, მაგრამ კარი მაინც ერთგულად არის გადმოკეტილი.

მოვუარე მეორე მხარიდან. ერთი კედელი ჩანგრეულია. ჭერის მეოთხედი თან ჩაჰყოლია. ყავარიც ზედ გადაჰყოლია. რამდენიმე ტომარა საფქვავი სდგას პატრონისაგან მიტოვებულივით და ერთი გათამამებული ღორი ნებიერათ ბუღრაობს იქ.

მაგრამ აღმასკომს მარტო წისქვილის დაღუპვაში არ გამოუჩენია ასეთი ნიჭი. შუაგულ ხევში ყოფილა იშვიათი ბაღი ვინმე მამაცაშვილისა. ქვითკირის გალავნით შემოღობული. შერჩეული ხეხილით სავსე. ჩამოურთმევიათ. მიკვირს: ამ სამ-ოთხ წელიწადში როგორ მოახერხეს, რომ ხილებიდან ფშანებიც კი არ დარჩენილა და მთელი არე-მარე ნარეკალს დაუფარავს.

—:—

დეგოთის წყაროები და წისქვილები სახელმწიფოებრივ დოვლათს წარმოადგენენ მთელი საქართველოსათვის. მისი მიტოვება სოფლის აღმასკომზე შეუწყნარებელია. ეს ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მთელ გლეხობაზე. იმისი ფასი არც გორის აღმასკომს სცოდნია თორემ ასე არ გააოხრებინებდა.

მაგრამ ეტყობა დეგოთს არც ცენტრი იცნობს, თორემ აქამდის მიწადმოქმედების კომისარიატი აიღებდა თავის მზრუნველობის ქვეშ.

იქ გამართული წისქვილები ღამ-ღამეში რამდენიმე ათას ფუთს დაფქვავენ. მერე წყალის წისქვილით დაფქულს ხომ არ შეედრება არცერთი მოტორის წისქვილი. ელექტრო-სადგური გამართე თუნდა ისეთი, რომ გორს ზევით ყველა სოფლები გააჩირაღდნო. ამასთანავე ცივი და სუფთა წყალი ბევრათ უფრო ძლიერია და მძიმე, ვიდრე ჩვეულებრივი წყალი. ესეც ზედმეტი ღირსება.

შუაგულ ქვეყანაში ბუნებას ორი ხელით მიუნიჭებია ასეთი უშრეტი სიკეთე და ჩვენ კი ვერ მოგვიხმარია. ეყოფა ამ უკდავება ადგილს სოფლის აღმასკომიდან ჯიჯღნა და გაოხრება.

ამითი დღევანდელ აღმშენებლობითი მოღვაწეობას სულ ერთიან უკარგავს ფასს ახლო-მახლო გლეხობის თვალში.

დეგოთის წისქვილებს უნდა უპატრონოს უმაღლესმა სახელმწიფო ორგანომ და არა ფართე უნარიანობას მოკლებულმა სოფლის აღმასკომმა. ეს დარღვევაა საქვეყნო ქონების. გაოხრებაა ბუნებრივი სიკეთისა.

მას სჭირდება მხოლოდ ცოტაოდენი გულდადება უმაღლეს ხელმძღვანელთაგან, რომ გადიქცეს ხალხის შვებათა და სიმდიდრეთ.

მე ვათავებ.

ქართლის თვალი—დეგოთის წისქვილები უპატრონონი არიან!

დეგოთის წისქვილები თხოულობენ პატრონს.

ლევ. მეტრეველი.

მთავრობის განკარგულება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის—„სოფლის კავშირი"-ს საორგანიზაციო ბიუროს დაარსების შესახებ

სოფლის მეურნეობაში თვითმოქმედების გასაძლიერებლად, საქართველოს სასოფლო მეურნეობის რაციონალურად დასაყენებლად, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღებისა, მასალისა და სხვა საგნების დასამზადებლად და მისაწოდებლად და აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების საქმის სისწორით მოსაწყობად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს საორგანიზაციო ბიურო სრულიად საქართველოს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის — „სოფლის კავშირი"-ს მოსაწყობად.

2. აღნიშნულ საორგანიზაციო ბიუროს დაეკისროს მთელი წინასწარი მუშაობის წარმოება, რაც საჭიროა სრულიად საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ცენტრალური კავშირის —„სოფლის კავშირი"-ს დასაარსებლად. კერძოდ ბიუროს დაეკისრება: ა) შეადგინოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივთა კავშირის წესდება, ბ) მიიღოს ზომები წესდების დასამტკიცებლად და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის მოსაწვევად, რომელზედაც არჩეულ იქნება მმართველი ორგანოები (გამგეობა, სარევიზიო კომისია).

3. სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის —„სოფლის კავშირი"-ს, ხოლო მის ჩამოყალიბებამდე საორგანიზაციო ბიუროს მიზანს შეადგენს:

1) გააერთიანოს საქართველოს ფარგლებში მომქმედი შემდეგი კოოპერატიული ორგანიზაციები: ა) შერეული ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი და არტელები და აგრეთვე მათი შენაერთები, რომლებიც მისდევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას და გასაღებას; ბ) სპეციალური ხასიათის სასოფლო -სამეურნეო ამხანაგობანი, არტელები და მათი შენაერთები; გ) სამიწათმოქმედო კომუნები და არტელები;

დ) სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო ამხანაგობანი; ე) ყოველგვარი კოოპერატიული შენაერთები, რომელნიც ხელს უწყობენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

2) უხელმძღვანელოს კავშირში წევრებად შემავალ კოოპერატივებს და მათ კავშირებს სამეურნეო, საორგანიზაციო და კულტურულ-კოოპერატიული მუშაობის ყველა დარგში.

3) მიიღოს ზომები ახალი კოოპერატიული ორგანიზაციების შესაქმნელად იქ, სადაც ამას ეკონომიური და სხვა პირობები მოითხოვს, აგრეთვე მოაწყოს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, სოფლის მეურნეობის ახალი დარგები კოოპერატიულ ნიადაგზე.

4) უშუალოდ შეასრულოს ის სამეურნეო, საორგანიზაციო და კულტურულ - კოპერატიული ხასიათის ამოცანები, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტერესებთან.

5) მოაწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა, გადამუშავებისა და გასაღების საქმე, მიაწოდოს სოფლის მეურნეობას საჭირო მოწყობილობა და მასალა, და აგრეთვე გამონახოს და გამოიყენოს ამ მიზნისათვის საჭირო კრედიტი.

6. ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ამ საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებით და მოაწყოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებანი და გამოსაცდელი სადგურები და ლაბორატორიები სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოსაკვლევად.

7) ხელი შეუწყოს წევრებს იაფი კრედიტის მიწოდებით, მათი როგორც ნედლი, ისე გადამუშავებული პროდუქტების გასაღებით და აგრეთვე მათთვის საჭირო საქონლის შეძენით.

შენიშვნა: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და საორგანიზაციო ბიუროს და „სოფლის კავშირი"-ს ურთიერთობა მუშაობის იმ დარგებში, რაც გათვალისწინებულია ამა მუხლის „2" და „3" პუნქტში, მოწესრიგდება ამ საგანზე არსებული დებულებებით.

4. ყველა თანხა და კრედიტი, რაც დანიშნულია საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ცენტრისათვის გადადის საორგანიზაციო ბიუროს განკარგულებაში.

5. საორგანიზაციო და სამეურნეო ღონისძიებათა განსახორციელებლად საორგანიზაციო ბიურო ხელმძღვანელობს თავის მიერვე შემუშავებულ შინა-განრიგების წესებს.

6. საორგანიზაციო ბიურო, რომელიც შესდგება სამი წევრისაგან და ერთი კანდიდატისაგან, და ნიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

7. საორგანიზაციო ბიუროს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება; ბიუროს აქვს უფლება აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები და დასდოს ყოველგვარი გარიგება, კერძოდ: შეიძინოს ქონება, გაიხსნას ბანკებში კრედიტი, აიღოს სესხი, გასცეს თამასუქი, დაიგირაოს საქონელი, დაიქირაოს მუშა-მოსამსახურენი და საზოგადოდ ისარგებლოს ყველა ის უფლება, რაც კოოპერატივთა კავშირის ნორმალური წესდების ძალით მინიჭებული აქვს ამ კავშირების აღმასრულებელ ორგანოებს.

8. დაკისრებულ მუშაობას საორგანიზაციო ბიურო აწარმოებს იმ დრომდი, ვიდრე ჩამოყალიბდებოდეს სრულიად საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი — „სოფლის კავშირი", რომლის დამფუძნებელ კრებასაც ბიურო წარუდგენს თავისი მოქმედების ანგარიშს და აგრეთვე ჩააბარებს მას მთელ აქტივსა და პასივს. რის შემდეგაც საორგანიზაციო ბიურო გაუქმებულად ჩაითვლება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**ალ. სალარიძე.**

1926 წ. სექტემბრის 11. თბილისი—სასახლე.

რჩევა-დარიგება

შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ავადმყოფობა) ვინ უნდა მისცეს მომუშავეს ფულადი დახმარება

კითხვა

ამ ბოლო ხანებში მე ვმსახურობდი ზაჰესის პირველ უბნის სასადილოში, ქურვლის მრეცხავად, სასადილოში დავიწყე მუშაობა 1925 წ. ა.-წ. 26 ივნისს გავხდი ავად, ვიყავი გადაგზავნილი ქალაქის მე-3 საავადმყოფოში, იქ ვიწექი ივლისის 26. მანამდის მე ვიარებოდი ადგილობრივ ექიმთან და ვწამლობდი, მე ვიყავი ქარებით ავად ა.-წ. 16 ივნისში. ზაჰესის საამშენებლო უბანში იყო საკურორტო კომისია. კომისიამ დამინიშნა ახტალაში გაგზავნა მოსარჩენად. მაგრამ ამ დროს გავხდი ავად ვენერიული ავადმყოფობით და ვიწევი საავადმყოფოში სრული ერთი თვე, ჩემს ავადმყოფობის დროს მომაყოლეს შტატ-გარეშე, ავადმყოფობის ფული არ მიმიღია, რადგანაც ადმინისტრაცია უარს მეუბნება.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას მეკუთვნის თუ არა ეს ფული. ვარ კავშირის წევრი 1921 წ. (წიგნ. №997). არავითარი ქონება მე არა მაქვს არც სახლი, არც მიწა-წყალი. „ზაჰეს"-ში ვმუშაობ 1922 წლიდან.

მუშა ვართან ოსიპოვი.

პასუხი

ყველა წამოწყება-დაწესებულებები, მიუხედავად იმისა სახელმწიფოს ეკუთვნიან ისინი, თუ კერძო პირთ, თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს **1924 წ. 28 თებერვლის დადგენილება № 12-ისა**, სრულებით განთავისუფლებული არიან დროებით შრომის უნარ მოკლებულთათვის (ავადმყოფები) რაიმე დახმარების, მით უმეტეს ხელფასის გაცემისგან. შრომის უნარის დროებით. დაკარგვის გამო მომუშავეთ, დაზღვეულებს ფულადი დახმარება ფაქტიური ხელფასის ოდენობით უნდა გასცეს მხოლოდ სოცდაზღვევის ორგანოებმა ავადმყოფობის პირველ დღიდან მანამდე, სანამდის შრომის უნარ დაკარგულების ჯანმრთელობა მთლიანად აღდგენილი იქნება ან მათი მუდმივი შრომის ინვალიდობა სათანადო ექსპერტიზით დადასტურდებოდეს, ან და მათ გარდაცვალებამდის. **(იხ. საქ. რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს 1925 წ. 28 ივლისის ცირკულიარი № 34).**

რაც შეეხება „ზაჰესი"-ს მუშებს, (ამ შემთხვევაში თქვენც) მათ დაზღვევას განსაკუთრებული წესით აწარმოებს თვით „ზაჰესკომი". ამიტომ „ზაჰესკომი" ვალდებულია სოცდაზღვევის ყველა წესები და დებულებები შეასრულოს თვითონვე.

პარტკალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში შესდგება საორგანიზაციო თათბირი.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 ს., ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალთა ორგანიზატორების რიგს გარეშე თათბირი მცირეწლოვან ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

ყველა უჯრედების ქალთა ორგანიზატორების და კომკავშირის მცირეწლოვან ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება ორშაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

ქართული ჯგუფის—საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტპროპო კაბინეტში (კირკის ქ., № 7) და რუსული ჯგუფის—ციკლით „პარტიულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები"—განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ., № 3).

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ სააგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება ორშაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 5½ საათზე მეორე რაიკომის შენობის სააგიტაციო-საპროპაგანდო კაბინეტში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს №№ 4, 8, 9, 21, 30, 31, 42, 44, 55, 60 უჯრედების მდივნებს, რომ ორშაბათს, 13 სექტემბერს, გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. მარგოლინს—ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ამხ. რაჟდენ მელაძეს—ა.-კ. კომ. უნ., ამხ. აპპენინსკის—სახ. საგეგმო კომისია, ამხ. ზურაბოვს—ა.-კ. კომ. უნ., ამხ. ძიძიგურს—ლ. კ. საქ. ცეკა, ამხანაგ ავანესიანს—ა.-კ. სახ. პოლ. სამმართველო, ამხ. ალექსანიანს, ეირანოვს—საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ამხ. ალამალიანს და ელჩიბეკოვს—ა.-კ. ფინანსთა სახკომისარიატი, ანნა სნეგირიოვას—ა.-კ. საკონტროლო კომისია, ამხ. რახმანს, ამხ. ერშოვს—ა.-კ სახ. პოლიტიკური სამმართველო, რომ ორშაბათს, 13 სექტემბერს, დილის 2 საათზე, გამოცხადდენ რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ტფილისის აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილება აუწყებს განყოფილებისათვის დაულალავი, საქმისათვის თავდადებული მუშაკის საუწყებო მილიციის ქ | განყოფილების უფროსის თანაშემწე საპატიო მილიციელის

ამხ. პროკოფი პეტრეს-ძე წურწუმიას

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან სექტემბრის 14-ს, სამშაბათს დღის 4 საათზე. დაკრძალვა ქ. თბილისში ახალი ვერის სასაფლაოზე. ნ. 1762 2—1

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ღრმა მწუხარებით იუწყება ენერგიულ, ერთგული კომუნისტია

ამხ. პროკოფი წურწუმიას

უდროოდ გარდაცვალებას. რომელიც მოხდა ავადმყოფობის გამო 1926 წ. 10 სექტემბერს. ნ. 1764

ტფილისის აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქ | განყოფილება და თანამშრომლები აუწყებენ საუწყებო მილიციის ქ | განყოფილების უფროსის თანაშემწეს, ამხანაგ

პროკოფი წურწუმიას

გარდაცვალებას. ნ. 1762 2—1

ტფილისის აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების და მ. გ. მილიციის კომ-უჯრედების კოლექტივის ბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე ბიუროს წევრის,

ამხ. პროკოფი წურწუმიას

უდროოთ გარდაცვალებას. ნ. 1762 2—1

ტფილისის აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების საუწყებო მილიციის ქ | განყოფილება და თანამშრომლები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ სექტემბრის 10-ს გარდაიცვალა საყვარელი ამხანაგი, ამავე ქ | განყოფილების უფროსის თანაშემწე

პროკოფი წურწუმია

ცხედრის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან სექტემბრის 14-ს სამშაბათს დღის 4 საათზე. დაკრძალვა ქალ. ტფილისში—ახალ ვერის სასაფლაოზე. ნ. 1762 2—1

ღრმად დამწუხრებულნი დედა ლალო, ძმა საშა და ანნა, ბიძაშვილები ივანე და ნიკოლოზ ალლაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ქალ. აბასთუმანში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი დაუვიწყარი

ლიზიკო ალლაძე

ცხედარი ჩამოსვენებულ იქნა 11 ა. თ. დაკრძალვა დღეს, 12 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარი ბინიდან კირპიჩის შესახვევი № 12, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3629

მწუხარებით გულძოკლული ცოლი გაიანე თეოფილეს ასული, ძმები არჩილი, სერგო, იოსები მეუღლეებით პელაგია, თამარი ნინა-შვილებით. სიმამრი—თეოფილე ზესარიონის-ძე ფარცხალაძე, ცოლის დები მარიამ ლეჟავასი, ლუბა შარაშენიძისა, კატუშა თეოფილეს ასული ცოლის ძმა დათიკო თეოფილეს-ძე ქვისლები—გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეჟავა და ბიძინა პარმენის-ძე შარაშენიძე შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 ენკენისთვეს ქ. სურამში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი და დაუვიწყარი

ვიგო კონსტანტინეს-ძე ჭოგლიძე

ცხედრის გამოსვენება და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ალექსანდროვის ქ. № 49. 3633

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები მაკრინე და იაკობი, ძმები კოსტა და ვალიკო, და ოლინკა არველაძენი, სიძე სიმონ გოგია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებთ, რომ 8 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა: პირველთათვის დაუვიწყარი ქალი, მეორეთათვის და, მესამეთათვის საყვარელი და მეოთხესათვის კი ცოლი და მეხუთეთათვის მული

ალექსანდრა (ფასურა)
არველაძის ასული

რომლის დაკრძალვა მოხდა 11 სექტემბერს, შაბათს, საღამოს 3 საათზე ს. ჰაკანში (ქუთაისის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში. 1—1 ნ. ღ.

ღრმად დამწუხრებულნი, მშობლები: ნატა საბას ასული და კონსტანტინე სიმონისძე, ძმები: სერგო, ვიქტორ, იპოლიტე, ვალიკო, და ასმათი მონიავები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, პირველთა საყვარელი შვილის, მხოლოდ უკანასკნელთა ძმის

ალექსანდრე კონსტანტინესძე მონიავას
(ალიოშა ნატაშვილის)

უდროვოდ ტრაგიკულათ გარდაცვალებას. დასაფლავება, თბილისში, გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან, დღეს 12 ენკენისთვეს დღის 12 საათზე. 3631

---

3 აგვისტოს ქალაქ პოტიეში (საფრანგეთი) მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამთო ინჟენერი

ვასო გიორგისძე
ბაგრატიონ—დავითაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ დედა სონა, ძმები ვანო და ლადო, დები დარიკო და ტასო, რძლები ვერა და ნატალია. პანაშვიდი და ორმოცი დღის წირვა მოხდება სოფ. თხვენისში, 14 სექტემბერს. 3584

მწუხარებით თავზარდაცემული მეუღლე—მარიამ ნიკოლოზის ასული ახმეტელი, შვილებით მიშა და თამარათი, დედა—მარიამი, და თამარა და ბიცოლა ნატალია აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 12 სექტემბერს არის ორმოცი დღის თავი უდროოდ გარდაცვალების საყვარელი

ანდრო ახმეტელის

მეგობრები და ამხანაგები იკრიბებიან დღის 12 ს. განსვენებულის საფლავთან ახალი ვერის სასაფლაოზე. ნ. 1759 2—1

საქ. საბჭ. სოც. რესპ.
კურორტები
მინერალური ვანები, წყლით სამკურნალო, რენტგენი, პნევმატორაქსი, ლაბორატორია
ექიმი სპეციალისტები

აბასთუმანი

არის სასტუმროები { ბორჯომში—„მინერალური წყლები"
აბასთუმანში—„საკურორტო სასტუმრო"

ქირავდება აგრეთვე ოთახები და ბინები. მოგზაურობა ბორჯომიდან ავტომობილით—4 ს.

საშემოდგომო-საზამთრო-საზაფხულო სეზონი
19 6—27 წ.
სწარმოებს ჩაწერა
სანიტარულ საწოლებზე, ოთახებზე და ბინებზე

სამთო-კლიმატიური სადგური

ყველა ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე საქ. ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოში, თბილისი, ძნელაძის ქ. (ყოფ. „საპიორის") № 30, მეორე სართული ტელ. 10—19. დეპეშისათვის

თბილისი, საკურორტო სამმართველო ნ. 1747

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

დღეს ეკრანზე საუკეთესო სურათი
მერი პიკფორდის მონაწ.
„დოროტი ვერნონ"
კინო ბილეთის მყიდველნი ბაღში შესვლისთვის ფასს არ იხდიან.
ანონსი: ამ დღეებში: „ქორწინების კომედია"

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1745 0—6

პირველ ეკრანათ
ფრანგული საინტერესო კინო-სურათი
„მანდრენ" 1 და 2 სერია ერთად
უამინდობის გამო, სურათი გადატანილი იქნება „არფასტოში"

სამხედრო ფონდბიუროს გასასყიდათ აქვს დიდი რაოდენობის

ეკლიანი მავთულები

ცნობების მიღებისა და შეკვეთებისათვის უნდა მიმართონ ბიუროს რწმუნებულს: თბილისი, ჯორჯიაშვილის ქ. № 10. ნ. 1757 2—1

სათვალეების მორგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ(ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 31—63. 25—1

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორისაგან

„კომუნისტ"-ზე და „ახალ სოფელ"-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება

შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკში**—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.

აბაშაში—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.

8. **ფოთში**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში **გოგეშვილთან**—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავში**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**კილასონიასთან.**
14. **სოხუმში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში **ცხაკაიასთან**—მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე ესტატე შ.შნიაშვილთან.

0—1

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

დაიბეჭდა და იყიდება კონსტანტინე კაპანელის

ახალი ორიგინალური ნაშრომი

ქართული სული

ესთეტიურ სახეებში

ქართული ლიტერატურის და საერთო ხელოვნების თემატიური ანალიზი სოციოლოგიური თვალთახედვით (ორგანოტროპიზმის პრინციპი)

პირველი წიგნი—შინაარსი:

წინასიტყვაობა.
თვალთახედვის პრინციპი.

თავი პირველი:
ქართული კულტურის მიმართება

თავი მეორე:
ინდივიდუალიზმი და რომანტიზმი.

ალ. ჭავჭავაძე
სოციალური არე.
გრძნობის კულტი და ინდივიდუალიზმი.
წარსული და სევდა.
მტაცებლობა და უსამართლობა.

გრიგოლ ორბელიანი
სოციალური არე.
ფეოდალურ-არისტოკრატიული ინდივიდუალიზმი.
პატრიოტიზმი.
გადატეხის გრძნობა და დემოკრატიზმი.
სიყვარული და ბუნება.
ზოგადი იდეები.

ვახტანგ ორბელიანი
სოციალური არე.
სამშობლოს იდეა და სიყვარული.
მარადიული ქალურობა და ეროვნული იდეალი.
სოციალური პრობლემა.
ალექსანდრე ჭავჭავაძიდან ვახტანგ ორბელიანამდე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი
იდეოლოგიური ბიოსფერო.
ისტორიული პრობლემა.
ბუნება და სიყვარულის ფილოსოფია.
სოციალური განცდა და მარტოობის ტრაგედია.
უსაზღვრობის განცდა და ექსტაზი მოძრაობისა.
მუსიკა და წარსული.
რომანტიული ესთეტიზმი.

თავი მესამე:
რომანტიზმის წარმოშობა და მეტყველება.
რომანტიზმის იდეოლოგია.
ადამიანი და ბუნება.
რომანტიკოსების მეტყველება.
იდეათა მატერიალიზაცია და ტრაგედიული გრძნობა.

თავი მეოთხე:
სოციალური პრობლემები.

ილია ჭავჭავაძე
გადატეხის პერიოდი.
ეროვნული სული და შრომის პრინციპი.
„არჩვილი"-ს იდეოლოგიური მნიშვნელობა.
კლასთა ურთიერთობა და ყაჩაღური განაპირება.
ფეოდალური არისტოკრატიის დეგენერაცია.
ოჯახი და ეროვნული მთლიანობის იდეა.
ასკეტიზმი.
ილია ჭავჭავაძის ლირიკა.

თავი მეხუთე:
ქართული სული მთაში.

ვაჟა-ფშაველა
ორგანოტროპიზმის მეთოდი და ქართული სულის ექსისტორიული განხრა.
პანთეიზმი და ანთროპომორფიზმი.
პანთეიზმი და ბიოფსიქიზმი.
ტრადიცია და რევოლუციონური მორალი.
ტანჯვა, შემეცნება და სიყვარული.
ჰამლეტი და მინდია.

ქართული აზროვნებისა და მეტყველების კულტურისათვის.

წიგნი—შეიცავს 260 გვ. კარგ ქაღალდზე. ფასი 2 მ. 60 კ.

სტუდენტებს, მასწავლებლებს და მოწაფეებს წიგნები დაეთმობათ ფასდაკლებით ვინც უშუალოთ შეიძენს გამომცემლობისაგან.

გამომცემლობის მთავარი საწყობი: აკაკი წერეთლის (განოვის) ქ. № 6. ნ. 1761

კონტრაგენტების საყურადღებოდ

გაზ. „კომუნისტი"-ს

მთავარი კანტორა

აცხადებს ყველა კონტრაგენტების საყურადღებოდ, რომ 15 სექტემბრისათვის აუცილებლივ უნდა დაბრუნებულ იყოს დარჩენილი, გაუყიდავი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჩვენ მიერ გასასყიდათ გადაგზავნილი.

თუ აღნიშნულ ვადამდე გადმოგზავნილი არ იქნება გაუყიდავი ლიტერატურა იგი ჩაითვლება გაყიდულათ და შემდეგ უკან აღარ მიიღება კანტორის მიერ.

7—1 უფ. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს**, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი** (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 უფ. **მთავარი კანტორა**

საჯარო ვაჭრობა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს მეურნეობის საბჭოს **ტყავეულის ტრესტი** აცხადებს, რომ 15 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, ტრესტის ცენტრალურ გამგეობაში (კომუნალური, 82) დანიშნულია ზეპირი ვაჭრობა სასარაჯოსაუნაგირე ნივთების გასასყიდათ, როგორიც მაგ. უღლები, სადავეები, უნაგირები, რგოლები, აბზინდები და აგრეთვე სხვადასხვაგვარი ქონება.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ გასასყიდი ქონების დათვალიერება შეუძლიათ ყოველდღე დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე, დასვენების დღეების გამონაკლისით.

ნ. 1760. ტყავტრესტის გამგეობა.

სასტ. „ორიანტ"-ის საამშენებლო

კომისია აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

ამავე შენობის წინ ქვა-ფენილის დაგების შესახებ.

განცხადების შეტანა დახურულ პაკეტებში შეიძლება 15 ამა ენკენისთვემდე.

კონდიციებისა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება სასტუმრო „ორიანტ"-ში ყოველ დღე 9 საათიდან ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდე.

შავი ქვის წარმოების სამმართველო რუსთველის პ. № 23.
ნ. 1758 2—1

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 16 სექტემბერს, დილის 12 საათზე, ტურგენევის ქუჩაზე № 4 სახლის ეზოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა არმენაკ დაბაღიანის ქონებაზე, რომელიც აწერილია აბრამ კრიხელის ვალში და შეფასებულია 225 მანეთად. გაიყიდება შემდეგი ნივთები: ტახტი, მარმარილოს პირსაბანი, სასადილო მაგიდა, ინგლისის საწოლი, სავარძელი, ხალიჩა, ლამფა, ნოხი მალცევის ღუმელი, ფაბრიკის ნოხი, ვენის საკიდი და სხვ. 3638

ნაძალადევის მუსიკალური სასწავლებელი

(ჩერქეზიშვილის ქ. № 130)

მომავალ სამოსწავლო წლიდან მეცადინეობა იქნება შემდეგ ფაკულტეტებზე: **როიალზე, სკრიპკაზე, სიმღერა (Solo), თეორია, და სოლფეჯიოსი.**

თხოვნების მიღება დაიწყება 15 სექტემ. საღამოს 4—7 საათამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 სექტემბრიდან საღ. 5 საათ. სწავლა დაიწყება 1-ლ ოქტომბრიდან. 3628

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე სახლი № 30 დანიშნულია 16 სექტემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობა** შამუელ ჩიკვაშვილის ქონების, შკაფების, ძაგიდების, ტანისამოსის, პირის საბანის, სამოვრის, სარკის და სხვების, შეფასებულის სულ 172 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახელმწიფო სამედიცინო სავაჭროს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. 3632

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბერს 1926 წ. დილის 11 საათზე სახლში № 4 არხანგელის № 9 კახეთის ქუჩაზე და მეტეხის ქ. № 21 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი ჯალალოვის მოძრავ ქონებას: ბოჩკებს და სხვას შეფასებულს 144 მანეთად, აკოფოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 2068 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. 3624

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში ურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კამდეტ. კორპ. უკან. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ბ-ტ ი. მირიანაშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.

მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.

ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ნე- საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის. ახლოს. 25—

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 3548 25—1

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49. ტელეფ. № 4—82. 3574

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

ხიეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 348 25—1

მსურს ავიყვანო
ვაჟი-მოწაფეები
სრულ კმაყოფაზე. ცნობების მიღება ყოველ დღე—დიდუბე ქუთაისის ქ. № 27 საკ. სახლი. იქვე იყიდება კაბინეტის საკერავი მანქანა. 3637

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

გერმანული ენის გაკვეთილები ჯგუფებათ და ცალ-ცალკე, როგორც დამწყებთათვის აგრეთვე საშუალო მცოდნეთათვის. სტუდენტებს და მოწაფეებს შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათიანი პირობებით. ჩაწერა ყოველ-დღე 5-დან 6—საათამდი. კლასიკური ქუჩა, სახლი № 14, მესამე სართული. 3593

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 191. მოცემული კავთისხევის აღმასკომის სამხედრო მაგიდიდან ვასილ გიორგი-ძე ნათობიძის სახელზე ჩ. გ. 3627

დავკარგე თვითმშრომელთა კავშირის მოწმობა № 311 თომა ხარატისძე გულორდავას სახელზე, ჩ. გ. 3623

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 42070 დავით ადამიას სახელზე, ჩ. გ. 3625

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 1008, მოცემული კავთისხევის აღმასკომის სამხედრო მაგიდიდან ივანე დიმიტრისძე უძილაურის სახელზე, ჩ. გ. 3626

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ხუნწის თემიდან საალრიცხვო წიგნაკი გაცემული სენაკის მაზრიდან, პროფკავშირის წიგნაკი, გაცემული ქ. თბ. ტრამვაის დირექციიდან № 5763 | 111 ავიაქიმის წიგნაკი, გაცემული ტრამვაიდან, რემედასის წიგნაკი, გაცემული ტრამვაიდან სერაფიონ დიანოზისძეს ფაილოძეს სახელზე, ჩ. გ. 3630

დავკარგე პირადობის მოწმობა № 513, მოცემული სახჩეფის აღმასკომის მიერ, ფილხაზ არონის-ძე შატაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3640

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 7327, ოლია ქვანიას სახელზე, ჩ. გ. 3639

დავკარგე აღრიცხვის ბარათი № 1, მიღებული ონის სამხედრო მაგიდიდან მიხეილ მოშიას-ძე ხარიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3637

დავკარგე დაბადების მეტრიკული ამონაწერი, გაცემული თბილისის მე-12-ტე სამილიციო უბნის მიერ. რეზო (რევაზ) სიმონის-ძე ებრალიძის სახელზე, ჩ. გ. 3636

დავკარგე პირადობის მოწმობა ნახუნოვის თემალმასკომის მიერ მიცემული ვლადიმერ მაქსიმეს-ძე კანკავას სახელზე, ჩ. გ. 3634

დავკარგე პირადობის და მეტრიკული მოწმობა ძველი სენაკის თემაღმასკომის მიერ მოცემული კონსტანტინე მიხეილის-ძე ჭუბაბრიას სახელზე, ჩ. გ. 3635

დავკარგე სამხ. აღრიცხვის პირადი წიგნაკი, მოწმობა 1924 წლ. მენშევიკ-ბანდიტების გამ სვლების წინააღმდეგ აქტიური მოქმედების შესახებ, „ნაგანის" სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა და პირადობის და სხვადასხვა მოწმობები, მოცემული ბორჩალოს და ოზურგეთის მაზრებიდან ვალიკო სოლომონის-ძე ხომერიკის სახელზე, ჩ. გ. 3641

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68